



ციბიხანი

№ 73 / 25 აპრილი - 1 მაისი / 2011



შანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ჩა სუიტი ქანებს?

გვ. 32




მთავარი

თემა:

ანტირუსული
რიტორიკა და რუსული
ინვესტიციები

გვ. 14

UCNOBI FM 98.0



IB VB TBII TBI UTB





მიასნიკოვის ქუჩა, თბილისი 2011

ფოტო: მარია შოთაველი

ნომერში:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
არის თუ არა სტუდენტების პროტესტი საკმარისი რეალური ცვლილებებისთვის?
დიმიტრი ცქიტიშვილი VS შოთა დიღმელაშვილი
მსოფლიო
- 08 რუსული დუპლექსი
- 10 **ფინეთი**
„ჭეშმარიტად ფინური“ პოლიტიკის ერა
- 12 **ყირგიზეთი**
ბიშკეკის რუსული ორიენტაცია

- მთავარი თემა**
- 14 ანტირუსული რიტორიკა და რუსული ინვესტიციები
კრიმინალი
- 20 მკვლელობა 412-ე ოთახში
სამუშაო ბაზარი
- 24 ვეძებ სამსახურს!
ინტერვიუ
- 30 ახალი ვალი ძველის გასასტუმრებლად
პაატა შეშელიძე
საზოგადოება
- 32 რა სურთ ქალებს?
ურბანისტიკა
- 36 ისტორიული მოედნის გაურკვეველი მომავალი
ჯანდაცვა
- 36 რა ეშველება თბილისის ძველ უბნებს?

- თვალსაზრისი**
- 40 რატომ დავენერე წიგნი საქართველოზე
ლარისა ბურაკოვა
- 42 საჯარო მონაცემები
მარკ მალენი
- 44 სექსი საქართველოში
გიორგი ცხადაია
- 46 შენახვა, მოხმარება, გასაღება
ლაშა ბუღაძე
კულტურა
- 48 მიპატივება სამოთხის წინკარში
- 50 **ტექნოლოგიები**
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 52 ბოდიში!
მიპატივებია!

გარეკანზე:
რა სურთ ქალებს?



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება-საქართველოსთვის

ქურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

სტუდენტური ინჰიჯინია

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი



მართლიანად დაესვათ კითხვა: რატომ არ გვაქვს სასწავლო ლიტერატურა ქართულ ენაზე, მაშინ როცა:

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ლიტერატურის თარგმნისთვის გამოყოფილია 20,000 ლარი. მიზეზია, მაგრამ ფაქტია, რომ თანხა გამოყოფილია.

2. განათლების მისაღებად თითოეული სტუდენტი საშუალოდ 2250 ლარს იხდის წელიწადში. თუ გავითვალისწინებთ, რომ თსუ-ს სტუდენტთა რიცხვი თითქმის 20,000 აღწევს (გრანტი ჩარიცხულების გადასახადს სახელმწიფო ფარავს), გამოდის, რომ თსუ-ს ბიუჯეტი მხოლოდ სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავლით წელიწადში საშუალოდ 45,000,000 ლარით ივსება.

3. და მესამე. უნივერსიტეტს კანონით მოეთხოვება, რომ სასწავლოდ არ დაუშვას საგანი, რომელშიც მინიმუმ რიდერიც კი არაა ქართულ ენაზე.

ეს იყო და ეს. მეტს არც არაფერს კითხულობდნენ თავისუფალი სტუდენტები. პასუხები ასეთი იყო:

- 1. „20,000 ლარი კი არის გამოყოფილი, მაგრამ სად მიდის, კაცმა არ იცის“
- 2. „თსუ-ს ბიუჯეტის 80% ლექტორების ხელფასებში მიდის“
- 3. „შენი“

ან გაგიკვირდებათ, ან არც, თუ ვიტყვი, რომ პირველი ორი პასუხი საკითხზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებს ეკუთვნით, რომლებიც ხელფასებს, ისევ და ისევ, ამ სტუდენტების გადასახადებიდან იღებენ.

გილოცავთ, ჰომოსაქინებო!

2011 წლის აპრილში ადამიანთა მოდგმა განვითარების იმ ეტაპზე ავიდა, რომ FBI-მაც კი გაბედა და ოფიციალურად აღიარა უცხოპლანეტელების არსებობა. ეს რევოლუციური მონეტა იყო კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ყულაბაში.

2011 წლის აპრილშივე, ამ ამბიდან ორ დღეში არა ზოგადად კაცობრიობის, არამედ ქართული „ცოდნის ტაძრის“, თსუ-ს ყულაბაშიც ჩავარდა ერთი მონეტა. პოტენციურად – ესეც რევოლუციური. ოღონდ, როგორც გუშინდელმა დღემ მანახა, გონებრივ რევოლუციამდე, როგორც მინიმუმ, ევოლუცია გვჭირდება. მაშინ, როცა

მსოფლიოს წამყვანი თუ არანამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები ათასობით მოკვლევას ატარებენ, ცოდნას იღებენ, საკუთარი ქვეყნის მომავალს და სხვა თუ არაფერი, Facebook-ს მაინც ქმნიან, თსუ-ს ქართველ სტუდენტებს ნიხლის ქვეშ იგდებენ. ამავე უნივერსიტეტის „თვითმართველობა“ სტუდენტებს მხოლოდ იმიტომ სცემს, რომ ისინი ყველაზე, ყველაზე მარტივ მოთხოვნას აყენებენ: გვითარგმნეთ სასწავლო ლიტერატურა ქართულად.

აი, რა მოხდა. რამდენიმე სტუდენტის მიერ წამოწყებულმა დამოუკიდებელმა საინიციატივო ჯგუფმა + რამდენიმე სტუდენტმა გადაწყვიტეს სრულიად სა-

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაჯა / კაცასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯაია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი

შპს რედაქცია: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიათავა, რუსუდან ფანოზოვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი

კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია აბალაშვილი, ნინო ბექმიშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე

რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე

ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია

ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სსპ ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ფურცალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბმფშპ: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოცემის კერაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

პირველი იმდენად ბრიყვია, რომ საკუთარ ტოტს იჭრის და თვითონ სვამს კითხვას, სად მიდის ეს 20,000 ლარიო. მეორე იმდენად ბრიყვია, რომ გვეუბნება, ათეულობით მილიონიანი ბიუჯეტის 80% ლექტორების ხელფასებს ხმარდებაო. მესამე პასუხი კი – გინება თავის მუშტებიანად ყველაზე დიდ ბრიყვებს ეკუთვნით. ამ პასუხის ავტორი თსუ-ს „თვითმმართველობაა“.

თავისუფალი, არაპარტიულ-არაკომკავშირელი სტუდენტების გუშინდელი, გასაოცრად ორგანიზებული, სამართლიანი და ობიექტური პრეზენტაცია სახელწოდებით „თარგმნი!“ თვითმმართველობის „კომკავშირელმა“ წევრებმა მუშტებითა და ნიხლებით ჩაახშეს. პირდაპირი გაგებით: მუშტებითა და ნიხლებით ჩაახშეს! მიზეზი ის რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა იყო, რომელიც სტუდენტებმა ლიად დააფიქსირეს. მოდი და ნუ დაეთანხმები, როცა იცი, რომ თვითმმართველობის საქმიანობა ხინკალ-ფართებს, ექსკურსიებსა და ტაშ-ფანდურს არ სცილდება. არადა, მათ წესდებაში ასეთ რამეებსაც ვნახულობთ:

მუხლი 7.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- დ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;
- ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
- ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სა-

მართლმადიდებელი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

გუშინდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მათ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე პუნქტი დაარღვიეს. მეტიც, თავდაყირა დააყენეს საკუთარი წესდება და ყველა ნორმა, რომლითაც მინიმუმ აკადემიური სივრცე უნდა რეგულირდებოდა.

აკადემიური სივრცე(!) პრობლემაც აქაა. მუშტი-კრივს ესწრებოდნენ ლექტორები (მაგალითად, ამირან ბერძენიშვილი), რომლებსაც არათუ ხელი, ენაც კი არ გაუძრევიათ საკუთარი სტუდენტების მუშტებისგან დასაცავად (გამონაკლისია ლელა გაფრინდაშვილი, რომელიც პირდაპირ ჩაერთო ამ ტოტალურ პრიმიტივიზმთან კონფრონტაციაში). რალა სათქმელია ის, რომ ამავე უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლებმა ხელიც კი არ გაანძრვიეს ნიხლქვეშ გაგდებული სტუდენტების დასაცავად.

რაკილა ვთქვი, რომ ამ საკითხზე პოსტების სერიას დავიწყებ, ამჯერად დეტალების აღწერას არ შევუდგები. მომხდარის ფოტო-ვიდეო მასალას უახლოეს დღეებში მოგაწვდით. იქამდე კი ერთი-ორ ამბავსაც მოგიტხრობთ.

გუშინ საღამოსვე მეგობრებს შევხვდი. გადავწყვიტე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრუსტრაციის დღის ბოლოს შედარებითი განტვირთვა ალკოჰოლით მომეხდინა. მაგიდასთან, ჩვენთან ერთად მეგობრის თანამშრომელი, ასე 50-60-იოდე წლის კაცი აღმოჩნდა. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს „კომუნისტების-დროინდელ ყოფილ ჩინოვნიკს“ უწოდებდა და საქართველოს სადღეგრძელოსთან ერთად საკმაოდ გულახდილადაც ყვებოდა, რა მამაძაღლოები უკეთებია ამ „ჩინოვნიკობისას“, თსუ-ს თვითმმართველობის ერთ-ერთი წარმომადგენლის მამა ყოფილა. აი, მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს გამოთქმა, ვაშლი ხიდან ძალიან შორსაც არ ვარდებაო. იქამდე კი, უნივერსიტეტის შენობიდან გამოსულს, თვითმმართველობის წარმომად-

გენელმა მომაძახა: „სახეზე გიმახსოვრებთ და იცოდეთ, გამზრდელს ...“.

კაცმა არ იცის, იყო თუ არა ამ მუქარის ავტორი იმ კაცის შვილი, ვინც, სხვა ყველაფერთან ერთად, იმასაც მუშტებოდა, ჩემი შვილების თაობა კარგ ქვეყანას ააშენებს, მჯერა ამისო. სჯეროდეს! მე კი სხვა რამეების მჯერა უკვე, რომ ვაშლი ხიდან ძალიან შორს არ ვარდება, რომ ამ კაცის შვილიც წლების მერე პათეტიკურად „მონაწილეს“ თავის მამაძაღლოებს და ასე, მონაწიე-ბული, გულზე მჯილის რტყემით შესვამს ქვეყნის მამუნებელი ახალი თაობის სადღეგრძელოს. ოღონდ, ისეთი თაობისას, რომელიც გუშინ ნიხლქვეშ გაიგდეს. როდის იყო პარტიის ინკვიზიტორები და სისტემის მონები კარგ ქვეყანას აშენებდნენ? ერთი ასეთი იმპერია თავზე უკვე ჩამოექცა იმ ჩემს გუშინდელ ყოფილკომუნისტებისდროინდელ ჩინოვნიკ „თანამეინახეს“. კიდევაც ჩამოქცევა ასეთი დაობებული სისტემები, თუკი, რა თქმა უნდა, თავისუფალი და დამოუკიდებელი სტუდენტობა და ახალგაზრდობა იმას იზამს, რაც გუშინ „თარგმნი“-ს ინიციატორებმა და რამდენიმე სტუდენტმა ქნეს.

ბოლო ამბავი: ორი თსუ-ელი, რომელსაც გუშინ დაემუქრა თვითმმართველობა, დღესაც სცემეს. როგორც უკვე გითხარით, მეც დამემუქრნენ, „სახეზე გიმახსოვრებთ და გამზრდელს ...“-ო. ჰოდა, აი, ჩემ ფოტოსაც დავდებ აქ, კარგად რომ დაგამახსოვრდეთ.

მანც გილოცავთ, ჰომოსაპიენსებო! კაცობრიობის განვითარებული ნაწილი უკვე უცხოპლანეტელების არსებობის ოფიციალურ დადასტურებაზე მსჯელობს, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები როგორც მინიმუმ, Facebook-ის გამოგონებით 26 წლის ასაკში მილიარდები ხდებიან. სამაგიეროდ, მოსალოცი ამბავი ნამდვილად არაა, როცა სტუდენტები აკადემიურ სივრცეში იმ მინიმუმსაც კი ვერ იღებენ, რასაც ნათარგმნი ლიტერატურა და უსაფრთხოების გარანტიები ჰქვია. ჰოდა, იმასაც გილოცავთ, რომ სტუდენტებმა აკადემიური ამბოხი დაიწყეს, თორემ როდის იყო, მინაზე გაგორებული ვაშლები ქვეყანას აშენებდნენ. 



ჩიხში მუსჯი მოცახხახებები

საარჩევნო მოლაპარაკებები მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ რვიანს შორის ჩიხში შევიდა. მოლაპარაკებების უშედეგოდ შეჩერებას მხარეები ერთმანეთს აბრალებენ, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიუღებელია ოპოზიციის შეთავაზება მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესის შესახებ, „რვიანი“ კი მმართველ პარტიაში მოლაპარაკებების წესის უქონლობაზე საუბრობს.

ჩიხში შესული საარჩევნო მოლაპარაკებების თემა გასულ კვირას ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მიერ ბერლინში გაკეთებული განცხადების შემდეგ ისევ აქტუალური გახდა.

„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, მიიღოს საარჩევნო კოდექსის რეფორმა და უზრუნველყოს ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში“, – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე.

სახელმწიფო მდივნის განცხადებას, საქართველოში მმართველი გუნდი და ოპოზიციური „რვიანი“ გამოეხმაურა.

უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას თქმით, ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლა არის აშშ-ის ფუნდამენტური პოზიცია ყველა დემოკრატიული ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მიმართ:

„აუცილებელია, ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ითანამშრომლონ, ეს ყოველთვის ვერ ხერხდება იმ დოზით, რაც სასურველი იქნებოდა, რაც ასევე თავისუფალი საზოგადოების და დემოკრატიის ნაწილია“, – განაცხადა ბოკერიამ.

სახელმწიფო მდივნის განცხადებას აშშ-ის ელჩი ჯონ ბასიც გამოეხმაურა. მისი თქმით, კლინტონის განცხადება არჩევნების გზით საქართველოში ძალაუფლების დემოკრატიული გადაცემის მნიშვნელობის შესახებ, აშშ-ის შეხედულებას ასახავს: „საქართველოს დემოკრატიის უფრო ფართო განვითარებას ხალხის გაზრდილი ნდობა სჭირდება საარჩევნო სისტემის მიმართ“, – ამბობს ჯონ ბასი. საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება და მოლაპარაკებების პროცესით დაინტერესება, მოლაპარაკებების განახლების საშუალებად მიაჩნიათ ოპოზიციურ „რვიანში“:

„საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს მოლაპარაკებების სწრაფ განახლებას, რომელიც შედეგიანად უნდა დასრულდეს, რის ნათელი გამოხატულებაც იყო ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადება“, – ამბობს „თავისუფალი დემოკრატიების“ წარმომადგენელი ირაკლი ჩიქოვანი.

ჩიქოვანის თქმით, ოპოზიცია ხელისუფლებაზე ზეწოლას სწორედ საერთაშორისო საზოგადოების მეშვეობით მოახდენს.

ფუქსის და ფიანჯის ოჯახი მუწყალებს ითხოვს

საქართველოში მოქრთამვის ბრალდებით გასამართლებული ორი ისრაელელი ბიზნესმენის, რონ ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ოჯახებმა პრეზიდენტ სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართეს.

ადვოკატის თქმით, დაკავებულები ციხეში პატრიარქმაც მონიხულა და მალე გათავისუფლება უსურვა.

ფუქსს შვიდწლიანი პატიმრობა, ხოლო ფრენკელს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარებული.

ლიბიაში ოჩი ვიხანისტი დაილუჯა

20 აპრილს ლიბიაში ორი უცხოელი ჟურნალისტი დაილუჯა და ორიც დაიჭრა. ჟურნალისტები ლიბიის დასავლეთით მდებარე ქალაქ მისრათაში ნალმმტყორცნის ცეცხლის ქვეშ მოყვნენ.

დალუჯულია ბრიტანელი ტიმ ჰეტერინგტონი და ამერიკელი კრის ჰონდორსი. რეჟისორი ჰეტერინგტონი „ოსკარზე“ იყო წარდგენილი ფილმისათვის „რესტრუქციონი“, რომელიც ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცის ცხოვრებას ეხება. ფოტოკორესპონდენტი ჰონდორსი კი სააგენტო „ჯეტის“ წარმომადგენელი იყო.

მეტი ბაზოზა ტელეთიში



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ახალი სამაუწყებლო პრიორიტეტები დაამტკიცა. პრიორიტეტებს საფუძვლად „BCG კვლევის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა დაედო. კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა უპირატესობას

გასართობ და მუსიკალურ პროგრამებს ანიჭებს. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინა კომუნიკაციების კომისიამ პრიორიტეტები მაუწყებლობის ლიცენზიების მაძიებლებისთვის. ამ გადაწყვეტილებით ტელე-რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტების მოქმედების პერიოდში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ლიცენზიები გასართობი კონცეფციის არხებს მიეცემათ. კომისიისვე გადაწყვეტილებით, საერთო მაუწყებლობისთვის პრიორიტეტად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პროგრამული მრავალფეროვნება დადგინდა, თუმცა კომისიაში ვერ აკონკრეტებენ, თუ რას ნიშნავს პროგრამული მრავალფეროვნება.

ბანაჩენის მოლოინი

სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გირგვლიანის ოჯახის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე განაჩენს 26 აპრილს გამოიტანს. საქმე – ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ – 2006 წელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება.

მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ ამ საქმეში დარღვეულია რამდენიმე მუხლი, მათ შორის, მუხლები ადამიანის სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვის და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შესახებ. სასამართლო განაჩენს საქმის საჯარო მოსმენიდან ერთი წლის თავზე გამოიტანს.

ხულონის მშენებლობა

ხულონის ჰიდროელექტროსადგურის წინასამშენებლო სამუშაოები წელს დაიწყება, 650 მეგავატის სიმძლავრის ჰესის მშენებლობის კი 2012 წელს იგეგმება, ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა გააკეთა. ნიკა გილაურის თქმით, ხულონის მშენებლობაზე კონტრაქტს ინდურ კომპანიასთან უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი. მისივე განცხადებით, პროექტში დაახლო-

ებით 1 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია იგეგმება. როგორც ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ამბობს, კონტრაქტორი კომპანია ვალდებულია აიღებს, რომ მშენებლობას ექვს წელიწადში დაასრულებს.



ჩისხვები

80%

ფოთის პორტის აქციებისა APM Terminals-მა იყიდა.

1000-მდე

პატიმრის სააღდგომო შეწყობისა უშუამდგომლა საპატრიარქომ.

25

ადამიანი დაიღუპა სირიაში.

29

აპრილს ბრიტანეთში სამეფო ქორწილი გაიმართება.

სიტყვები



„თუ ეს ბრალდებები მართალია, ეს ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა სტანდარტებს არ შეესაბამება“.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი სასამართლო სისტემის შესახებ

„მნიშვნელოვანია, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან მომავალი წლის არჩევნებისთვის ახალი წესებით იმუშაონ“.

აშშ-ის ელჩი საქართველოში, ჯონ ბასი საარჩევნო მოლაპარაკებებზე

„საქართველო-ნატოს კავშირებზე მოსკოვს ბუნებრივი გალიზიანება აქვს“.

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია რუსეთის რეაქციებზე

„კადაფი შეიძლება კასეტურ ბომბებს იყენებდეს“.

ჰილარი კლინტონი ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფიზე



მომხრე

დimitრი ციციტიშვილი

ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის წევრი

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა ძალიან ჩვეულებრივი მოთხოვნა დააყენა. მოთხოვნა არ ყოფილა იმპულსური და არც პროვოკაციული, არ ითხოვდა ვინმეს გადაყენებას და დასჯას. სტუდენტებმა მოითხოვეს, უბრალოდ, კანონის დაცვა, თანაც საკმაოდ კონსტრუქციული ფორმით. მოთხოვნა იმდენად კონსტრუქციული იყო, რომ პრობლემის მოგვარების მექანიზმსაც კი შეიცავდა.

ძალადობამ, რომელიც პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტების მიმართ განხორციელდა, სრულიად სამართლიანი აღსვლათა გამოიწვია და სტუდენტების ერთ ნაწილში უფრო რადიკალური მოთხოვნების დაყენების სურვილიც გააჩნია: უნივერსიტეტის თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნები, მისი ალტერნატივის შექმნა და სხვა. ერთი მხრივ, მოთხოვნათა გამკაცრება პასუხია შექმნილ ვითარებაზე, მაგრამ მეორე მხრივ, ეს გამოიწვევს ყურადღების გადატანას იმ საკითხიდან, რომლის მიმართაც არც პასუხი და არც საინიციატივო არგუმენტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, როგორც ჩანს, არ გააჩნია.

ამასთანავე, ახალი მოთხოვნების წამოყენება კიდევ უფრო გაამწვავებს დაპირისპირებას სტუდენტებს შორის. თანაც, ეს მოთხოვნები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და მოუმზადებელია, შესაბამისად – შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. წარუმატებლობამ შესაძლოა სტუდენტებში სოციალური აქტიურობის სურვილი კიდევ უფრო დიდი ხნით მიაძინოს.

მოთხოვნა „თარგმნე“ საკმაოდ კომპეტენტურად არის დამუშავებული. ადმინისტრაციამ ან უნდა აღიაროს, რომ შეცდომის თუ დაუდევრობის გამო საკითხი აქამდე ვერ მოაგვარა, ან უნდა თქვას უარი კანონის შესრულებაზე. ორივე შემთხვევაში წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება.

შესაბამისად, სწორედ ადმინისტრაციის და არა სტუდენტების ინტერესებში შედის მოთხოვნების გამკაცრება და ორიენტირის გადატანა თვითმმართველობაზე.

სტუდენტებმა უნდა განაახლონ მოთხოვნა „თარგმნე“ და არავითარ შემთხვევაში არ გადაიტანონ ყურადღება სხვა საკითხებზე.

ყველაზე ეფექტიანი ამ მომენტისათვის სწორედ იმ მოთხოვნების დაყენებაა, რაშიც ადმინისტრაცია, პრაქტიკულად, უსუსური, ხოლო სტუდენტები კი საკმაოდ ძლიერები არიან და წარმატების მიღწევის ბევრად მაღალი შანსები აქვთ.

წარმატების შემთხვევაში, სტუდენტებში გაიზრდება ბრძოლისუნარიანობა და რწმენა იმისა, რომ მათ შესწევთ ძალა და უნარი მიაღწიონ კონკრეტულ წარმატებებს მიზანდასახული და თანმიმდევრული ბრძოლის შედეგად, რაც უფრო ძლიერი სტუდენტური მუხტის საფუძველი გახდება. **■**



ახის თუ ახა ჭიოტესხი სახმ სვდიება

■ ყველაზე ეფექტიანი ამ მომენტისათვის სწორედ იმ მოთხოვნების დაყენებაა, რაშიც ადმინისტრაცია, პრაქტიკულად, უსუსური, ხოლო სტუდენტები კი საკმაოდ ძლიერები არიან და წარმატების მიღწევის ბევრად მაღალი შანსები აქვთ.



მონინალმდევე
შოთა დილმელაშვილი
„ცხელი შოკოლადის“ მიმომხილველი

რამდენიმე დღის წინ ჩვენ ვიხილეთ აქცია, რომელსაც პროტესტ-ფართი უფრო შეიძლება ვუწოდოთ, ვიდრე აქცია. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო პროტესტი – პროტესტისთვის, შელახული პატივმოყვარეობის რეაბილიტირების მცდელობა და არა ღონისძიება, რომელიც კონკრეტულ მიზანს ისახავდა. გასაგებია, იყო მონოდებები „არა ძალადობას“, მაგრამ მსგავსი აბსტრაქტული ლოზუნგების დეკლამაცია „მის მსოფლიოს“ კონკურსზეც ხდება, მერე ვიღაცას ატირებენ, ვიღაცას დასაჩუქრებენ, გამოვლენ დარბაზიდან, ჩაიცვამენ ქურქს, რომლისთვისაც ბენვის ფერმებში ყველაზე იაფიანი და შესაბამისად, სასტიკი მეთოდით მოკლული ცხოველი გაატყავეს... საღამოს დედოფალი, რომელიც მშვიდობაზე და სოლიდარობაზე საუბრობდა ორიოდ საათის წინ, რუდუნებით მოხსნის ძვირფას გვირგვინს, მოპირკეთებულს ანგოლაში 21-ე საუკუნის მონების მიერ მოპოვებული სისხლიანი ბრილიანტებით. მაგრამ ყველაფერი კარგადაა. ვალი მოხდოდა. „არა, ძალადობას“, „მშვიდობა მსოფლიოს“.

არსებობს მოსაზრება, რომ აქციამ არ უნდა მიიღოს მასშტაბური სახე, რომ მოძრაობის რადიკალიზაცია ავნებს მიღწეულ შედეგს. და რას მიაღწევს? ორასმა კაცმა დააბირჟა უნივერსიტეტის წინ და აქსიომები იყვირეს ხმამაღლა? და არ ცემეს? ოი, რა კარგია. მაღლობა საჭეთმპყრობელნი. მერე? ა, შეიძლება წყალობა გამოიღონ და ჩათვალონ, რომ ჭკუასთან ახლოს დგას ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს არსებობა? მერე? მერე ვჩერდებით? ვჩერდებით და ვგუგუებით უნივერსიტეტის კედლებში რეპრესიული აპარატის არსებობას?

სტუდენტებს უნდა დაუბრუნდეთ ის ძალაუფლება, რომელიც მათ კანონიერად ეკუთვნით. ეს ძალაუფლება ახლა დატყვევებული აქვს ნომენკლატურას, იდეოლოგიზებულ ჯგუფს, რომელიც გაურბის საჯაროობას, გამჭვირვალობას და საკუთარ პლატფორმას საზოგადოებრივ ასპარეზზე კარიერული ნახტომისთვის უფრო იყენებს, ვიდრე პირველადი დანიშნულებით – სტუდენტების ხმის გასაუფლებლად სამოქალაქო დისკურსში, ან, როგორც მინიმუმ, მათი ინტერესების წარმოსადგენად.

სტუდენტები ყოველთვის არიან სასიკეთო ცვლილებების ავანგარდში. დღევანდელი სტატუს კვო კი საერთოდ ართმევს მათ ნიადაგს საჯარო, თუნდაც საუნივერსიტეტო სივრცეში რაიმე სახის რეფლექსიისათვის.

თვითმმართველობამ დაარღვია ყველა ის პოსტულატი, რომლის ერთგულებასაც ავალდებულებს წესდება. ე.ი. გვაქვს საფუძველი, გამოვაცხადოთ იგი არალეგიტიმურად და მოვითხოვოთ რიგგარეშე არჩევნები.

ახლა გაჩერებით, პრობლემის ლოკალიზებით და შიდა სამზარეულოზე პროცირებით დაიკარგება საპროტესტო მუხტი, რაც ცვლილებების კატალიზატორად უნდა იქცეს.

„თარგმნა“ გამარჯვება არაა. თარგმნა კომპრომისია. გაღრმავალი ძვალი, რომლის სანაცვლოდაც სტუდენტები საკუთარ ხმას ყიდნან. აჯანყდით!

სახელმძღვანელოს ნახოსი ხანაუხი ბრისთვის?

■ თვითმმართველობამ დაარღვია ყველა ის პოსტულატი, რომლის ერთგულებასაც ავალდებულებს წესდება. ე.ი. გვაქვს საფუძველი, გამოვაცხადოთ იგი არალეგიტიმურად და მოვითხოვოთ რიგგარეშე არჩევნები.

რუსეთი

ჩუსხუნი დუჰდუჰსი

რუსეთის მომავალი პრეზიდენტის ბედი 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალურ თარიღამდე გაცილებით ადრე გაირკვევა. კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე ხუთი თვით ადრე მოქმედი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი საკუთარი კანდიდატურების წამოწევაზე ალაპარაკდნენ.

დიანა ჩაჩუა

2012 წელს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოვლენების განვითარების სამი სცენარი განიხილება: პუტინთან შეთანხმებით კენჭს მედვედევი იყრის, პუტინი კი პრემიერის პოსტს შეინარჩუნებს; საკუთარ კანდიდატურას მხოლოდ პრემიერი პუტინი წამოაყენებს და ამას თანხმდება მედვედევიც, რომელიც მთავრობაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნება; და მესამე ვერსია – არჩევნებში კენჭს რუსული ტანდემის ორივე წევრი იყრის, რაც საზოგადოების მაღალ ინტერესს გამოიწვევს და რუსეთში დემოკრატიის არსებობის ილუზიას უზრუნველყოფს.

14 აპრილის შემდეგ მესამე სცენარი ყველაზე რეალურ ვერსიად განიხილება. რამდენიმე დღის წინ ჩინური ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიოში პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ „სულ მალე“ მიიღებს გადაწყვეტილებას მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ და ამას საჯაროდ გაამხელს.

„ვერაინ ინინასწარმეტყველებს მომავალს, თუმცა შემიძლია გითხრა, რომ როგორც მოქმედი პრეზიდენტი, მე, რა თქმა

უნდა, ვფიქრობ ამაზე. მეტიც, უბრალოდ, ვალდებული ვარ ვიფიქრო,“ – უთხრა მედვედევმა China Central Television-ს.

პრეზიდენტის ამ განცხადებიდან ზუსტად მეორე დღეს ანალოგიური შინაარსის განცხადებას პრემიერი პუტინი აკეთებს:

„არც მე და არც დიმიტრი ანატოლიევიჩი 2012 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას არ გამოვირიცხავთ. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება ადრე თუ გვიან უნდა მივიღოთ, თუმცა ვფიქრობ, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ხმაურის ატეხა სამუშაო პროცესის ნორმალურ სვლას არ შეუწყობს ხელს,“ – თქვა პუტინმა, რომელიც ასევე „მალე“ გეგმავს საბოლოო პასუხის გამჟღავნებას.

საკონსტიტუციო ცვლილებების წყალობით, 2012-ში, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, 6-წლიანი პრეზიდენტობა თამაშდება.


მოსკოვში უკვე გაჩნდა ეჭვები, რომ პუტინ-მედვედევის ტანდემში განხეთქილება მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათის არის. ლიბერალური პარტიის „იბლოკოს“ ლიდერი სერგეი მიტროხინი „ინტერფაქსთან“ საუ-

ბარში ამბობს, რომ ტანდემის დისონანსი შოუს ნაწილია.


„ეს მორიგი ინტრიგაა, რომელიც არჩევნების მიმართ ინტერესის გაზრდას ისახავს მიზნად. ამან ტანდემის მონაწილეთა შორის შეჯიბრის ეფექტი უნდა შექმნას,“ – აღნიშნა მიტროხინმა.

პრემიერსა და პრეზიდენტს შორის განხეთქილების არც საზოგადოებას სჯერა. როგორც Levada Centre-ის გამოკითხვამ აჩვენა, მოსახლეობის 71 პროცენტი ფიქრობს, რომ მომავალი 2-3 წლის მანძილზე პუტინი და მედვედევი კვლავაც ერთ გუნდად იმუშავენ, მხოლოდ 17 პროცენტი ფიქრობს, რომ მათ შორის კონფლიქტი წარმოიშვება. ამავე გამოკითხვიდან ირკვევა, რომ მომავალ წელს პუტინის საპრეზიდენტო კანდიდატის რანგში ნახვა 27 პროცენტს, მედვედევის კი 18 პროცენტს სურს. გამოკითხულთა 25 პროცენტი ისურვებდა, რომ კენჭი სხვა კანდიდატებს ეყარათ.

პუტინს კიდევ ერთი ალტერნატივა აქვს – საპრეზიდენტო კანდიდატად ახალი ლიდერი წამოაყენოს. ეს არჩევანი ჯერჯერობით



პუტინს და მედვედევს შორის მხოლოდ სტილისტური განსხვავებაა, თუმცა უკანასკნელ ორ თვეში პოლიტიკური დაპირისპირების არაერთი ნიშანიც გაჩნდა.



ფოტო REUTERS

■ არჩევნებში კენჭს რუსული ტანდემის ორივე წევრი იყრის, რაც საზოგადოების მალალ ინტერესს გამოიწვევს და რუსეთში დემოკრატიის არსებობის ილუზიას უზრუნველყოფს.

კვლავ მის ხელშია. თუმცა, ეს სარისკო გადაწყვეტილებაა, რადგან პუტინ-მედევევის ტანდემის წარუმატებლობის მიმანიშნებელი იქნებოდა.

ოთხი წლის შემდეგ პუტინის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნება სრულიად კანონიერი იქნება, რადგან კონსტიტუცია ამის უფლებას აძლევს. თუმცა, როგორც დამკვირვებლები ამბობენ, პუტინის კვლავ გაპრეზიდენტება რუსეთისთვის სტაგნაციის საფრთხეა.

„პუტინის დაბრუნება რუსეთში ძალაუფლების სრული პერსონალიზაციის მანიშნებელი იქნება. ეს იქნება სიგნალი ელიტისთვის, რომ ყველაფერი რიგზეა და ცვლილებების საჭიროება არ არსებობს,“ – განაცხადა Center for American Progress-ის რუსეთის და ევრაზიის დირექტორმა სა-

მუელ ჩარაპმა „როიტერთან“ საუბარში.

პუტინს და მედევეს შორის მხოლოდ სტილისტური განსხვავებაა, თუმცა უკანასკნელ ორ თვეში პოლიტიკური დაპირისპირების არაერთი ნიშანიც გაჩნდა.

პუტინის ჩრდილში მყოფი მედევევი საჯარო ღონისძიებებზე და სატელევიზიო გამოსვლებში ცდილობს თავი ცვლილების მომტან კანდიდატად წარმოადგინოს. მარტში მან ჯერ რეფორმისტი მეფის ალექსანდრე მეორის საფლავი მოინახულა, შემდეგ კი მინისტრებს სახელმწიფო კომპანიებში თანამდებობების დატოვება მოსთხოვა და ამისთვის ვადა ოქტომბრამდე მისცა. დასახელებულ გვარებს შორის პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრები არიან.

თუმცა ტანდემში ყველაზე სერიოზული განხეთქილება ლიბიაში ინტერვენციას მო-

ჰყვა. 21 მარტს ბალისტიკური რაკეტების სანარმოს მუშებთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ჯვაროსნული ომისაკენ მოწოდებას შეადარა და რეზოლუციას „დეფექტური და ნაკლოვანი“ უწოდა.

პუტინის კომენტარიდან რამდენიმე საათში პრეზიდენტმა დიმიტრი მედევევემა ჟურნალისტები თავის აგარაკზე შეკრიბა. ტყავის ქურთუკში (წარწერით – „რუსეთის მთავარსარდალი“) გამოწყობილმა პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრი გააკრიტიკა და მის მიერ ლიბიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას მიუღებელი უწოდა.

„მიუღებელია გამონათქვამები, რომლებიც ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებაზე მიანიშნებს“, – აღნიშნა მედევევემა.

ლიბიის მოვლენებთან დაკავშირებით ქვეყნის ლიდერების ურთიერთსაინანაღმდეგო რეაქციებს სატელევიზიო არხებზე ისტერიული გაშუქება მოჰყვა. 19 მარტს რუსეთის სატელევიზიო არხები „დასავლეთის ქვეყნების სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას“ აშუქებდნენ. მედევევის განცხადებიდან 24 საათში რუსეთის პირველი არხის ახალი ამბების გაშუქება 180 გრადუსით შეიცვალა. ახალ ვერსიაში ყველაფერში დამნაშავე მუამარ კადაფი იყო. კადრები კოალიციის თვითმფრინავების გამოჩენით ბედნიერ აჯანყებულებს აჩვენებდნენ.

საკუთარ რეიტინგებზე მუშაობა პუტინმა და მედევევემა განხეთქილების ჯერ კიდევ პირველ ნიშნებამდე დაიწყეს. მარტში ჰოკეისტებთან შეხვედრისას პრეზიდენტი მედევევი მედიას გამოუტყდა, რომ მთელი ცხოვრება ყინულზე თამაშზე ოცნებობდა, თუმცა არასოდეს მდგარა ციგურზე და ბავშვობაში ჰოკეის ქეჩის ჩექმებით თამაშობდა. რუსეთის პრეზიდენტის დიდი ხნის ოცნება პრემიერ-მინისტრმა აისრულა. ძიუდოს ტატამიზე ჭიდაობის, ცხენზე ჯირითის და მდინარეში ცურვის შემდეგ, 14 აპრილს ათლეტური მონაცემების დემონსტრირებას პუტინი უკვე ყინულის მოედანზე ჰოკეის თამაშით შეეცადა.

მოსკოვში ახლა ერთი ანექლოტია პოპულარული: კრემლი პუტინის და მედევევის ბანაკებად არის დაყოფილი. გასარკვევი ისეა, ვის ბანაკს შეუერთდება მედევევი. ■

ფინეთი

"ჭეშმარიტად ფინური" პოლიტიკის ახა

ფინეთის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალისტების წარმატებას სკანდინავიის ამ პატარა ქვეყნისთვის ცივი შხაპის ეფექტი ჰქონდა.

სალა ნაზარენკო, ჰელსინკი



პარტია „ჭეშმარიტი ფინელების“ ლიდერი ტიმო სოინი, ჰელსინკი, 17 აპრილი 2011

ფოტო: ლესლანსა / REUTERS

იტალიის, ბელგიის, შვედეთის, და-ნიისა და სხვათა მსგავსად, ფინეთს პარლამენტში ახლა საკუთარი კონსერვატიულ-პოპულისტური პარტია ჰყავს. ნაციონალისტურმა, ქსენოფობიურმა პარტიამ – „ჭეშმარიტმა ფინელებმა“ არჩევნებში ხმების 19 პროცენტი დააგროვა და პარლამენტში საკუთარი ადგილების რაოდენობა გააოთხმაგა. „ჭეშმარიტმა ფინელებმა“ 200-დან 39 ადგილი დაიკავეს, მაშინ, როცა ყველა სხვა პარტიამ საპარლა-

მენტო ადგილები დაკარგა. „ჭეშმარიტი ფინელებს“ ორი დანარჩენი გამარჯვებული პარტიისგან – „ეროვნული კოალიციის პარტია“ და „სოციალ-დემოკრატები“ – სულ რაღაც რამდენიმე ადგილი აშორებს.

არჩევნების შედეგებს ევროპაში ხმა-მაღალი განცხადებები მოჰყვა, რადგან ეს სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა ევროკავშირმა პორტუგალიისთვის 80 მილიარდი სესხის გამოყოფის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. „ჭეშმარიტი ფინე-

ლები“ საკუთარ პოზიციას პირდაპირ აფიქსირებენ: სხვისი შეცდომების გამო ჩვენ არ გადავიხდით.

ფინეთში „ჭეშმარიტი ფინელების“ წარმატებას ელოდნენ, მაგრამ არა ასეთი მასშტაბით. სოციალურ მედიაში კვირას, ღამითვე გაჩნდა არჩევნების შედეგების მოწინააღმდეგე ჯგუფები, მაგალითად, „შავი ორშაბათი“, რომლის წევრებიც არჩევნების მეორე დღეს ყველას შავი ნიღბების ტარებისკენ მოუწოდებდნენ.

თუმცა ეს ისტორიკა მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა. ამჟამად ფინელები იმის გარკვევას ცდილობენ, თუ რა მოხდება მერე. ფინეთში, ტრადიციულად, სამი დიდი პარტიაა – „ცენტრისტები“, „კოალიციური პარტია“ და „სოციალ-დემოკრატები“. ორმა კოალიცია ჩამოაყალიბა და მესამე პარტია ოპოზიციის ლიდერის როლში დატოვა.

ათწლეულების განმავლობაში, ფინეთში პოლიტიკურ პარტიებს, პირველ რიგში, იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ისინი ერთმანეთისგან საკმარისად არ განსხვავდებიან. და მართლაც – სკანდინავიის სოციალური დემოკრატიის აყვავების ფონზე, რადიკალური ცვლილებების საჭიროება არ იყო. ძირითად საკითხზე ყველა თანხმდებოდა: მაღალი გადასახადები ხელმისაწვდომი და კარგი საჯარო მომსახურების სანაცვლოდ.

თუმცა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფინეთი შეიცვალა. უმუშევრობა 1991-1993 წლების პირველი დიდი ეკონომიკური რეცესიის პერიოდში გახდა აქტუალური. მეორე დიდ რეცესიას – 2008 წელს – ახალი არაფერი მოუტანია, მაგრამ განამტკიცა ის, რაც ყველამ უკვე ისედაც იცოდა: ყველას სამსახური ვერ ექნება, ქვეყანაში მეტისმეტად ბევრი მოხუცია, რომელთაც დიდწილად სახელმწიფო უვლის. ამავდროულად, ფინეთს თავის ისტორიაში მიგრანტების უპრეცედენტო ნაკადი მოაწყდა. მოკლედ, დღეს შესანიშნავი დროა იმიგრაციის მონინალმდეგე პოპულისტების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსაჩენად.

„ჭეშმარიტი ფინელები“ ევროპის კლასიკური პოპულისტური პარტიაა. იგი ეფუძნება: ქსენოფობიურ აზროვნებას, რომელიც შედარებით მსუბუქი, ლტოლვილების მიღების სანინალმდეგო კამპანიიდან ღია რასიზმამდე ვარირებს; ეროვნულ ღირებულებებს (როგორც უნდა იყოს ის); ღარიბებზე ზრუნვას და სხარტ პოპულისტურ გამონათქვამებს. პოპულიზმი, საერთოდაც, პარტია „ჭეშმარიტი ფინელების“ ქარიზმატული ლიდერის ტიმო სოინის განსაკუთრებული ნიჭია. სოინი კათოლიკეა და ევროპარლამენტის წევრი. მისი პარტიის უპრეცედენტო გამარ-

ჯვება მისმა უკიდურესად ქარიზმამ და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან გაიგივების ნიჭმა განაპირობა.

რას არ მისცემდნენ ძველი ფინური პარტიები, რომ საკუთარი სოინი ჰყავდეთ, მაგრამ ფინეთში ქარიზმატული ლიდერები ძალიან იშვიათია. ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ოპონენტმა მას „დიდი ბავშვი“ უწოდა: „როგორც კი პირს გააღებს, მედია ამბობს: ნახეთ, რა საყვარელია.“

კონსტიტუციის თანახმად, პირველ ადგილზე გასული პარტიის (ამ შემთხვევაში „კოალიციური პარტია“) ლიდერი ახალ მთავრობაში ადგილების გადანაწილებაზე მოლაპარაკებებს იწყებს.

ცხადია, „ჭეშმარიტი ფინელები“ მინისტრების ადგილების დაკავებას სურთ – თუმცა, მათი მთავრობაში ჩართვა ყველა მხარისგან დიდ კომპრომიზებს მოითხოვს. უკვე შესამჩნევი ხდება, რომ არჩევნების შემდეგ „ჭეშმარიტი ფინელები“ საკუთარ განცხადებებში უფრო შუალედურ პოზიციებს იკავებენ. რა თქმა უნდა, წინასაარჩევნოდ ფინეთის პრობლემებზე საუბარი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ამ პრობლემების მოგვარება.

ადგილობრივ დონეზე ამ გამარჯვებამ აჩვენა, რომ ფინელებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლი. ფინეთი დემოკრატიული სახელმწიფოა და არჩევნების ეს შედეგი ხალხის არჩევანია. ამის მიუხედავად, ბევრი ლიბერალი „ჭეშმარიტი ფინელების“ წინააღმდეგ პროტესტების მოწყობის იდეით გამოდის, მაშინ, როცა ამ პარტიას პარლამენტში ჯერ ერთი დღეც არ გაუტარებია. მიუხედავად უკმაყოფილებისა, მსგავს პროტესტებს ფინეთში ბევრი მხარდამჭერი არ ჰყავს. განახორციელებენ თუ არა „ჭეშმარიტი ფინელები“ ყველა იმ რადიკალურ ცვლილებას, რის პირობასაც დებდნენ, ამას მხოლოდ მას შემდეგ ვნახავთ, რაც ეს პარტია პარლამენტში მუშაობას დაიწყებს. ერთი რამ ფაქტია, „ჭეშმარიტი ფინელების“ გამარჯვებამ აპოლიტიკური ფინელები ცოტა ხნით მაინც დააინტერესა პოლიტიკით. **□**



საქვალური შეთავაზება



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა
ასოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ყირგიზეთი

ბიშხეხის ხუსუდი ოხიენბასია

ყირგიზეთის განვითარება საბაჟო კავშირში ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო გავლენის ზრდის წინაპირობაა.

ვასო კუჭუხიძე



პუტინი და ატამბაიევი

11 აპრილს ყირგიზეთის მთავრობამ მოინონა გეგმა, რომელიც ქვეყნის საბაჟო კავშირში შესვლას ითვალისწინებს. 15 აპრილს მოლაპარაკებები უკვე იალტაში, ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის შეხვედრაზე გაიმართა. ცნობილია, რომ არაფორმალური შეთანხმება მხარეებს შორის უკვე მიღწეულია.

პრემიერ-მინისტრმა ალმაზბეკ ატამბაიევი RIA Novosti-სთვის მიცემულ ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ მისი ქვეყანა უკვე 2012 წლის 1

იანვრიდან სრულფუნქციონირების სტატუსით ისარგებლებდა. ატამბაიევის განცხადებით: „საბაჟო გაერთიანების წევრობა საშუალებას მისცემს ქვეყანას, გააფართოვოს ბაზარი, გაზარდოს ინდუსტრიული და აგრარული წარმოება, მოიზიდოს ინვესტიციები და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები“.

გასულ წელს მომხდარი სისხლისღვრის შემდეგ საბაჟო კავშირში შესვლა ყირგიზეთის მთავრობისთვის უპირველესად ქვეყნის სტაბილურობის გა-

რანტიანია. შიდა საზღვრების გამართვებისთანავე ერთად საბაჟო კავშირი ასევე გულისხმობს გარე საზღვრის გამაგრებას და ერთობლივ მოქმედებას მის უკეთ დასაცავად.

საბაჟო ტარიფების მოხსნა საგრძნობლად გაამარტივებს ყირგიზეთი საქონლის მოხვედრას კავშირის წევრ ქვეყნებში და ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას. ყირგიზეთის საგარეო ვაჭრობის 44,9 % სწორედ რომ რუსეთსა და ყაზახეთზე მოდის.

საბაჟო კავშირის კანონმდებლობა

ასევე ითვალისწინებს მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას, რაც ავტომატურად გამოიწვევს წვერი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებასაც. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთსა და ყაზახეთში მომუშავე ნახევარ მილიონზე მეტი ყირგიზისათვის.

ამერიკელი და ევროპელი ანალიტიკოსების გათვლით, საზღვრის გახსნა ყირგიზეთში რუსული და ყაზახური საქონლის შედინებას საგრძნობლად გაზრდის, დაბალი ხარისხის ყირგიზული საქონელი კი კონკურენციას ვერ გაუწევს შემოსულ, შედარებით მაღალხარისხოვან პროდუქციას და გაანადგურებს ქვეყნის სანარმოო სექტორს. საბოლოო ჯამში, ეს ექსპორტს შეამცირებს, იმპორტს კი გაზრდის. შესაბამისად, ყირგიზეთი რუსულ პროდუქციაზე დამოკიდებული გახდება.

კავშირს, შიდა ტარიფების შემცირებისა თუ გაუქმების პარალელურად, გაეზრდება გარე ტარიფები, რაც ყირგიზეთის სავაჭრო ურთიერთობას ჩინეთთან უდიდეს დარტყმას მიაყენებს. არადა ჩინური საქონლის გადაყიდვა სხვა ცენტრალური აზიის ქვეყნებში ყირგიზეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ასევე საბაჟო კავშირის მიერ დაწესებულმა გარე ტარიფების სისტემამ შეიძლება, წინააღმდეგობა შეუქმნას ყირგიზეთის მიერ აღებულ ვალდებულებებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომლის წევრიც იგი 1998 წლიდან არის.

ყირგიზეთის გადანყვეტილებამ თეთრი სახლის უკმაყოფილება გამოიწვია. კავშირში განწევრიანების შემთხვევაში ქვეყანაში მანასის სამხედრო საჰაერო ბაზის მომავალი ეჭვქვეშ დგება, ეს მაშინ, როცა

მოსკოვი ბიშკეკთან ახლოს არსებულ საავიაციო ბაზას არ სჯერდება და აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ყირგიზეთის სამხრეთში ომის სამხედრო სანვრთნელი ბაზის შესაქმნელად. ყირგიზეთის საბაჟო კავშირში შესვლა რუსეთს ამ მიზნის მიღწევას გაუადვილებს. შესაბამისად, რუსეთის სამხედრო პოტენციალი ამ რეგიონში იზრდება, ამერიკის კი – მცირდება.

თუმცა, შესაძლოა, საქმე აქამდე არც მივიდეს. რამდენიმე ყირგიზი ანალიტიკოსის ვარაუდით, ბიშკეკის საბაჟო კავშირში განწევრიანება კრემლის სატყუარაა, რათა ყირგიზეთის მხარდაჭერა მოიპოვოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასანწევრიანებლად. როგორც კი რუსეთი მიზანს მიაღწევს, ყირგიზეთის საბაჟო კავშირში შესვლაზე საუბარიც დავიწყებთ მიეცემა. 

RadioCommersant

გილორჯეთ აღდგომას



marketing@commersant.ge
+995 32 505 955

Commersant.ge

ბიზნესის პერსონალური რადიო



რუსეთის „აზოტის“ საწარმო

ეკონომიკა

ანტირუსული ჰისტორია და ხუსული ინვესტიციები

2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს. თუმცა როცა საქმე ბიზნესს ეხება, ოფიციალური თბილისი დაპირისპირებულ მხარესთან ნაცოფიერად თანამშრომლობს.

მანანა ვარდიაშვილი

„მადნეული“, „კვარციტი“, „აზოტი“, „ბილანი“, „ლუკოილ ჯორჯია“, „ხრამჭესი-1“, „ხრამჭესი-2“, „თელასი“, „ვითიბი ბანკ ჯორჯია“ – ეს იმ აქტივების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც რუსეთი საქართველოში ფლობს.

საკაპიტალის ხელისუფლების ანტი-რუსული პოლიტიკის ფონზე საქართვე-

ლოში რუსული კომპანიები წარმატებით საქმიანობენ.

„ჩვენ არ ვაპირებთ, რომ რუსული კომპანიების საქართველოში შემოსვლას ხელი შევუშალოთ. რაც უფრო მეტი ბიზნეს-ინტერესი გაჩნდება, მით უფრო მცირე იქნება პოლიტიკური ზეწოლა“, – განაცხადა საქართველოს

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა Bloomberg -თან ინტერვიუში.

ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ რუსული ინვესტიციებისთვის კარის გაღებით საქართველო პრაგმატულ არჩევანს აკეთებს: გლობალური საფინანსო კრიზისისა და შემცირებული საინვესტიციო ნაკადების ფონზე ის იძულებუ-

ლია, რუსული კომპანიების შემოთავაზებაზე უარი არ თქვას. ჯერჯერობით, საქართველოს საინვესტიციო კლიმატით რუსეთის გარდა ბევრი არაფერი ინტერესდება.

რუსი ეკონომიკური ექსპერტები აღიარებენ, რომ ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო „ლიბერალიზმის ოაზისია“. თუმცა, ისინი საფრთხეებზეც მიუთითებენ: გარანტია, რომ საქართველოში ჩადებული რუსული ინვესტიციები მომავალში ხელისუფლების ჩარევისგან დაცული იქნება, არ არსებობს.

„ინტერ რაო ეესი“

2011 წლის 1 აპრილს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ რუსულ კომპანია „ინტერ რაო ეესთან“ ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურები – „ხრამჭესი-1“ და „ხრამჭესი-2“ რუსული კომპანიის საკუთრება გახდა. ამ ჰიდროელექტროსადგურებში „ინტერ რაო ეესმა“ წლის ბოლომდე 104 მილიონი ამერიკული დოლარი უნდა გადაიხადოს და მდინარე ხრამზე დამატებით კიდევ სამი ელექტროსადგური ააშენოს. „ხრამი-3“, „ხრამი-4“ და „ხრამი-5“ ჰესების ჯამური სიმძლავრე 90-100 მეგავატი იქნება. „ინტერ რაო ეეს-

მა“ ამ ობიექტების მშენებლობაში 193 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს. ახალი ჰესები ექსპლუატაციაში 2016 წელს შევა.

„ინტერ რაო ეესი“ „ხრამჭესი-1“-სა და „ხრამჭესი-2“-ს აქამდეც მართავდა. ქართულმა მხარემ რუსულ კომპანიას ეს ჰესები 25-წლიანი მართვის უფლებით ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს – 2000 წელს გადასცა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლას არ დაელოდა და „ინტერ რაო ეესს“ ჰესები კერძო საკუთრებაში გადასცა. „საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს“, – ამბობს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური. ქართული მხარე აცხადებს, რომ „ინტერ რაო ეესისთვის“ „ხრამჭესი-1“-სა და „ხრამჭესი-2“-ს გადაცემით, კომპანიას ამ ჰესების განვითარების სტიმულს მისცემს.

„ინტერ რაო ეესის“ ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, კომპანია მონაწილეობას მიიღებს საქართველოში არსებული ელექტროე-

ნერგეტიკული საწარმოების პრივატიზაციის პროცესში და საქართველოდან რუსეთისა და თურქეთის მიმართულებით განხორციელებული ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობას გაზრდის.

საქართველოს მთავრობა კომპანია „ინტერ რაოსთან“ წლებია თანამშრომლობს. „ინტერ რაოს“ საკუთრებაშია თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასის“ აქციათა 75 პროცენტი („თელასის“ აქციები რუსულ კომპანიას ამერიკულმა AES-მა მიჰყიდა და არა სახელმწიფომ), მე-9 და მე-10 ენერგობლოკების აქციათა 100 პროცენტი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი ქართულმა მხარემ „ინტერ რაო ეესს“ მართვაში გადასაცა ენერჯის, რომელიც ქვეყნის მთლიანი ელექტროენერჯის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს. რუსები განკარგავენ რუსეთთან დამაკავშირებელ მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან გადამცემ ხაზსაც.

ენერგეტიკის ქართულ ბაზარზე კიდევ ერთი რუსული კომპანია ფუნქციონირებს – რუსული „Itera“-ს შვილობილი კომპანიაა „იტერა საქართველო“, რომელიც საქართველოს რეგიონების ნაწილს ბუნებრივი აირით ამარაგებს.

უსაზოჯი ინვესტიციები საქართველოში

2004-2009 წლებში რუსული ინვესტიციის სახით საქართველოში 450 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც ინვესტიციების საერთო მოცულობის 7 პროცენტია.

„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, 2010 წელს საქართველოში 553.1 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, გასული წლის ყველაზე მსხვილი ინვესტორი ნიდერლანდია – 143.2 მლნ აშშ დოლარი; შემდეგ მოდის აშშ – 108.4 მლნ აშშ დოლარით; მესამე ადგილზე 51.3 მლნ აშშ დოლარით კი რუსეთია.

„ინსაი ხაო ეესი“



ჰოლდინგ „ინტერ რაო ეესის“ საქმიანობის მთავარი სფერო ენერგეტიკაა. კომპანიას წამყვანი პოზიცია უკავია რუსეთში ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის სფეროში. მისი მთავარი სტრატეგია გლობალური ენერგეტიკული კომპანიის შექმნა და

მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის მთავარ მოთამაშედ ჩამოყალიბებაა. „ინტერ რაო ეესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი. საბჭოს წევრია ასევე რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი სერგეი შმატკოც.

„ინტერ რაო ეესი“ აქტივებს მსოფლიოს 27 ქვეყანაში ფლობს. ელექტროენერჯის გენერაციის სფეროში რუსეთის ფარგლებს გარეთ

არსებული მისი აქტივების ჯამური სიმძლავრე 5 722 მეგავატია. მის მფლობელობაშია: 9 ჰესი, 1 აესი და 3 თესი.

2010 წელს „ინტერ რაო ეესმა“ საქართველოში 212 მილიონი კილოვატსაათის ელექტროენერჯის ექსპორტი და 1.1 მილიარდი კილოვატსაათის იმპორტი განახორციელა. ელექტროენერჯის იმპორტის დონე 2009 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა.



მადნეულის საბადოები კაზრეთში

"GEPROMINING"

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების შემოღების შემდეგ საქართველოს საექსპორტო საქონლის ათეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პირველად ბოლო წლების განმავლობაში, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში გადამამუშავებელი მრეწველობის – „მადნეულის“ და „აზოტის“ პროდუქცია გაჩნდა. ამ კომპანიების ზურგს უკან კი რუსული წარმოშობის კაპიტალი დგას.

დღეს საქართველოში ოქროს მოპოვებას, გადამამუშავებასა და წარმოებას ერთი ბიზნეს-ჯგუფი კურირებს. 2005 წლის ნოემბერში რუსული „პრომიშლენი ინვესტორის“ (ამ კომპანიის დამფუძნებელი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი სერგეი გენერალოვია) შვილობილმა ბრიტანულმა კომპანიამ „STANTON EQUITIES CORPORATION“-მა ტენდერში გაიმარჯვა და სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ 97,25 პროცენტი იყიდა.

ინვესტორმა, რომელმაც „მადნეული“ შეიძინა, ოქროს შემცველი მეორადი კვარციტების გადამამუშავებელი შპს „კვარციტის“ 51 პროცენტი და „საქართველოს სამთამადნო კომპანიის“ 100 პროცენტზე მიიღო. ეს უკანასკნელი ბოლნისის რაიონის 36 საბადოზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიას ფლობს. „მადნეულის“ რამდენიმე შვილობილი კომპანიის გარდა, „STANTON EQUITIES

CORPORATION“-ს შპს „ტრანს ჯორჯია რესორსი“ ერგო, რომელიც საყდრისის საბადოზე წიაღით სარგებლობის კომპლექსურ ლიცენზიას ფლობს. ამ საბადოზე დათვლილი 40 ტონაზე მეტი ოქრო, ორჯერ მეტი ვერცხლი და 100 ათას ტონამდე სპილენძი რენტაბელურ ამოღებას ექვემდებარება.

2007 წლიდან სს „მადნეულის“ და სს „კვარციტის“ აქციები „პრომიშლენი ინვესტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სიმან პოვარიონკინს გადაეცა. გარიგების შედეგად, სს „მადნეულის“ და „კვარციტის“ მფლობელი კომპანია „GEPROMINING“-ი გახდა.

ამჟამად საქართველოს ექსპორტის 5,4 პროცენტს სს „მადნეული“ შვილობილ კომპანია – შპს „კვარციტთან“ ერთად აწარმოებს. თუ 2004 წელს საქართველოდან საექსპორტოდ 18 მლნ 830 ათასი აშშ დოლარის ოქრო გავიდა, 2010 წელს საზღვარგარეთ გაყიდული ოქროს ღირებულება 85 მლნ 788 ათას აშშ დოლარს აღწევს, რაც საქართველოს ექსპორტის 5,4 პროცენტია.

დღეს სს „მადნეული“ ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და სხვა ლითონების მოპოვებაზე რამდენიმე ლიცენზიას ფლობს. ოქრო მეორადი კვარციტული მადნებიდან მოიპოვება. წლის განმავლობაში კომპანია 100 ათას უნციამდე ოქროს გადასამუშავებლად კანადურ ორგანიზაციაში – „ჯონსონს მათიუ“-ში აგზავნის.

„აზოტი“

რუსული ინვესტიციები დგას რუსთავის „აზოტის“ უკანაც. რუსულმა „ვენეშტორგბანკმა“ სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტი“ 2004 წელს დააფუძნა. „ენერჯი ინვესტი“ საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით დაარსდა. კომპანიამ საქართველოს ეკონომიკაში ას მილიონ დოლარზე მეტის დაბანდება გადაწყვიტა.

„ენერჯი ინვესტმა“ რუსთავის „აზოტის“ საწარმო 2005 წელს შეიძინა და კომპანიაში 20 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო. ინვესტიციის ნაწილი აზოტმწყავას წარმოების ამოქმედებას და საწარმოს გადაიარაღებას მოხმარ-

"365სსოხბანაი"

რუსული „ვენეშტორგბანკი“ და მისი შვილობილი ბანკები საბანკო მომსახურებას ახორციელებენ რუსეთში, დსთ-ში, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. მას ამ ქვეყნებში 957 ოფისი აქვს. 2010 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, „ვენეშტორგბანკი“ აქტივების სიდიდის (3 753 მლრდ რუბლი) მიხედვით მეორე საფინანსო ჯგუფი იყო რუსეთში.

„ვენეშტორგბანკის“ მთავარი აქციონერი რუსეთის ფედერაციის მთავრობაა. ვენეშტორგბანკის აქციათა 75,5 პროცენტი სწორედ რუსეთის ფედერაციის მთავრობას ეკუთვნის.

და. რეკონსტრუქციის შემდეგ სანარმო სრული დატვირთვით ამუშავდა. „ენერჯი ინვესტს“ ეკუთვნის გარდაბნის აირტურბინული ელექტროსადგურიც.

„აზოტის“ ყველაზე მომგებიანი პროექტი აზოტოვანი სასუქების (გვარჯილა) წარმოებაა. გვარჯილა ექსპორტზე, ძირითადად, სამხრეთ კავკასიაში, ევროპასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გადის. „აზოტი“ აწარმოებს: ამონიუმის გვარჯილას, ამონიუმის სულფატს, ნატრიუმის ციანიდს, ამიაკს, ნახშირორჟანგს, ჟანგბადს, აზოტს, აზოტმჟავასა და მშრალ ყინულს.

თუ 2005 წელს ექსპორტზე 35 მლნ 838 ათასი აშშ დოლარის მინერალური სასუქი გავიდა, 2010 წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანილი სასუქის ღირებულება 72 მლნ 113 ათას აშშ დოლარს აღწევს, რაც ქართული ექსპორტის 4,6 პროცენტია.

Energy Invest-ის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ კომპანიამ „საკუთარ კაპიტალზე გამოსცადა ქართული საინვესტიციო გარემოს საიმედოობა“. ეს ჩანაწერი მანამდეა გაკეთებული, ვიდრე გასულ წელს „ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორს გენო მალაზონიას 165 მილიონ ლარზე მეტი უკანონო შემოსავლების მიღებისთვის დააკავებდნენ. პროკურატურის ცნობით, მალაზონია საბუღალტრო აღრიცხვას ლიცენზირების პირობების დარღვევით აწარმოებდა. დაკავებიდან 2 თვის შემდეგ მალაზონია საპროცესო გარიგების საფუძველზე გაათავისუფლეს.

გენო მალაზონიას რუსულ „ენემტორგბანკთან“ დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. 1996-1997 წლებში ის „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ვანო ჩხარტიშვილის მრჩეველი იყო. ქართველმა მფლობელებმა „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საკონტროლო პაკეტი 2005 წელს „ენემტორგბანკს“ მიჰყიდეს. ბანკი, რომლის მთავარი აქციონერი რუსეთის მთავრობაა, ამჟამად „ვითიბ ბანკ ჯორჯიას“ აქციების 92,57 პროცენტს ფლობს.

ბილაინი



შპს „მობიტელი“ – ქართული GSM ოპერატორია. ის ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე „ბილაინის“ ბრენდით ოპერირებს. შპს „მობიტელი“ 2003 წელს დაარსდა, თუმცა კომერციულ საქმიანობას 2007 წლიდან ახორციელებს. „მობიტელის“ აქციათა 51 პროცენტი სს „ვიმპელკომს“ ეკუთვნის.

„ბილაინმა“ გასულ წელს საქართველოში 18.11 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. 2010 წელს კომპანიის აბონენტთა აქტიური ბაზა 40 პროცენტით, ხოლო მოგება 11 პროცენტით გაიზარდა: კომპანიის წმინდა მოგებამ (დაბეგვრამდე) 3 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. „ბილაინი“ ამჟამად ქართული მობილური კავშირგაბმულობის ბაზრის 13 პროცენტს აკონტროლებს. მას 1 მილიონამდე აბონენტი ჰყავს.

Vimpelcom

„ვიმპელკომი“ გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიაა, რომელიც რუსული „ვიმპელკომისა“ და უკრაინული „Kievstar“-ის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. მისი აქციონერები არიან რუსული კომპანია Altimo (39,19%) და ნორვეგიული Telenor (39,58 %). დანარჩენი აქციები მცირე აქციონერებს

ეკუთვნით. „ვიმპელკომის“ კომპანიის ჯგუფში გაერთიანებულია: რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, სომხეთის და საქართველოს GSM ოპერატორი კომპანიები. 2010 წელს „ვიმპელკომის“ სუფთა მოგება 49 პროცენტით, 1,7 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. გა-

სულ წელს კომპანიის აბონენტთა რაოდენობამ 92,7 მილიონ ადამიანს მიაღწია. 2011 წლის 15 აპრილს „Vimpelcom LTD“ „Wind Telecom S.P.A“ –სთან გაერთიანდა. ამ გაერთიანების შედეგად ის ამჟამად მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიდიდით მეექვსე ბიზნეს-ჯგუფის წარმომადგენელია.

ჩხუპი ჰიპოთეკა: სახაზმობი ანისიმოვს მხეხდა

რუსული გაზეთის – „ნეზავისიმია გაზეთა“-ს ინფორმაციით, 2010 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცნობილ რუს ბიზნესმენს, „მეტალიონვესტის“ ერთ-ერთ მფლობელს ვასილ ანისიმოვს შეხვდა. როგორც რუსული გაზეთი წერს, შეხვედრის თაობაზე პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვა არ იყო ინფორმირებული. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ლონდონში სააკაშვილი არა სახელმწიფო თვითმფრინავით, არამედ ანისიმოვის პირადი Embraer-ით გადაფრინდა. გამოცემის ინფორმაციით, გასაიდუმლოებული შეხვედრის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა იყო. „ნეზავისიმია გაზეთა“-ს ინფორმაციით, კრემლსა და თბილისს შორის ურთიერთობის განახლებაში მთავარი როლი, შესაძლოა, მსხვილმა კაპიტალმა შეასრულოს. გამოცემის ინფორმაციით, ანისიმოვს აქვს რამდენიმე კოზირი, რის გამოც სააკაშვილი მასთან კონტაქტზე წავიდა. ეს კოზირებია „მეტალიონვესტის“ მფლობელის ახლო ურთიერთობა რუსეთის პრეზიდენტ მედვედევთან და მისი ზეგავლენა საინვესტიციო ფონდ „სელფორდზე“, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა 2000 წელს შექმნა. ფონდის საბაზრო აქტივები 2,5 მილიარდ დოლარს აჭარბებს, რაც საქართველოსთვის გიგანტური ციფრია.



ფოტო თემო პარპინაძე

„ლუკოილის“ ბენზინგასამართი სადგური თბილისში

Lukoil

ღია სააქციო საზოგადოება „ლუკოილი“ ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიაა. ის დადასტურებული ნავთობის მარაგების სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ნავთობ-პროდუქტების წარმოების მიხედვით კი – მე-9 ადგილზე.

„ლუკოილს“ ეკუთვნის ნავთობის მსოფლიო მარაგის 1,1 და ნავთობის მსოფლიო მოპოვების 2,3 პროცენტი. მასზე მოდის რუსეთის ნავთობმოპოვების 17,8 და ნავთობის გადამუშავების 18,2 პროცენტი. ის რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ბიზნეს-ჯგუფია. მისი სუფთა მოგება 9 მლრდ აშშ



დოლარს აღემატება. არის გადასახადების ერთ-ერთი მსხვილი გამამხდელი რუსეთში. 2010 წელს „ლუკოილმა“ გადასახადების სახით რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში 30,2 მლრდ დოლარი შეიტანა. ლუკოილის დირექტორთა საბჭოს წევრია რუსეთის ფედერაციის უშიშროების სა-

ბჭოს ყოფილი თავმჯდომარე იგორ ივანოვი. ის სააქციო საზოგადოება „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოში სტრატეგიისა და ინვესტიციების კომიტეტის თავმჯდომარეა. 2010 წლის დასაწყისისთვის ლუკოილის ნავთობის მარაგი 13 696 მლნ ბარელს შეადგენდა, გაზის მარაგი კი 17 504 მლნ ბარელს.

„ლუკოილ ჯორჯია“

შპს „ლუკოილ ჯორჯია“ რუსული სააქციო საზოგადოება Lukoil -ის შვილობილი კომპანიაა. ის საქართველოში 2002 წლიდან ფუნქციონირებს. საქართველოს ტერიტორიაზე „ლუკოილის“ სავაჭრო ნიშნით 69 ავტოგასამართი სადგური მოქმედებს. აქედან 33 – თბილისში.

ნავთობ-პროდუქტების ქართულ ბაზარზე სანვავის იმპორტსა და დისტრიბუციას შვიდი კომპანია ახორციელებს. აქედან ბაზრის დიდი წილი მსხვილ კომპანიებს: „სოკარს“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“, „რომპეტროლ საქართველოს“ და „ლუკოილ ჯორჯიას“ აქვთ გადანაწილებული. შესაბამისად, სანვავზე ფასების საერთო დონეს ბაზარს ისინი კარნახობენ.

ნავთობ-პროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა



ფოტო: ბატი ბულავაძე

მაგისტრალური გაზსადენი

კავშირმა 2010 წლის შედეგების თანახმად, ნავთობ-პროდუქტების სექტორიდან ბიუჯეტში ყველაზე მსხვილ გადამხდელ ორგანიზაციებს შორის მე-3 ადგილზე „ლუკოილ ჯორჯია“ დაასახელა (პირველ-მეორე ადგილზე „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ და „რომპეტროლ საქართველო“ გავიდნენ). „ლუკოილ ჯორჯიამ“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გასულ წელს 70 მილიონი ლარი გადაიხადა.

მაგისტრალური გაზსადენი

221 კმ სიგრძის მაგისტრალური გაზსადენი საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება და საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება. ამ მილსადენით ბუნებრივი აირი საქართველოს და სომხეთს მიეწოდება.

საქართველოს პარლამენტმა მაგისტრალური გაზსადენი სტრატეგიული

ობიექტების ნუსხიდან უკვე ამოიღო. კანონის თანახმად, ობიექტის გასხვიება უკვე ნებადართულია. მილსადენის შექმნით დაინტერესებულია სომხეთი და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია. თუმცა, ყველაზე პოტენციურ ინვესტორად მაინც რუსეთის გაზის მონოპოლისტი „გაზპრომი“ განიხილება.

„გაზპრომისთვის“ მილსადენის მიყიდვის შესახებ საუბარი პირველად არ დანყებულა. ამ თემაზე დისკუსია ხუთი წლის წინაც მიმდინარეობდა. თუმცა მაშინ აშშ-მ და თბილისმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, თბილისს მილსადენის მოდერნიზებისთვის ფული მისცეს. სანაცვლოდ კი, საქართველოს მთავრობამ პირობა დადო, რომ მაგისტრალურ გაზსადენს არ გაყიდდა. მილსადენის რეაბილიტაციას 35 მლნ აშშ დოლარი

მომხარდა. „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში აშშ-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებას კი ვადა 2011 წლის 7 აპრილს ამოეწურა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტი საქართველოს პარლამენტში მილსადენის პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვას დაემთხვა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ კლინტონი ამ თემაზეც გააკეთებდა განცხადებას. თუმცა, ცნობები იმის შესახებ, რომ სააკაშვილთან მოლაპარაკებების დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გაზსადენის საკითხი დააყენა, არ გავრცელებულა. თუ სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან მილსადენის გასხვიების თაობაზე წინააღმდეგობა აღარ არსებობს, რუსული ბიზნესი საქართველოში, შესაძლოა, კიდევ უფრო გაფართოვდეს. ■



სტეფან კოენის მკვლელობის საქმე

მკვლელობა 412-ე ოთახში

თბილისის საქალაქო სასამართლო ორი კვირაა, ფრანგი ინჟინრის სტეფან კოენის მკვლელობის საქმეს განიხილავს. თუმცა პროცესი მთავარი მოწმის, კოენის ქართველი მეგობრის დაკითხვის გარეშე ჩაივლის. სასამართლო განხილვამდე სამი დღით ადრე ირაკლი ქუთათელაძე საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალნი იპოვეს.

რუსულად ფანოზიშვილი

სასამართლო სხდომა არა მარტო ჟურნალისტებისთვის, დაზარალებული მხარისთვისაც დახურულია. ბრალდებული არასრულწლოვანია, ამიტომაც, პროცესზე დასწრების უფლება, მისი მშობლების გარდა, არავის აქვს.

ფრანგი ინჟინრის მკვლელობაში ბრალდებული 17 წლის ბიჭის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლითაა აღძრული: განზრახ მკვლელობის (№108-ე) ქურდობისა (177-ე) და იარაღის ტარებისათვის (238-ე).

მონმეებად გამოძახებული მასწავლებლები თავიანთი მოსწავლის სასამართლო პროცესს სხდომის დარბაზის ფანჯრებიდან ტირილით ადევნებდნენ თვალს.

„წყნარი მოსწავლე იყო. გონებაგახსნილი არ იყო, სიგარეტიც მოუწევია ერთი -ორჯერ, ხშირად აცდენდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ამ გაცდენებს ასაბუთებდა“, – იხსენებს ბრალდებული

ბულის დამრიგებელი ლაურა მუშნიანი, რომელიც 131-ე სკოლაში, რუსულ სექტორზე ასწავლის.

ექვმიტანილმა მკვლელობა დაკავებისთანავე აღიარა. თუმცა, ახლა მისი ადვოკატი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ბიჭმა 25 წლის ფრანგი ინჟინერი სასტუმროს ოთახში სექსუალური ძალადობის დროს, თავის დაცვის მიზნით, აფექტის მდგომარეობაში მოკლა. ადვოკატი ნინო კაკაურიძე არასრულწლოვანისთვის თავისუფლების 1-დან 3 წლამდე აღკვეთას ითხოვს.

თუმცა საქმეში, რომელიც პროკურატურამ კოენის მკვლელობაზე აღძრა, ფრანგი ინჟინრის სექსუალური ორიენტაცია და ძალადობის მოტივი საერთოდ არ არის ნახსენები. პროკურატურის დადგენილებაში ბრალდების შესახებ ნათქვამია, რომ ბრალდებულმა კოენი შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა.

27 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა 17 წლის მოზარდის აღიარებითი ჩვენება. ვიდეოში ბრალდებული სტეფან კოენის მხრიდან სექსუალური ძალადობის ფაქტს საერთოდ არ ახსენებს და ამბობს, რომ ფრანგ მამაკაცს დანა მას შემდეგ დაარტყა, რაც მასთან შელაპარაკება მოუვიდა.

„მონვეა მომინდა. გავედი გარეთ, მოენიე. უკან რომ დავბრუნდი, ცოტა ხნის მერე, მოგვივიდა შელაპარაკება, ამოვიღე დანა და პირველი დარტყმა იყო ყელში. ის გარეთ გამოვარდა და ყვირილი დაიწყო. მე დავიბენი, სიტუაცია ვერ მოვტყინე და უკან შემოვადე სტეფანა და ცოტა ხნის მერე გარდაიცვალა. მერე, ჩემი აზრით, დაცვა იყო, კარზე აკაკუნებდნენ, გააღე კარიო, მეუბნებოდნენ. მე ვუთხარი, რომელი ხარ, ცოტა ხანი დამელოდე-მეთქი. მაგ მომენტში ავიღე ლეპტოპი, მაგის ფოტოაპარატი და გავიქეცი“.

თუმცა იმავე დღეს, 27 იანვრით დათარიღებულ ჩვენების ოქმში ბრალდებული აღნიშნავს, რომ სასტუმროს ოთახში კოენმა მას უთხრა, რომ „ბიჭები მოსწონდა“, შემდეგ „ტანსაცმლის გახდა მოსთხოვა და მოფერება დაუნყო“. უარის მიღების შემდეგ კი ფრანგმა მამაკაცმა მოზარდზე ძალადობა სცადა.

ბრალდებულის ჩვენების ოქმის ეს დეტალი პროკურატურის დადგენილებაში ვერ მოხვდა. ეს ინფორმაცია არ მოხვდა არც იმ სიუჟეტებში, რომელიც მკვლელობის შემდგომ დღეებში ნაციონალურ ტელეარხებზე მზადდებოდა.

25 წლის სტეფან კოენი თბილისში ტრამვაის ხაზის გაყვანის პროექტზე მუშაობდა. მისმა დამქირავებელმა კომპანია SYSTRA-მ ხელშეკრულება თბილისის მერიასთან გააფორმა.

კოენი თბილისში 2011 წელს პირველად არ ჩამოსულა. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ამბობენ, რომ ფრანგი ინჟინერი, თანამშრომლებთან ერთად უკვე მესამედ იყო მათი სტუმარი და დარჩენას თებერვლის დასაწყისამდე გეგმავდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სტეფან კოენმა და 17 წლის ბიჭმა ერთმანეთი მთანმინდის პარკში, 2011 წლის იანვარში, მკვლელობამდე, დაახლოებით, ორი კვირით ადრე გაიცნეს.

„გაეცნო, როგორც სპორტსმენი, 6 წელი ცურვაზე დავდიოდი. ეს ბავშვი ეკონომიკურად გაჭირვებულია, იფიქრა ალბათ, მივალნევ რამესო და დაინტერესდა ამ სპორტით. ფრანგმა კუს ტბაზე წასვლა შესთავაზა,“ – ჰყვება ბრალდებულის ადვოკატი. ახლად გაცნობილები კუს ტბაზე იმავე დღეს ავიდნენ, ფოტოები გადაიღეს და ტელეფონის ნომრები გაცვალეს. 2 კვირის შემდეგ კოენი და ქართველი მოზარდი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრა „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა. ბრალდებულის ადვოკატი ამბობს, რომ შეხვედრის ინიციატორი კოენი იყო: „უთხრა, რა კარგები ხართ ქართველებიო. მადლობა, რომ ასეთ ყურადღებას მაქცევ, მოდი ჩემთან

სასტუმროში, გავერთოთ, წვენი დავლიოთო.“ პროკურატურის დებულებაში კი ნათქვამია, რომ არასრულწლოვანმა ფრანგ სტუმარს სასტუმროში შეხვედრა თავად შესთავაზა.

ბრალდებულის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც სასამართლოს არ დაუკითხავს, „ლიბერალს“ უთხრა: „იმ ტიპთან სანამ წავიდოდა, მე მიუთხრა, ფოტოაპარატი უნდა მაჩუქოსო, და იმიტომ მივდივარო“.

26 იანვარს, საღამოს 8 საათსა და 15 წუთზე სტეფან კოენი და მისი ქართველი ნაცნობი ერთმანეთს თავისუფლების მოედანზე შეხვდნენ.

სასტუმროს ლიფტის კამერებმა საქმის სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც გადაიღეს: „ჩვენ რომ გამოძიებას კადრები მივეცი, იქ კარგად ჩანს, რომ კოენი და მისი მეგობარი სამჯერ

■ საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სტეფან კოენმა და 17 წლის ბიჭმა ერთმანეთი მთანმინდის პარკში, 2011 წლის იანვარში, მკვლელობამდე, დაახლოებით, ორი კვირით ადრე გაიცნეს.

ერთად ჩადიან და უკან ბრუნდებიან ლიფტით. თუმცა, ამის შესახებ ტელევიზიებს ინფორმაცია არ გადაუციათ. მხოლოდ ის აჩვენეს, როგორ ჩამოვიდა ერთხელ არასრულწლოვანი სიგარეტის მოსაწვევად და უკან დაბრუნდა. არადა, ეს იყო ბოლო, მეოთხე გამოსვლა,“ – ამბობს „ქორთიარდ მარიოტის“ დაცვის ზედამხედველი ზაზა კვარაცხელია.

კოენისა და არასრულწლოვანის სასტუმროში შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ფრანგმა სტუმარმა სასტუმროს ადმინისტრაციას მეორე ბარათის – 412-ე ოთახის გასაღების დამზადება სთხოვა. ეს ფაქტი „ქორთიარდ მარიოტის“ სათვალთვალ კამერებმაც დააფიქსირეს. კონკრეტულად ვისთვის ან რისთვის სჭირდებოდა კოენს საკუთარი ოთახის გასაღების დუბლიკატი, უცნობია. თუმცა, და-

ნამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბარათის დამზადების მომენტში კოენი და მის მკვლელობაში ბრალდებული უკვე იცნობდნენ ერთმანეთს.

27 იანვარს, ღამის პირველ საათზე სასტუმროს დაცვის სამსახურში ტელეფონის ზარი გაისმა. სტუმარი 416-ე ნომრიდან რეკავდა და ჩიოდა, რომ გვერდითა ოთახიდან საშინელი ხმაური გამოდიოდა.

დაცვის თანამშრომლები მეოთხე სართულზე რამდენიმე წამში ავიდნენ. დერეფანში სამარისებული სიჩუმე იდგა. თუმცა, უჩვეულო რამ ხდებოდა 412-ე ნომერთან. კარის მარცხნივ, ერთ ადგილას სისხლით ადამიანის ხელი იყო გამოსახული. სისხლით იყო მოსვრილი ოთახში შესასვლელი კარიც. „ეს კვალი ისეთი იყო, თითქოს ვიღაც კედელს ეჭიდებოდა, მაგრამ

შიგნით მიათრევდნენ“, – იხსენებს დაცვის თანამშრომელი.

დაცვის თანამშრომლებმა პატრულს გამოუძახეს. სტანდარტული წესების თანახმად, მსგავს შემთხვევებში სასტუმროს დაცვას მხოლოდ პოლიციის თანხლებით აქვს ჩარევის უფლება. თუმცა, პოლიციის მოსვლამდე თანამშრომლებმა კარზე დააკაკუნეს: „ბიჭებო, ყველაფერი კარგად არის, აღარ გვჭირდებით,“ – გაისმა პასუხი ქართულ ენაზე 412-ე ნომრიდან.

რა მოხდა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საღამოს 21.00 საათიდან ღამის 01.00 საათამდე დროის ინტერვალში?

ბრალდებულის დაცვის ვერსია: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა და სტეფან კოენმა ოთახში რამდენიმე საათი გაატარეს – ფოტოებს ათვალეიერებდნენ, მერე კოენმა ბრალდებულს თავისი

ლექტორი აჩვენა. შემდეგ კოენმა არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარება სცადა. „როგორც ბავშვი ჰყვება, კოენმა ერთი ხელი ყელში მოჰკიდა, მეორეთი კი ხელები დაუჭირა. დამაგდო სანოლზე და მითხრა, გაიხადე, მოგეწონებაო. ამას უთქვამს, შენ რა, „ცისფერი“ ხომ არ ხარო და ამ დროს ჩხუბი მოხდა. ბავშვი ამბობს, რომ ცალ ხელს ვერ ითავისუფლებდა, მეორეთი კი ყელში დანა გამოუსვა,“ – ჰყვება ადვოკატი ნინო კაკაურიძე.

კოენს ბრალდებულმა ჯერ ყელი გამოჭრა, შემდეგ ტანზე მრავალი ჭრილობა მიაყენა. მოზარდის თქმით, დაჭრილი ფრანგი გარეთ გაქცევას ცდილობდა, თუმცა მან შემოაბრუნა და კიდევ დაარტყა დანა.

გამოძახებიდან 5 წუთში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ მეოთხე სართულზე პატრულის თანამშრომლები გამოჩნდნენ. 10 წუთში კი კრიმინალური პოლიცია მოვიდა.

412-ე ოთახში შესულ პოლიციელებს ასეთი სურათი დახვდათ: „ორგვლივ ყველაფერი სისხლით იყო დასერილი. ლოგინი ანგრეული, სკამი წაქცეული, აბაჟურები მომტვრეული იყო. ოთახის შესასვლელში იატაკზე სტეფან კოენის გვამი ეგდო,“ – იხსენებს „ლიბერალთან“ საუბრისას სასტუმროს დაცვის ზედამხედველი ზაზა კვარაცხელია, რომელიც პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ოთახში ერთ-ერთი პირველი შევიდა.

პატრულის თანამშრომლები უკვე სასტუმროში იყვნენ, როცა 17 წლის მოზარდმა სასტუმროს მეოთხე სართულის ფანჯრიდან გაქცევა მოახერხა. წასვლამდე მან სტეფან კოენის ლექტორი, ფოტოაპარატი და მობილური ტელეფონები მოკლულის ჩანთაში ჩააწყო და თან გაიყოლა. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ მესამე სართულის ფანჯრის მინებს ახლაც ატყვია ბრალდებულის ფეხსაცმელების კვალი. მეორე სართულზე, ხრეშით მოპირკეთებულ აივანზე კი დარჩენილია ჩაღრმავება – აქ ბიჭი მეოთხე სართულიდან გადმოხტომის შემდეგ დაეცა. მოზარდი მიიმალა, თუმცა შემთხვევის

ადგილზე მნიშვნელოვანი სამხილები დატოვა – აივანზე დანა დაუფარდა, ოთახში კი თავისი ჩანთა დარჩა.

„ჩვენს ერთ მეგობარს დაურეკა და ბოლოჯერ უნდა გნახო, უთხრა. ყველაფერი მოუყვა. მერე ჩემთან მოდიოდნენ, ჩემთვის უნდა მოეყოლათ“, – იხსენებს მოზარდის მეგობარი. ბრალდებული სწორედ მასთან მიდიოდა, როცა 27 იანვარს, დილით პოლიციამ აფრიკის რაიონში, საკუთარ უბანში ის თავის მეგობართან ერთად დააკავა.

სასამართლო პროცესზე ყველაზე დიდხანს სწორედ ბრალდებულის იმ მეგობრის დაკითხვა გაგრძელდა, რომელთან ერთადაც იგი დააკავეს.

სასამართლოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფსიქიატრის ჩვენებაა: ფსიქიატრმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე ნახა. მან ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა უნდა შეაფასოს.

„აფექტის მდგომარეობას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს, მაგალითად: რამდენად მკაფიო აღქმის უნარი აქვს, რამდენად ბუნდოვანია მეხსიერება, რამდენად აანალიზებდა საკუთარ ქმედებებს. ახსოვს თუ არა ყველაფერი თანმიმდევრულად. ეს ექსპერტმა უნდა გამოავლინოს,“ – ამბობს გარდაცვლილი კოენის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი.

არასრულწლოვანს სასჯელი მხოლოდ აფექტის დამტკიცების შემთხვევაში შეუმსუბუქდება.

ფონდ „ინკლუზივის“ ხელმძღვანელი პაატა საბელაშვილი, რომელიც საქართველოში ლგბტ (სექსუალური უმცირესობები) პირების უფლებების დაცვაზე მუშაობს, ამბობს, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტები ხშირად მიჩქმალული და გაუხსნელი რჩება.

„ასეთი რაღაცეები ხშირად ხდება, უბრალოდ, არ ხმაურდება ხოლმე“ – ამბობს საბელაშვილი. მისი თქმით, პრობლემა ისიც, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, როგორც დამამძიმებელი გარემოება. ანუ, ჰომოფობიური მოტივი ძალადობის ფაქტს არ ამძიმებს.

ფრანგი ინჟინრის გახმაურებული საქმის ერთადერთი „პერსონაჟი“, ვინც სტეფან კოენის ბისექსუალობა საჯაროდ დაადასტურა, ახლა უკვე გარდაცვლილი ირაკლი ქუთათელაძე იყო.

კოენის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში ტელეკომპანია „იმედს“ 26 წლის ირაკლი ქუთათელაძე დაუკავშირდა და განაცხადა, რომ სტეფანს ახლოს იცნობდა. ქუთათელაძე ჰყვებოდა, რომ ფრანგი კაცი ვებგვერდზე www.gayromeo.com გაიცნო და მკვლელობამდე ერთი დღით ადრე მას თბილისში შეხვდა კიდევ. სატელევიზიო ინტერვიუში ქუთათელაძე ამტკიცებდა, რომ „სტეფანი პედოფილისკენ მიდრეკილი არ იყო. თან ეს ბიჭი მის გემოვნებაში არ ჯდებოდა და გამორიცხული იყო, რომ სტეფანს მისთვის სექსუალური კავშირი დაეძალებინა“.

ქუთათელაძის დაკითხვა სასამართლომ ვერ მოასწრო. 11 აპრილს ის საკუთარ ბინაში – ასათიანის 37-ში გარდაცვლილი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, ირაკლი ქუთათელაძემ თავი ჩამოიხრჩო. გარდაცვლილის მეგობრები, რომლებმაც ცხედარი აღმოაჩინეს, სახლში თავისუფლად შევიდნენ – ბინის კარი ღია იყო. მეზობლები ამბობენ, რომ რაიმე ხმაური ან მოძრაობა ქუთათელაძის ბინიდან არ ახსოვთ.

სიკვდილამდე ორი თვით ადრე (11 თებერვალს) ქუთათელაძე გაზეთ „პრაიმ-ტიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ ენუქრებოდნენ: „ვარ ძალიან დიდი საფრთხის წინაშე. გუშინ 22 საათსა და 42 წუთზე ტელეფონზე ფარული ნომრიდან დამირეკეს და გაურკვეველი ხმით მითხრეს: ფრთხილად იყავი!“ მეგობრები იხსენებენ, რომ მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში ქუთათელაძე „ფეისბუქზე“ თავის სტატუსებში ხშირად ახსენებდა სიკვდილსა და თვითმკვლელობას. თუმცა ირაკლის ზოგიერთი მეგობარი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ეს ისტორიები, მუქარა, ისევე, როგორც მისი კოენთან მეგობრობის ამბავი თავად გარდაცვლილის ფანტაზიის ნაყოფი ყოფილიყო. მეგობრები მას „ექსცენტრიულ, უცნაურ ადამიანად“ ახასიათებენ.



■ კონენს ბრალდებულმა ჯერ ყელი გამოჭრა, შემდეგ ტანზე მრავალი ჭრილობა მიაყენა.

მოზარდის თქმით, დაჭრილი ფრანგი გარეთ გაქცევას ცდილობდა, თუმცა მან შემოაბრუნა და კიდევ დაარტყა დანა.

„ზოგჯერ რალაცეებს იტყუებოდა. ერთხელ თავის მოკვლაც სცადა... კონენის ამბავზე რომ ტელევიზორში დავინახე, საერთოდ გული გამისკდა. ბოლომდე არც მჯერა, რომ მართლა იცნობდა იმ ბიჭს,“ – ამბობს დიზაინერი ზალიკო ბერგერი, რომელიც ირაკლის, დაახლოებით, 8 წელი იცნობდა. „როგორც გეის, თავშესაფრის მოპოვება უნდოდა საზღვარგარეთ. ვიფიქრე, რომ სწორედ ამიტომ, თანაც, პოპულარობის მოპოვების მიზნით დაუკავშირა საკუთარი თავი კონენის ისტორიას“.

თუმცა ირაკლი ქუთათელაძის სტეფან კონენტან ნაცნობობას „ქორთიარდ მარიოტის“ კამერები ადასტურებენ. საქმეში ასევე არსებობს ქუთათელაძესა და სტეფან კონენს შორის სკაიპში გამართული დიალოგის ამონაწერი, რომელიც გამომძიებლებმა გარდაცვლილი კონენის კომპიუტერიდან ამოიღეს.

„ლიბერალმა“ სკაიპის ეს ჩანაწერი ნახა. ჩანაწერში ჩანს, რომ კონენი და ქუთათელაძე ერთმანეთს თბილად და მეგობრულად ესაუბრებოდნენ. სტეფანი ირაკლის გარეგნობასთან დაკავშირებით კომპლიმენტებს სწერდა. ირაკლი კი ფრანგ მეგობარს ქართულს ასწავლიდა. მეგობრები ერთმანეთთან ინტიმურ დეტალებზეც საუბრობდნენ და შეხვედრაზეც სწორედ სკაიპში შეთანხმდნენ.

ბრალდებულის მეგობრებისა და მასწავლებლების გარდა, სასამართლომ სასტუმრო „მარიოტის“ თანამშრომლები და დაზარალებულის ადვოკატი დაკითხა. დასაკითხთა სიაში არიან ფრანგული კომპანია SYSTRA-ს თანამშრომლები, რომელთაგან ერთ-ერთი თბილისში სავარაუდოდ, მაისში ჩამოვა.

სასამართლოს სხდომების დახურული ფორმატის გამო კონენის მშობლებს ელენ პოლეთაფეს და ივან კონენს პროცესზე დასწრების უფლება არ აქვთ. ისინი საქართველოში არ ჩამოსულან. კონენები და მათ მიერ საფრანგეთში დაქირავებული ადვოკატი ჟურნალისტებთან საუბარზე უარს აცხადებენ.

კრიმინალისტებმა „ქორთიარდ მარიოტის“ 412-ე ოთახში მუშაობა დიდი ხანია დაასრულეს. სასტუმროს ხელმძღვანელობამ ოთახი კაპიტალურად შეცვალა – აქ ახლა ყველაფერი ახალია: შპალერი, იატაკი, ავეჯი, ნივთები. იგი ჩვეულებრივ ქირავდება ახალ სტუმრებზე.

სტეფან კონენის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს სხდომები 5 მაისს განახლდება. თუ განზრახ მკვლელობის ფაქტი დამტკიცდა, ფრანგი ინჟინრის მკვლელობაში ბრალდებულ 17 წლის მოზარდს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ელის. ■



დასაქმება

ვეძებ სამსახურს!

რა არის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მიზეზი – კვალიფიციური კადრების არარსებობა, თუ ვაკანსიების სიმცირე?

მაია ნიკლაური

35 წლის პროფესიით იურისტი, გივი კუტალიევილი, 5 წელია, ყველაზე დიდი ინტერესით ერთი და იმავე გაზეთის ერთსა და იმავე გვერდებს კითხულობს. ოცნებობს დროზე, როცა ამ გაზეთის შეძენა აღარ მოუწევს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი იცვლება: „საჩემო სამსახურს ვერაფერს მივაგენი. იურისტის დიპლომი კი მაქვს, მაგრამ ჩემი პროფესიით, ალბათ, უკვე ველარ ვიმუშავებ. 9 წლის განმავლობაში საკაბელო ტელევიზიის ოპერატორი ვიყავი, მაგრამ ბოლოს დაბალი ხელფასის გამო, წამოვედი. მას მერე ვეძებ, ვეძებ და ვერაფერი ვიპოვე“, – ამბობს გივი და ამატებს, რომ გაზეთებში ვაკანსიების კითხვისას მიხვდა, სამსახურის პოვნაში ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა დაეხმარებოდა და თბილისის მერიის დასაქმების პროგრამაში დარეგისტრირდა. ახლა ორივეს სწავლობს და ფიქრობს, რომ კურსების გავლის შემდეგ უბრალო სამსახურს მაინც იშვიათად.

2010 წლის ოქტომბრიდან დღემდე მერიის დასაქმების პროგრამაში 40 ათასამდე ადამიანი გაიარა რეგისტრაცია. მათგან 30 ათასმა, ინგლისურისა და კომპიუტერის შესწავლით, კვალიფიკაციის ამაღლება გადანწყვიტა და შესაბამის კურსებზე ჩაენერა.

10 ათასი უმუშევარი კი პირდაპირ სამსახურის მაძიებელთა ბაზაში მოხვდა და მერია ახლა მათ დაკავშირებას ვაკანსიების მქონე კომპანიებთან ცდილობს.

40 ათასი სამსახურის მაძიებელი თბილისის მასშტაბით – ეს მაჩვენებელი რეალობას მხოლოდ სანახევროდ აღწერს. საქართველოში ჩატარებული ბოლო კვლევების მიხედვით, მოსახლეობის 70–73 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. უმუშევრობის საკითხი გამოკითხულთათვის ნომერ პირველ ეროვნულ პრობლემად განიხილება. მაგალითად, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის 2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 61 პროცენტი მხოლოდ დასაქმების შემდეგ აქცევს ყურადღებას ფასების ზრდას, ტერიტორიულ მთლიანობას, ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებას, განათლებას, ადამიანის უფლებებსა და სხვა საკითხებს.

ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ამონებენ ვაკანსიების ვებ-გვერდებს, ამტკიცებენ, რომ უმუშევრობის ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზი ვაკანსიების სიმცირეა. მათი თქმით, კომპანიების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა სამსახურის დაწყების მსურველთა რაოდენობას აშკარად ჩამორჩება. მა-

გალითად, www.jobs.ge ყოველთვიურად აქვეყნებს საშუალოდ 500-600 ახალ ვაკანსიას, მაგრამ საიტს სამსახურის პოვნის იმედით მხოლოდ ერთ დღეში სტუმრობს საშუალოდ 9 ათასი ადამიანი. USAID-ის 2010 წლის თებერვალში ჩატარებულ კვლევაში კი ნათქვამია, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიების მხოლოდ 37 პროცენტი გეგმავდა იმ პერიოდში ახალი კადრების აყვანას.

საიტ jobs.ge-ს დამფუძნებელი, ალექსანდრე ხუბულავა ამბობს, რომ შარშანდელთან შედარებით, შემოსული ვაკანსიების რაოდენობა მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა, განსაკუთრებით იმატა სახელმწიფო უწყებებში გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამ.

„როგორც წესი, სამუშაოს მაძიებლები ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში ვაკანსიების დეფიციტია, დამქირავებლები კი აცხადებენ, რომ კადრების დეფიციტია. ორივე მხარე მართალია, თუმცა მე მაინც ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვემხრობი – წელიწადნახევარი ვმუშაობდი კადრების შერჩევის კომპანიაში, სადაც ჩვენ თვითონ ვარჩევდით კადრებს დამკვეთებისთვის და მართლაც საკმაოდ დიდი იყო არაკვალიფიციური მუშახელის ნაკადი“, – ამბობს ალექსანდრე ხუბულავა.

მისი თქმით, ბოლო დროს კომპანიებს ყველაზე ხშირად სჭირდებათ მენეჯერები, დირექტორები და განყოფილებების უფროსები. შემდეგ მოდის ფინანსური პოზიციები – ბუღალტერი, მთავარი ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი. ასევე ბოლო წლების ტენდენციაა საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი. საგრძნობლად ნაკლებია მოთხოვნა ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, როგორცაა იურისტი, ჟურნალისტი, თუმცა ხშირად სჭირდებათ თარჯიმნებიც.

ზუსტად იმ მიზეზით, რომ დაუსაქმებელთა თითქმის ყველა ბაზაში ბევრი არაკვალიფიციური კადრი ხვდებათ, ზოგიერთი კომპანია ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნებაზე დროსა და რესურსს არ ხარჯავს და ამჯობინებს, საჭირო კვალიფიციური თანამშრომელი ახლობლების წრეში მოიძიოს. მაგალითად, სამშენებლო კომპანია „არსი ტექის“ დირექტორი, თეიმურაზ მეგრელიძე აცხადებს: „საქმის ხარისხიანად ცოდნასთან ერთად, დისციპლინარული მოთხოვნებიც გვაქვს. ასეთი კადრების პოვნა კი მშენებლობაში საკმაოდ რთულია, ამიტომ, ძირითადად, პირადი გამოცდილებითა და კოლეგების რჩევით სანაცნობო წრეში ვეძებთ ხოლმე“.

2010 წელს USAID-ის პროგრამის პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში შრომითი ბაზრის კვლევა ჩატარდა. გამოიკითხა 602 კომპანია, რომლებიც მომსახურების სფეროს, სამშენებლო, წარმოებისა და სამეურნეო სექტორს წარმოადგენდნენ. როგორც აღმოჩნდა, მათთვის ყველაზე დეფიციტური სამშენებლო სფეროს სპეციალისტები იყვნენ: პროფესიონალი შემდგენლებლები, სანტექნიკოსი, გაზის სისტემების სპეციალისტი, ელექტრიკოსი და მძიმე ტექნიკის ოპერატორი. სხვა კომპანიებში კი აცხადებენ, რომ თანამშრომლების არჩევა უჭირთ ისეთ სპეციფიკურ პროფესიებში, როგორცაა მაგალითად, სისტემური ადმინისტრატორი, პროგრამისტი, ვებ დეველოპერი, ენერგეტიკოსი, ჰიდროტექნოლოგიების სპეციალისტი.



„ხშირად ერთი ვაკანსიით 300 და ზოგჯერ მეტი ადამიანიც კი ინტერესდება ხოლმე. თუმცა იმის გამო, რომ სასურველ კანდიდატს ვერ არჩევს, კომპანია იძულებულია, ერთი და იგივე განცხადება რამდენჯერმე გამოაქვეყნოს“, – ამბობს ვებ-გვერდ www.hr.com.ge-ს რეგიონული ადმინისტრატორი სალომე სულამანიძე.

მაგალითად, კომპანია „ენერგო პროჯორჯიას“ ახლაც კი 100-ზე მეტი ვაკანსია აქვს გამოცხადებული. კადრების შერჩევა კომპანიას უფრო მე-

ტად რეგიონებში უჭირს.

„ერთმა კომპანიამ გამოაცხადა ბუღალტრის ვაკანსია. რამდენიმე ადამიანი გაუუზავნეთ. ერთ-ერთ მათგანს რეზიუმეში მითითებული ჰქონდა, რომ წლების განმავლობაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა და გამოცდილი კადრი იყო. მაგრამ გასაუბრებაზე დამსაქმებელს ვერ უთხრა, რამდენს შეადგენდა დღგ-ის გადასახადი“, – ამბობს მერიის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი ავთანდილ ფავლენიშვილი და დასძენს, რომ სამსახურის



პროფესიული გადამზადების კურსები

■ „ხშირად კომპანიებს ერთი კონკრეტული პროფესიის კადრი კი არ უნდათ, არამედ ეძებენ „დიმიტრი გელოვანს“, რომელიც ენთუზიაზმით იქნება სავსე და არაადეკვატური ანაზღაურების სანაცვლოდ, რამდენიმე ფუნქციას თავდადებით შეითავსებს“.

მაძიებელთა 10-ათასიანი ბაზიდან სულ 500-მდე ადამიანი დააკავშირეს შესაბამის კომპანიას, თუმცა მერიაში ზუსტად არ იცინან, ამ 500-დან რეალურად რამდენი მიიღეს სამსახურში. საქართველოში მუშახელისა და შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ მხოლოდ ნაცნობ-მეგობრების ისტორიებით თუ ვიმსჯელებთ თემაზე – რამდენად არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი თანამედროვე შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა.

ფაქტია, თანამედროვე კომპანიე-

ბისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ბევრი, განსაკუთრებით 40 წელს ზევით ადამიანი არ ფლობს. სწორედ ამაზე მიუთითებს უცხო ენისა და კომპიუტერის კურსებზე ჩანერილი თბილისელების სიმრავლეც. მათ შორის ბევრია ისეთიც, რომელსაც წლებია, არ უმუშავია, ამის გამო დაკომპლექსდა და პოტენციურ დამსაქმებელთან იმ უნარების წარმოჩენასაც ვერ ახერხებს, რაც აქვს.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სამსახურის მაძიებელთათვის ინგლისურის გაკვეთილი მიმდინარეობს. „this is –

ნიშნავს – ეს არის, that is – ის არის“, – წერს ინგლისურის მასწავლებელი დაფაზე. „აბა, ვინ მეტყვის, რას ნიშნავს – That doctor is clever?“ – კითხვას ერთ-ერთი 30-იოდე წლის მოსწავლე მორიდებით პასუხობს. შემდეგ კი წინადადებას ინგლისურად იმეორებს და ცდილობს სიტყვები გამოკვეთილად არაქართული აქცენტით წარმოთქვას. მას იმედი აქვს, რომ ოთხი თვის განმავლობაში კვირაში სამჯერ ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილით უცხო ენას რაღაც დონეზე მაინც დაეუფლება, შემდეგ კი სწავლას მეორე ეტაპზეც გააგრძელებს.

საკლასო ოთახში ინგლისური ენის გაკვეთილს მასთან ერთად, ძირითადად, უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მოსწავლეები სხედან. მათი ისტორია ხშირად ჰგავს ერთმანეთს – ზოგმა პროფესია და დიპლომი ვერ გამოიყენა და ახალი ხელობის შესწავლა სურს, ზოგს საერთოდ არ აქვს პროფესია, ზოგი კი სამსახურის დაკარგვის შემდეგ ფიქრობს, რომ სხვა სამუშაოს საპოვნელად კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდება.

მერიაში ამბობენ, რომ ამ უნარების შექმნა 35 წელს ზევით ადამიანებს განსაკუთრებით უჭირთ. ამიტომ ყველაზე რთული მათი დასაქმებაა. არადა, ავთანდილ ფავლენიშვილის თქმით, მერიის ბაზაში დასაქმების მსურველებს შორის ნახევარზე მეტი სწორედ 35 წელს ზევით ადამიანები არიან.

„გერმანიაში საქმიანი ვიზიტისას ზუსტად ასეთივე პრობლემა შევნიშნეთ. როდესაც ერთ-ერთ გერმანულ საწარმოში მიზეზი ვკითხეთ, გვიპასუხეს, რომ დანადგარებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ცვლიან და 35 წელს ზემოთ მოქალაქეები ახალ ტექნოლოგიებს უფრო რთულად ითვისებენ. თანაც იქ ურჩევნიათ, ახალგაზრდა აიყვანონ, ნაკლები გადაუხადონ და ისე გაზარდონ, როგორც სჭირდებათ. ამიტომ ეს პრობლემა ჩვენთანაც არაა გასაკვირი. ჩვენ კი მაქსიმალურად ვცდილობთ, ამ ასაკის ადამიანებიც დავასაქმოთ,



ჯილფანის ბაზრის ახსნა

უკვე ორი წელია, საქართველოში USAID-ის პროფესიული განათლების პროექტი მიმდინარეობს. პროექტის მიზანი სამუშაო ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიების მიხედვით მოქალაქეების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა. პროექტის ფარგლებში რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი აღიჭურვა, სადაც დღემდე 5 500-მდე მოქალაქე გადამზადდა.

მათ ტრენინგები სამშენებლო და ტურიზმის მიმართულებით შემდეგ პროფესიებში გაიარეს: კალატოზი, მეფილე-მომპირკეთებელი, მქარმა-

ტურე-მეგეტონე, ამგეგმავე-გეოდეზისტი, ელექტრიკოსი, მღებავი, ქვაფენილის დამგები, გზების მშენებლობის ზედამხედველი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, სანტექნიკოსი, შემღებელი, ნიადაგის ლაბორატორიის ტექნიკოსი. ასევე გიდი, ბარმენი, კონდიტერი, სასტუმროს მომსახურე პერსონალი, მზარეული და მიმტანი.

გადამზადებულთა მონაცემები სპეციალურად შექმნილ ბაზაში შედის, რომლის დახმარებითაც 300-მდე კომპანია სასურველ კანდიდატებს არჩევს. „ჩვენი ბაზის დადებითი თვისება ისაა, რომ კომპანიებმა

ზუსტად იციან, რა პროგრამით მომზადდნენ სპეციალისტები, შესაბამისად, კვალიფიციური კადრების მოძებნა არ უნდა გაუჭირდეთ. გარდა ამისა, პროფესიულ სასწავლებლებში შევქმენით მრჩეველთა საბჭოები, რომლის წევრებიც კომპანიების წარმომადგენლები არიან. ისინი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან ერთად განიხილავენ, თუ რა პროფესიისაა საჭირო და რაში ჯობია, რომ მუშახელი გადამზადდეს“, – ამბობს პროექტის ხელმძღვანელი, ნიკა ჩაჩხიანი.

პროგრამა 2011 წლის ივლის-

ში სრულდება. უკვე აპრილში კი გადამზადებულთა 63 პროცენტი ან კერძო სწავროში მუშაობს, ან თვითდასაქმებულია. მათ შორისაა 50-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი.

პროექტის დასრულების შემდეგ პროფესიულ გადამზადებას საკუთარ თავზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აიღებს. მომავალი წლიდან სწორედ ეს სამინისტრო უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომ პროფესიულმა სასწავლებლებმა ბაზრის მოთხოვნებს უპასუზონ.



პროფესიული გადამზადების კურსები

მაგრამ კომპანიები ხშირად კონკრეტულ ასაკს უთითებენ“, – ამბობს ავთანდილ ფავლენიშვილი.

ქართული შრომის ბაზარზე არიან ისეთი კადრებიც, რომლებიც განათლებითაც და გამოცდილებითაც მთლიანად ერგებიან ახალი ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ სამსახურის პოვნა მაინც უჭირთ. პროფესიით იურისტი, 31 წლის თაკო ამიტომაც მიიჩნევს, რომ ბაზრის პრობლემა კვალიფიციური კადრების დეფიციტი კი არ არის, არამედ – დამსაქმებლების დამოკიდებულება დაქირავებულების მიმართ.

„იურისტად ჯერ სახელმწიფო უწყებაში, შემდეგ კი სხვადასხვა კერძო კომპანიაში ვმუშაობდი. ბოლოს ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო პროგრამის უფროსი იურისტი ვიყავი.

პროგრამის დასრულების შემდეგ კი ჩემი კვალიფიკაციისთვის შესაბამისი სამსახური ვერ ვიპოვე. ვაკანსია იურისტისთვის ბევრი არ იყო, მაგრამ რაც იყო – ძირითადად, დაბალანაზღაურებადი, ზეგანაკვეთურად მომუშავე საშუალო დონის იურისტები სჭირდებოდათ“, – იხსენებს თაკო და დასძენს, რომ ხშირად კომპანიებს ერთი კონკრეტული პროფესიის კადრი კი არ უნდათ, არამედ ეძებენ „დიმიტრი გელოვანს“, რომელიც ერთ-ერთი ანაზღაურების სანაცვლოდ, რამდენიმე ფუნქციას თავდადებით შეითავსებს.

„მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრი ადამიანი ჩემსავით დგება იმ არჩევნის წინაშე, რომ ხაზი გადაუსვას წარსულ გამოცდილებასა,

მრავალწლიან განათლებას და კომპრომისზე წავიდეს – ანუ ბაზარი კი არ ერგება მომხმარებელს, არამედ პირიქით, ჩვენ ვართ იძულებულები დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს მოვერგოთ“, – ამბობს თაკო და ამბობს, რომ მან სწორედ ასე გააკეთა – მას შემდეგ, რაც იურისტად მაღალანაზღაურებადი სამსახური ვერ იშოვა, მარკეტინგის კურსები გაიარა და სამუშაოც ამ დარგში იშოვა.

იმის გამო, რომ რთულია, დაადგინო, რა მოთხოვნები აქვს ქართული შრომის ბაზარს, სამსახურის მაძიებელთა უმრავლესობამ ზუსტად არ იცის, კონკრეტულად სად სურს დასაქმება. ამიტომ მერიის ბაზაში განვევრიანებული მოქალაქეების 60 პროცენტმაც საოფისე სამსახური აირჩია.

ალექსანდრე ზუბულავაც ამბობს, რომ მის საიტზე სამსახურის მაძიებლები ყველაზე ხშირად ოფისის მენეჯერის ვაკანსიას ნახულობენ. „ამ პოზიციაზე საკმაოდ ბევრ ადამიანს აქვს პრეტენზია. ჰგონიათ, რომ თავს მარტივად გაართმევენ დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა კარგი ოფისის მენეჯერი სანთლით საძებნია, – ამბობს ზუბულავა, – მით უფრო, რომ ზოგიერთი კომპანია დამატებით სხვა ფუნქციების შეთავსებასაც ითხოვს. მაგალითად, თარჯიმნის, ლოჯისტიკის სპეციალისტის და ა.შ. ამ უნარებს კი ძალიან ბევრი მსურველი არ ფლობს“.

თბილისის მერიაში ამბობენ, რომ დასაქმების პროგრამამ უფრო მეტი ადამიანის დახმარება რომ შეძლოს, ამისთვის, პირველ რიგში, ბაზრის სრულფასოვანი გამოკვლევაა საჭირო. მარტო ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების კურსები ვერც შრომის ბაზარზე შექმნილი კვალიფიციური კადრების დეფიციტს ამოავსებს და ვერც უმუშევრობის პრობლემას შეამცირებს. მხოლოდ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის კავშირის დადგენის შემდეგ თუ მოხერხდება სამსახურის მაძიებელთა რამდენიმეათასიანი ბაზიდან ადამიანების რეალურად დასაქმება. ■

ახალი ვალი ძველის ბასასტუმხებდა

ინტერვიუ ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტთან,
პაატა შეშელიძესთან

საქართველომ 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ახალი, 7.125% -იანი, 10-წლიანი ევროობლიგაციები განათავსა, რომლითაც 2008 წლის აპრილში გამოშვებული ევროობლიგაციები გამოისყიდა. რისთვის არის საჭირო ობლიგაციები და როდის მიმართავს მას სახელმწიფო?

ბონდების გამოცემა ჩვეულებრივი ფინანსური ოპერაციაა, რომლის მეშვეობით სახელმწიფო იღებს სესხს, შიდა ან საგარეო ბაზარზე და გარკვეული დროის შემდეგ მას ანაზღაურებს სარგებლის დამატებით.

ბონდების გამოცემა არის ვალის აღების ერთ-ერთი ფორმა, რით გამოირჩევა ის ფინანსური ინსტიტუტისგან ვალის აღებისგან?

ფინანსური ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ბონდის შემთხვევაში სესხს ერთდროულად რამდენიმე ადამიანისგან ან კომპანიისგან იღებ. ეს არის ჩვეულებრივი ფასიანი ქაღალდის გაყიდვა ხელი-ხელზე.

რატომ აირჩია საქართველომ ბონდების გამოცემა და არ აიღო სესხი რომელიმე ფინანსური ინსტიტუტისგან?

საგარეო ვალების აღება სხვადასხვა ფორმით შეიძლება, მაგრამ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები სესხს ყოველთვის არ იძლევიან. განსხვავებით ბონდებისგან, ფინანსური ინსტიტუტები სესხის გაცემამდე კონკრეტულ პროექტს ითხოვენ. ბონდები უფრო თავისუფალი ბაზარია, მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერს შეუძლია და ამიტომაც უფრო



ფოტო: მარიამ კორიანაძე

დიდია ალბათობა იმისა, რომ იპოვო კლიენტი, ვინც ფულს გასესხებს.

მთავრობას შეეძლო მიემართა, მაგალითად, მსოფლიო ბანკისთვის, მაგრამ მსოფლიო ბანკი იკითხავდა, თუ კონკრეტულად რა პროექტისთვის იყო ეს თანხა საჭირო, რისი დასაბუთებაც მთავრობას მოუწევდა. ბონდების შემთხვევაში კი თანხა პროექტზე ორიენტირებული არ არის. უბრალოდ, სესხულობ ფულს ნებისმიერი ხარჯების გასაწევად. ამ შემთხვევაში გაისტუმრეს ძველი ვალები, მაგრამ შეიძლებოდა ბონდების მიზანი ყოფილიყო, მაგალითად, ეზოების კეთილმოწყობა, ან პენსიების გაზრდა.

რა იყო ბონდების გამოშვების მიზანი? ამ შემთხვევაში, ბონდების გამოშ-

ვების გაცხადებული მიზანი ძველი ვალების გასტუმრებაა. ამით მთავრობა გაისტუმრებს იმ ვალებს, რომელიც 2013-ში იყო გადასახდელი, ახალი ვალი კი სახელმწიფომ 2021-ში უნდა დააბრუნოს. მოკლედ, ახალი ვალით, ძველი ვალი იქნება გასტუმრებული.

როგორ ცვლის ბონდების გამოცემა საგარეო ვალის მოცულობას?

სახელმწიფოს მიერ ვალების აღება არ არის პოზიტიური ნაბიჯი. მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა გაიზარდება, მარტო ბონდების შემთხვევაში, ეს თანხა 500 მილიონის 7.1 პროცენტია, რაც ათ წელიწადზე მრავლდება.

2013 წელი საქართველოს საგარეო ვალების გასტუმრების წელი იყო.

თუ პროგნოზით 2013-ში სახელმწიფო ბიუჯეტის, დაახლოებით, 18% ვალეების გასტუმრებაში უნდა დახარჯულიყო, ამ ვალის აღებით, 2013-ში ნაკლები ვალი იქნება გასასტუმრებელი, თუმცა ჯამურად, გადასახდელი მეტი რჩება.

ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობთ, რომ მთავრობას უნდა შეეზღუდოს ვალის აღების უფლება. რატომ?

თუ მთავრობას შეუნარჩუნდება ვალეების აღების უფლება, რა გარანტიაა იმისა, რომ ის მომავალშიც არ გააგრძელებს ფულის სესხებას და რომ ვალის მოცულობა ისევ არ შეადგენს ბიუჯეტის 20 პროცენტს?

მთავრობა უნდა იყოს უფრო მეტად შეზღუდული, მას არ უნდა ჰქონდეს ვალის აღების უფლება. გამონაკლის შემთხვევებში კი გადაწყვეტილებას

პასუხისმგებლობა სხვას გადააბარეს. ამჟამინდელმა მთავრობამ კი ეს პასუხისმგებლობა იმათ გადააბარა, ვინც მთავრობაში ათი წლის შემდეგ იქნება.

პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარების მომენტი ჩართულია. ის ხალხი, ვინც გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა, ფინანსურად არ არის პასუხისმგებელი თავის გადაწყვეტილებაზე.

ამიტომაც სესხების აღების უფლების შეზღუდვა იქნება მნიშვნელოვანი ელემენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობამ გადავადების მეთოდს მუდმივად შეიძლება მიმართოს.

როგორ უნდა მივალნოთ მსგავს სისტემამდე, სადაც მთავრობას არ შეეძლება ისეთი ვალის აღება, რომლის გადახდაც ქვეყანას მისი ვალის ამონურვის შემდეგ მოუწევს?

ნის განვითარებაზე მეტის დახარჯვის შესაძლებლობას იძლევა. რამდენად იქნება ამის შესაძლებლობა?

იყო ასეთი არგუმენტი, რომ 2021 წელს საქართველო უფრო მდიდარი იქნება და ამ ვალეებს ადვილად გადაიხდის. განვითარების ამ ტემპებით საქართველო ბევრად მდიდარი ვერ იქნება. 3-4%-იანი ზრდა, რომელზეც მთავრობა საუბრობს, არც დამაჯერებელია და არც განვითარების სახარბიელო მაჩვენებელი.

პრეზიდენტის განცხადებით, ამ ვალის გახანგრძლივება „არის საერთაშორისო ინვესტორების ძალიან დიდი ნდობა“. როგორ უკავშირდება ბონდების გაცემა ინვესტორების ნდობის ამაღლებას?

სკეპტიკურად ვარ განწყობილი იმ იდეის მიმართ, რომ ბონდების

■ თუ მთავრობას შეუნარჩუნდება ვალეების აღების უფლება, რა გარანტიაა იმისა, რომ ის მომავალშიც არ გააგრძელებს ფულის სესხებას და რომ ვალის მოცულობა ისევ არ შეადგენს ბიუჯეტის 20 პროცენტს? მთავრობა უნდა იყოს უფრო მეტად შეზღუდული, მას არ უნდა ჰქონდეს ვალის აღების უფლება.

საკანონმდებლო ორგანო უნდა იღებდეს გარკვეულ ჩარჩოებში.

ასეთი ჩარჩო შეიძლება იყოს ამ ორგანოს უფლებამოსილების ვადა, რათა განსაზღვრული იყოს, თუ ვინ აიღო ვალი და ვინ უნდა დააბრუნოს ის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ერთმა მთავრობამ აიღო სესხი თავისი არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტის გამო და მომავალ მთავრობას დაუტოვა ვალი გადასახდელად.

2008 წელს მთავრობამ 500 მილიონი ვალი აიღო, რომლის ეფექტიანად გამოყენება ომის და გლობალური კრიზისის გამო ვერ მოხდა. იმ ხალხის უმეტესობა, ვინც ვალის აღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, დღეს უკვე მთავრობაში არ არის, მათ

მთავრობის საქმიანობის შეზღუდვა უნდა მოხდეს კონსტიტუციის გზით ან რამე დამატებითი საკანონმდებლო ნორმით, რომელიც მთავრობის საქმიანობას არეგულირებს.

მაგალითად, კონსტიტუციაში შევიდა რამდენიმე მუხლი. ამ მუხლების თანახმად, გადასახადის გაზრდა ან დამატებითი მარეგულირებლის შექმნა არ შეიძლება პარლამენტის ნებართვის გარეშე. კონსტიტუციაში მსგავსი ტიპის დათქმის ჩამატება ვალის აღებაზეც შეიძლებოდა.

ვერობლიგაციებზე საუბრისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბონდების გამოცემით ქვეყანას 2013-ში ნაკლები ვალი ექნება გასასტუმრებელი, რაც მისივე თქმით, ქვეყ-

გამოცემით ქვეყანა ინვესტორების ნდობას მოიპოვებს.

თქვენ დაგაინტერესებთ ისეთ მთავრობასთან თანამშრომლობა, რომელსაც დიდი ვალეები აქვს? ქვეყანაში ფულის ჩადებამდე ინვესტორი ინტერესდება თუ საიდან გაისტუმრებს მთავრობა ამხელა ვალეებს, მას აინტერესებს, ხომ არ დაიბეგრება და შეიზღუდება ის ზედმეტად.

მთავრობას ვალეები რომ გაესტუმრებინა, მაშინ შეიძლებოდა ინვესტორები ოპტიმისტურად განწყობილიყვნენ. ახლა მთავრობამ ძველი ვალის გასასტუმრებლად, ახალი ვალი აიღო. არა მგონია, ინვესტორებისთვის ეს მიმზიდველი რეალობა იყოს. **■**

ესაუბრა ნანა საჯაია.

ქორწინება

ჩა სუხით ქალებს?

სჭირდება თუ არა ქალს გათხოვება იმისთვის, რომ თვითრეალიზება შეძლოს?

მარია ქოჩიაშვილი



ილუსტრაცია რუსლან პირიძე

ის, რასაც ქართველი ქალები ირჩევენ. ყველაფერი ასე იწყება: – თეფში ბოლომდე მოაპრიალე, თორემ უშნო ქმარი გეყოლება! – რამე იტყინე? არ იტირო, ქორწილამდე მოგიჩვენებ. – გინდა, გაიგო, როგორი ქმარი გეყოლება? შუალამისას გზაჯვარედინზე დადექი და მარილიანი კვერი შეჭამე, შინ მობრუნებულმა

წყლით სავსე ჭიქაში ჩაიხედე და შენს საბედოს დაინახავ. როგორ მთავრდება „მძინარე მზეთუნახავი“? ასწლიანი ძილისგან მშვენიერ პრინცესას პრინცი ალვიძებს ნაზი კოცნით და შემდეგ ისინი სიკვდილამდე ერთად, ბედნიერად ცხოვრობენ.

„მძინარე მზეთუნახავი“, „ფიფქია“,

„მზეთუნახავი და ურჩხული“ – ზღაპრები, რომლებზეც მსოფლიოში ქალების უამრავი თაობა გაიზარდა, სწორედ ამ ეპიზოდით მთავრდება – გოგო და ბიჭი ქორწინდებიან. თუმცა, ზღაპრებში აღარაფერს ამბობენ იმაზე, რაც ქორწინების შემდეგ ხდება. როგორც ჩანს, ცოლქმრული თანაცხოვრება უკვე ზღაპრის

ჟანრს სცდება. მეოცნებე გოგონებისთვის ამ ყველაზე საინტერესო ეპიზოდზე განყვეტილი ნარატივი ქორწინებას კიდევ უფრო მეტ იდემალებას მატებს.

სჭირდება თუ არა ქალს გათხოვება იმისთვის, რომ თვითრეალიზება შეძლოს? – ამ კითხვაზე დისკუსია დღეს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხისკენ იხრება, თუმცა – არა საქართველოში. ჩვენთან 2010 წლის კვლევის მიხედვით, თუნდაც კითხვაზე – რა ასაკიდან არის დასაშვები ქალისთვის, იცხოვროს მამაკაცთან ქორწინების გარეშე – გამოკითხული მამაკაცების 82 პროცენტი ფიქრობს, რომ ეს ნებისმიერ ასაკში დაუშვებელია ქალისთვის; და ასევე ფიქრობს გამოკითხული ქალბატონების 81 პროცენტიც.

„ამერიკელი ფემინისტი და ჟურნალისტი, გლორიას სტაინემი დამოუკიდებელ ქალს ასე ახასიათებს: ეს არის ქალი, რომელიც ნორმალურად მიიჩნევს სექსს გათხოვებამდე და მუშაობას – გათხოვების შემდეგ. თუმცა, ლაპარაკია თითოეული ქალის ნებელობით არჩევანზე და არა აუცილებლობაზე, ჩვენი საზოგადოება კი მსგავსი არჩევანისთვის არ არის მზად“, – ამბობს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის დირექტორი, ეკა აღდგომელაშვილი და დასძენს, რომ საზოგადოებაში, რომელშიც ისევ ძველ ტრადიციებს ებლაუჭება, დამოუკიდებელი ქალი მარგინალიზაციისათვის არის განწირული.

როცა გათხოვების ასაკი მოაწევს, ბავშვობაში ქვეცნობიერში ჩადებული კოდები შემტვეი ხასიათის რეპლიკებით იცვლება: „როდის თხოვდები? უკვე დროა!“ „რა ლამაზი ხარ და რატომ ვერ თხოვდები?“ რალაცაზე დახუჭე თვალი, რა უჭირს?!“ „გვადირსე შვილიშვილი!“

2010 წლის კვლევის მიხედვით, გათხოვებისთვის ყველაზე შესაფერისი ასაკი, გამოკითხული კაცების 95 პროცენტისა და ქალების 96 პროცენტის აზრით, 18-25 წელია. შესაბამისად, ქალი 25 წელს ზევით მალევე ინაცვლებს გაუთხოვართა რისკ-ჯგუფში, არადა, შეიძლება, ჯერ სულაც 31 წლის იყოს.

ქართული კულტურული კლიშეების

კიდევ ერთი გამოხატულება თვითონ საყოფაცხოვრებო ლექსიკაში შეიძლება ვიპოვოთ: ქალს, რომელსაც არ ჰყავს ოჯახი, ხშირად მარტოხელას ეძახიან – აშკარად უარყოფითი კონოტაციით. თავის მხრივ, „გასათხოვარი“ – აღნიშნავს ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს გათხოვების პერსპექტივა, მის საპირისპიროდ შექმნილი სიტყვა „გაუთხოვარი“ კი უკვე, თითქოს, განაჩენის გამოტანას – შინაბერობას – გულისხმობს.

„ეს სიტყვაც ძალიან საინტერესოა. შინაბერა იგივეა, რაც შინ დაბერებული ქალი. თითქოს, ადგილიც კი გამოიხატულია მისთვის – ქალი, რომელიც არ შექმნის ოჯახს აუცილებლად შინ, სახლში უნდა დაბერდეს. ანუ მთელი ტრადიციორია ქალისთვის ჩვენს კულტურაში ასე განისაზღვრებოდა – ერთი ოჯახიდან მეორეში გადასაცვლება. გაუთხოვრის სტატუსის მქონე ქალის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას კი თან ქედმაღლური შეცოდება ერთვოდა, რადგან შინაბერობა – ეს არ იყო ამ ქალის არჩევანი, ის, უბრალოდ, დაინუნეს და საბრალო იმიტომ, რომ მასზე არაფერ შეაჩერა არჩევანი“, – ამბობს ეკა აღდგომელაშვილი.

ერთ-ერთი სახელმწიფო დანესებულების ერთ ოთახში სამი შუახნის ქალბატონი ზის, სამივე გაუთხოვარია. ერთ-ერთ მათგანთან ინტერვიუს დასრულების შემდეგ, ხმაბალა ვსვამ კითხვას – ხომ ვერ დამეხმარებით, ვიპოვო ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა ოჯახის შექმნაზე და ეს ვერ შეძლო? 60 წლის, სიმპათიური ქალი რუსულად, საზგასმული კეკლუცობით მპასუხობს: „А, кто вам скажет?“ – ასე ამხელს საკუთარ ოცნებას 60 წლის ელზა, რომელიც 17 წელია, ერთ დანესებულებაში მუშაობს.

„მე ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ უნდა გავთხოვილიყავი. არაფერ მეუბნებოდა, რომ ოჯახი უნდა შემექმნა. ეს სხვადასხვა რამეა. „გათხოვი“ შეურაცხყოფელია – თითქოს, ვილაც გპოულობს და შენ მას ცოლად უნდა გაჰყვე. ოჯახის შექმნა ეს სხვაა – მიზანსწრაფვა, რომ მასთან ერთად იფიქრო, ერთი იდეალებით იცხოვროთ, განიტერესებდეს მასთან ურთიერთობა და არ გრცხვენოდეს, რომ ის შენი ქმარია. მე გმირს

ველოდებოდი. რომანებში ნაკითხული რაინდი იყო ჩემთვის იდეალი და ვიცოდი, რომ თუ ასეთი არ გამოჩნდებოდა, არავის გავყვებოდი ცოლად“, – ამბობს ელზა და იქვე ამბობს, – „მამაკაცის მხრიდან არც გადაჭარბებული ყურადღება მომწონდა, მომაბურებელი იყო. როგორც ჩანს, ვთამაშობდი მთელი ცხოვრება და ამ თამაშში მოვალნიე კიდევ აქამდე“.

„მთელი ცხოვრება ვფიქრობდი, რომ ოთხი შვილი უნდა მყოლოდა – გოგონები, სახელებიც კი მოფიქრებული მქონდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ოთხი კი არა ნახევარიც არ მყავს. ახლა, პატარა ბავშვს რომ ვხედავ, ცუდად ვხდები და წარმოვიდგენ, რომ ეს განცდა შეიძლებოდა მეც მქონოდა. მაგრამ იცი, რა არის?! ალბათ, რომ მეცადა, ბავშვი მაინც მეყოლებოდა“, – ამბობს თეატრის მსახიობი, 43 წლის ნათია, რომელიც ბოლო დროს ფერადი ქვების მძივებსა და საყურეებს აწყობს და საკუთარი ოჯახის დანაკლისს მჭიდრო და საცხე მეგობრული ურთიერთობით ივსებს.

ელზაც და ნათიაც იმ თაობის ქალები არიან, რომელთა გარკვეული ნაწილისთვის გაუთხოვრობა ცალსახად ნიშნავდა სქესობრივი პარტნიორის გარეშე ცხოვრებას. „ქალიშვილობა“ – ეს მათთვის ერთგვარი იარაღი იყო, რომელიც გარემომყოფებისგან ან ზემოთ სხენებული ქედმაღლური შეცოდების ან სულ მცირე მეგობრული ირონიის მიზეზი ხდებოდა. შემდეგ თაობებში ეს ტენდენცია შეიცვალა, თუმცა, ქორწინებამდე სექსი ქართულ საზოგადოებაში დღემდე მაინც ტაბუირებულ თემად ითვლება. ამას სტატისტიკაც ადასტურებს. შარშანდელი კვლევის მიხედვით, კითხვაზე – რა ასაკიდან არის ქალისთვის დასაშვები სექსუალური ურთიერთობა ქორწინების გარეშე – გამოკითხული მამაკაცების 90 პროცენტი პასუხობს, რომ ეს ნებისმიერ ასაკში დაუშვებელია და ასე ფიქრობს გამოკითხული ქალბატონების 89 პროცენტიც.

პროფესიით დიპლომატი 24 წლის ანკა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს და თავს დამოუკიდებელ ადამიანად მიიჩნევს, შეყვარებულს ოჯახის გამო დაშორდა – მშობლებმა მას ნება არ

მისცეს, შეყვარებულთან ერთად საზღვარგარეთ „არაოფიციალურად“ ეცხოვროს. „არადა, ძალიან მიყვარდა. ბუნებთაც სუსტი ვარ და ვგრძნობ, რომ მჭირდება ადამიანი, რომელსაც დავეყრდნობი. თუ მანამდე ვერ გავთხოვდი, 30 წლის ასაკში შვილს მაინც გავაჩენ. მივაკითხავ იმ ჩემს ბიჭს და ვთხოვ, რომ ერთი ღამე მაჩუქოს“, – სიცილით ამბობს ანკა.

თუმცა, ეკა აღდგომელაშვილი მიიჩნევს, რომ სხვა ერებში წლების წინ გაჩენილი ტერმინი – თავისუფალი ქალი, რომელიც არ ატარებს ნეგატიურ დატვირთვას და ქორწინებაში არმყოფი ქალის სტატუსს აღწერს – ჩვენთანაც ნელ-ნელა მკვიდრდება, „იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან კულტურამ ჯერ არ იცის, რა დაარქვას ამ ქალს. საზოგადოება ჯერ ამისთვის მაინც არ არის მზად“. ანკას შემთხვევა კი იმაზე მიუთითებს, რომ ქორწინების გარეშე მამაკაცთან ცხოვრების ღია დასაწყებად ჯერ მზად არც იმ თაობის გოგონები არიან, რომ-

ლებიც, წესით, მოძველებულ კულტურულ ტაბუებს ყურადღებას აღარ უნდა აქცევდნენ. ქართული ტერმინი იმ ქალის აღსაწერად, რომელიც თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებას ირჩევს და ქორწინებაზე უარს ამბობს, ჯერ არც ამ თაობაში გაჩენილა – უცხო ენიდან შემოსული სიტყვების გარდა.

„დასავლური, ინდივიდუალისტური კულტურისგან განსხვავებით, ჩვენთან პირველ ადგილზე დგას ჯერ ოჯახი, მეგობრები, ნათესავები, სამშობლო, ეკლესია და მერე, სადღაც მეათე ადგილზე ხარ შენ. ასეთ შემთხვევაში ყველას წინაშე გაქვს მოვალეობა – სამშობლოს, ეკლესიის, მეგობრების, ოჯახის, ნათესავების, ფართო საზოგადოების წინაშე“, – ამბობს ეკა აღდგომელაშვილი და დასძენს, რომ ქალებმა, პირველ რიგში, ეს ღირებულებათა შკალა უნდა შეცვალონ საკუთარი არჩევნის სასარგებლოდ, თუნდაც, ეს არჩევანი ქორწინებაზე საერთოდ უარის თქმას გულისხმობდეს.

23 წლის ნინომ უმაღლესი განათლება ამერიკაში მიიღო და სამუშაოდაც იქ დარჩა. დღეს ერთ-ერთ წამყვან აუდიტორულ და საკონსალტინგო კომპანიაში სოლიდური თანამდებობა უჭირავს და მიაჩნია, რომ თავისი ასაკისთვის უკვე ძალიან წარმატებულია.

„დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ დაებრუნებულიყავი, მუდმივად უნდა მესმინა შეგონებები – მალე უნდა გათხოვდე, შეიღებო, უნდა გააჩინო და შეიძლება, ასეც მოვქცეულიყავი. ამ შეგონებებს სახლიდან ტელეფონითაც ხშირად ვისმენ, მაგრამ ვერ მერევიან, შორს ვარ, – წერს ნინო და დასძენს, – აქ მსგავს წნეხს ოჯახისგან ჩემი თაობის არც ერთი გოგო არ გრძნობს. დამოუკიდებელი ვარ. ვიბრძვი იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტს მივაღწიო და ოდესმე, როცა ოჯახს შევქმნი, სერიოზული ურთიერთობისთვის ფსიქოლოგიურად და მატერიალურადაც მზად ვიყო. თუმცა, ესეც ჩემი არჩევანი იქნება. ახლა ვერ და-

შეხიხელი შინაბერა

2009 წელს ჟურნალ „ტიმის“ სტატია „რა სურთ ქალებს ახლა“ ასე იწყებოდა:

„ეს ჟურნალი რომ 40 წლის წინ წაგეკითხათ, დიდი შანსია, მის შესაძენად ფული თქვენთვის ქმარს მოეცა; ხმის მიცემის დროს ზუსტად ისეთივე არჩევანი გაგეკითხებინათ, როგორც თქვენმა მეუღლემ გააკეთა; სამსახურში თქვენს უფროსს კი შესაძლოა, ეთქვა, რომ მას აქვს უფლება სხვებზე ცოტა გადავიხადოთ, რადგან თქვენი მიზანი ხომ მხოლოდ ჯიბის ფულის გამომუშავებაა. სასაცილოა, როგორ ნელ-ნელა იცვლება ყველაფერი“...

მართლაც, ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ამერიკელი ქალისთვის სრულფასოვანი ცხოვრების ატრიბუტები – საკუთარი სახლი, საკუთარი მანქანა, მოგზაურობის შანსი, შვილები – მხოლოდ გათხოვების შემდეგ იწყებოდა.

2007 წელს კი სოციოლოგებმა ამერიკაში 43 მილიონი მარტოხელა ქალი აღრიცხეს. ამ მონაცემების მიხედვით, მარტოხელა ქალების 60 პროცენტი ფლობდა საკუთარ სახლს და ბინის შეძენას უფრო მალე ახერხებდა, ვიდრე მარტოხელა კაცები. გარდა ამისა, ქალები წარმოადგენდნენ ტურისტული ინდუსტრიის მთავარ შემოსავლის წყაროსაც – ყოველი ხუთი საქმიანი მოგზაურიდან 2 ქალი იყო და ტურისტების ნახევარსაც ქალები შეადგენდნენ.

ერთ-ერთი მიზეზი, რითაც ამ მონაცემებს ხსნიან, ქალების მიმართ დამოკიდებულების შეცვლაა. წინათ ლექსიკონებში სიტყვა „შინაბერა“-ს (spinster) გასწვრივ ეწერა, რომ შინაბერაა ყველა დაუქორწინებელი ქალი, რომელიც 30 წელს გადასცილდება. ჯერ კიდევ 1981 წელს კი 30 წელს მიახლოებულ მარტოხელა



რომ უძრავი ქონების გირავნობის ანეკდაში სახელის გასწვრივ არ დაეწერათ – „შინაბერა“. ერთ-ერთი ჩიკაგოელი ქალბატონი იხსენებს იმასაც, თუ როგორ ვერ იტანდა ხელნაწყოების მალაზიაში შესვლას, რადგან გამყიდველი მუდამ ეკითხებოდა: „სად დაკარგე ქმარი?“

30 წლის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამერიკელი ფსიქოთერაპევტი დაიანა ადლ კირშნერი ამბობს: „შინაბერების ეპოქა წარსულს ჩავაბარეთ“. ახლა თავდაჯერებული და რეალიზებული ქალები ქორწინებას აღარ აღიქვამენ, როგორც გადარჩენისა და თვითდამკვიდრების საშუალებას. კვლევებით დასტურდება, რომ დღეს ქალები ისევე იოლად იწყებენ და ასრულებენ ურთიერთობებს პარტნიორობთან, როგორც – მამაკაცები.

დებებს მშობლის საგარანტიო წერილი სჭირდებოდათ იმისთვის, რომ მანქანის შესაძენად საბანკო სესხი გამოეტანათ და საკრედიტო ბარათი აეღოთ. ქალებს ბრძოლა უწევდათ იმისთვისაც,

ვინც იმის მტკიცებას, რომ დღე, როცა ოჯახის შექმნას გადაწყვეტ, აუცილებლად დადგება. შეიძლება, ეს ნაბიჯი საერთოდ არ გადავდგა, მაგრამ არ მეშინია – აქ ძალიან ბევრი ცხოვრობს ასე და მათი ცხოვრება უბედური, ანდა ერთფეროვანი სულაც არ მეჩვენება“.

ჯერ კიდევ 20 წლის წინ, ჟურნალ Newsweek-ის ერთ-ერთ ცნობილ სტატიაში ეწერა, რომ უმაღლესი განათლების მქონე, მარტოხელა 40 წლის ქალი უფრო მეტი ალბათობით გახდებოდა ტერაქტის მსხვერპლი, ვიდრე ეკლესიაში ჯვრის დასაწერად შევიდოდა. თუმცა, 2010 წლის Pew Research Center-ის კვლევის მონაცემებით, მდგომარეობა შტატებში შეიცვალა – 40-ს გადაცილებული, განათლებული ქალები ბოლო დროს წარმატებული კარიერის გაკეთების შემდეგ, მინც ქმნიან ოჯახს. რაც მთავარია, მათთვის გვიან ასაკში დაქორწინება უკვე წლებია, ისე მტკივნეული აღარ არის, როგორც ეს ქართველი ქალებისთვისაა; თუნდაც იმიტომ, რომ უარყოფითი გაგება სიტყვა „მარტოხელას“ დასავლურ კულტურაში დიდი ხანია, მოეხსნა, გაუთხოვრობა კი სულაც აღარ ნიშნავს ერთმნიშვნელოვნად – სექსის გარეშე ცხოვრებას.

ამ ქალებისთვის სიტყვა ქორწინებამაც მნიშვნელობა შეიცვალა. გათხოვება – მათთვის უკვე აღარ ნიშნავს მატერიალურ კეთილდღეობას და სტაბილურობას, ის უფრო სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არეალად იქცა, ამიტომ გაჩნდა ქმართან მიმართებაში მსგავსი შეფასებები: „ის ჩემი საუკეთესო მეგობარია“, „ის ჩემი სულიერი ნათესავია“. ვინც ასეთ სულიერ მეგობარს ვერ იპოვის, ხშირად ამჯობინებს საერთოდ არ გათხოვდეს და დატკბეს იმით, რაც აქვს – კარგი კარიერა, უძრავი ქონება, უცხო ქვეყნებში მოგზაურობა და სავსე ურთიერთობები.

დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი, 33 წლის ამერიკელი პემ უოლფი თავს სწორედ იმ ქალების შთამომავლად მიიჩნევს, რომლებმაც წლები შეალიეს საკუთარი სტატუსის შექმნას – მარტოხელა, მაგრამ წარმატებული, ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფის, იუმორით

და ენთუზიაზმით სავსე, მხიარული და მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებული. „შესანიშნავი იქნება, თუკი შევხვდები კაცს, რომელიც მომცემს საშუალებას, ვიყო ის, ვინც ვარ და თან ამ ჩემს არსებობას რაღაც თავისასაც მიუმატებს, – ამბობს პემი თავის ერთოთახიან ნიუ-იორკულ ბინაში, რომელიც თვითონ შეიძინა, – მაგრამ არაფრის გაკეთებას არ ვაპირებ კაცისთვის, რომელიც ჩემს შეცვლას მოითხოვს. საკმაოდ დიდი შრომა დავახარჯე იმას, რომ ვყოფილიყავი, ვინც ვარ“.

ქართველი ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ დღეს საქართველოში მინც არსებობს ქალების ნაწილი, ვისთვისაც ოჯახის შექმნა, ან არშექმნა ცნობიერი არჩევანია და არა მშობლების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა შეილიშვილის გაჩენის შესახებ. საზოგადოდ, გავრცელებული კულტურული კლიშეების მიუხედავად, ჩვენთან მინც არსებობენ ქალები, რომლებიც საყვარელ ადამიან-

თან ოფიციალურად ურთიერთობის გაფორმებაზე უარს ამბობენ. მაგალითად, პროფესიით ექიმი, 30 წლის ლიზასთვის „ფარატინა ფურცელი“ წყვილს ზედმეტ პასუხისმგებლობებს და მოვალეობებს აკისრებს, ეს კი ურთიერთობას აფუჭებს. „ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება უფრო საინტერესოა. არავისთან არ გინეცს არაფერზე თავის მართლება“, – ამბობს ლიზა, რომელიც პარტნიორ მამაკაცთან ერთად ცხოვრობს და შვილის გაჩენას ჯერ არ გეგმავს.

„რაც უფრო მეტი ქალი დააყენებს საკუთარ თავს და საკუთარ სურვილებს ოჯახზე, ეკლესიაზე, მეგობრებზე წინ, რაც უფრო მეტი ქალი გაიაზრებს, რომ ჯერ თვითონაა და შემდეგ – ყველაფერი დანარჩენი, მით უფრო დროულად დაიმსხვერვევა საზოგადოებაში დღემდე მყარად გამჯდარი ტაბუები. მე ვფიქრობ, რომ ბოლო დროს, ასეთი ქალების რიცხვი ნელ-ნელა იზრდება“, – ამბობს ეკა აღდგომელაშვილი. ■



თბილისი

ჩა ეშვება თბილისის ძველ უბნებს?

ყველა ჩვენგანს შეუძლია გადადგას ნაბიჯები თავის უშუალო საარსებო გარემოსთან ჯანსაღი, პასუხისმგებლობით აღჭურვილი დამოკიდებულების დასამყარებლად.

ზურაბ ბაქრაძე

„თანა-მრავლობასა და თანა-სახლობასა ქალაქ სახელ ედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა-ეყოფვის თავსა თვისსა, არამედ რათა შევენოდეთ ერთი-მეორესა ცხოვრებად... რამეთუ ერთი-მეორესა სარგებელსა მივანაყოფებდეთ“.
სულხან-საბა ორბელიანი.
„სიტყვის კონა“

სტატიის დაწერას სხვა თემაზე ვაპირებდი, მაგრამ ერთი თბილისელის ამ წერილმა გადაწყვეტილება შემაცვლევინა:

„ვცხოვრობ ვერაზე, კერესელიძის ქუჩაზე – ქვაფენილიანი, ცაცხვებიანი ქუჩაა, აქეთ-იქით ეზოებით, რომელიც ზანდუკელის ქუჩიდან იწყება და ზევით, მთანმინდის კალთამდე მიიკლაკნება. გარეშე თვალისთვის, და განსაკუთრებით უცხოელებისთვის, ნამდვილი ეგზოტიკაა, მით უმეტეს ახლა, როცა ცაცხვები აყვავებას იწყებენ. თუმცა, ამ ეზოებში ცხოვრება არც თუ კომფორტულია. მოცუტქულ ეზოში – 10-მდე ოჯახი, ხშირად საპირფარეო – ეზოში, სამზარეულო – მეზობელთან საზიარო, მოკლედ, ყო-

ფილი საბჭოთა „კომუნალკები“, ბევრი ავარიული სახლი და დაბზარული კედლები... ერთი მხრივ, უდავოდ, ეგზოტიკური ადგილებია, მაგრამ მეორე მხრივ – იქაურებისთვის იქ ცხოვრება დიდ დისკომფორტს იწვევს. როგორ უნდა განვითარდეს მსგავსი უბნები? უნდა დაინგრეს ეს სახლები? კი მაგრამ, როგორი იერსახის სახლები უნდა აშენდეს სანაცვლოდ? საერთოდ უარი უნდა ვთქვათ მსგავს შიდა ეზოებსა და გარშემო განლაგებულ ორსართულიან სახლებზე? საერთოდ, რის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს ქალაქმა – ძველ, ისტორიულ უბნებში, რა არის შესაანარჩუნებელი და რა – არა? რა არის ქალაქის ურბანული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი და რისი დაზინყებისა და დანგრევის უფლება გვაქვს? რა როლს ასრულებენ ამ ყველაფერში ადამიანები, რომლებიც ამ უბნებში ცხოვრობენ?“

ეს წერილი რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, მეპასუხა; მაგრამ რადგან ძველი თბილისის განვითარება, რასაც წერილის ავტორი არსებითად ეხება, ძალიან რთული და კომპლექსური საკითხია, დასმულ კითხვებზე



ერთ სტატიაში პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება. ამიტომ შევეცადები, საკითხის არსი გამოვკვეთო და იქნებ, მკითხველთა გამოხმაურების მიხედვით ცალკეულ კითხვებს შემდეგ მივუბრუნდეთ.

ვფიქრობ, ზემოთ დასმულ კითხვათგან ბოლო – „რა როლს ასრულებენ ამ ყველაფერში ადამიანები, რომლებიც ამ უბნებში ცხოვრობენ?“ – ქა-



მიასნიკოვის ქუჩა, თბილისი 2011


ფოტო: მარია კორიაშვილი

ლაქის განვითარების არსთან უშუალო კავშირშია და ამიტომ მეც ამით დავინწყებ.

სტატის ნინ წამძღვარებული ქალაქის განმარტება სულხან-საბას „სიტყვის კონიდან“, რომელზეც ურბანისტიკა ლადო ვარდოსანიძემ ამ რამდენიმე წლის წინ გაამახვილა საზოგადოების ყურადღება, საოცრად ზუსტად ასახავს ქალაქს, როგორც

სრულიად სპეციფიკურ საზოგადოებას, რომლის წევრებისთვისაც თანაცხოვრება ეგზისტენციალური მნიშვნელობისაა. ამ საზოგადოების სოციალური კონფიგურაცია და მიმართებები გამოხატულებას პოულობენ მატერიალურად განხორციელებულ ქალაქში. ამის მიზეზი კი ადამიანია, ანუ, ადამიანია ის შემოქმედი, რომელიც, თავისი მეტ-ნაკლე-

რა არის შესანარჩუნებელი და რა – არა? რა არის ქალაქის ურბანული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი და რისი დავინწყებისა და დანგრევის უფლება გვაქვს?



თბილისური ეზო მაყაშვილის ქუჩაზე, თბილისი 2011

ბად თავისუფალი ინიციატივით, ქმნის და ავითარებს თავის სოციალურ და მატერიალურ საარსებო გარემოს. ასე შეიქმნა და ვითარდება ყველა ქალაქი, როგორც ადამიანთა საარსებო გარემო. ასე შეიქმნა და ვითარდება თბილისიც თბილისელთა ინიციატივების საფუძველზე.

როგორ და რა ინიციატივები აღიძვრება მოსახლეობის სხვადასხვა წრეში? რამდენად უწყობენ ხელს, ან აფერხებენ მოქალაქეები (მათ შორის, ხელისუფალნიც) ერთმანეთის ინიციატივებს, ან პირიქით – რამდენად ახვევენ ერთნი თავიანთ ინიციატივებს თავს სხვებს? მოკლედ, რამდენად უნარიანია საზოგადოება, შექმნას ისეთი სოციალური ფორმები, რომლებიც ინიციატივათა შეძლებისდაგვარად თავისუფალ გამოვლენასა და განვითარებას შეუწყობენ ხელს? ეს ის საკითხებია, რომლებიც ქალაქგანვითარების ზემოთ მოცემულ ზოგად სურათს აკონკრეტებენ.

ადამიანში ასეთი ინიციატივის აღიძვრა მისი საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის საქმეა. ეს პასუხისმგებლობა კი თავის ადგილზეა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის საარსებო გარემოსადმი მშობლიურ გრძნობას, მის-

დამი სიყვარულს ეფუძნება. ამ გრძნობის აღძვრისთვის კი, პირველ რიგში, მშობლიური გარემოს ფასეულობათა განცდა და მათი გაცნობიერება აუცილებელია.

კერესელიძის ქუჩის მომავალზე ლაპარაკიც ამითაა დასაწყები. განიცდიან მისი მცხოვრებნი თავისი უბნის იმ ატმოსფეროს ფასეულობას, რომელიც ზემოთ ასე კარგადაა აღწერილი? აცნობიერებენ ისინი, თუ რა ქმნის ამ ატმოსფეროს – ცაცხვების ხეივანი თავისი სურნელით, ქვაფენილი, აქ მცხოვრები კონკრეტული პიროვნებები, ზაფხულის საღამოს გრილი ნიავი, თუ კიდევ სხვა რამ? მოკლედ, უყვართ თუ არა თავისი უბანი და თუ უყვართ, შეუძლიათ თქვან, რატომ?

მას, ვინც ამ კითხვებს დადებითად უპასუხებს, ე.ი. მას, ვისაც თავისი უბანი უყვარს და თანაც იცის, რატომ, აუცილებლად ექნება პასუხისმგებლობის გრძნობაც მის მიმართ. ამ პასუხისმგებლობიდან ინიციატივამდე კი ერთი ნაბიჯილა რჩება. თანამოაზრეთა მოძებნა, მათთან ერთად კონკრეტული, თუნდაც სულ მცირე პრობლემის საკუთარი ხელით გადაჭრა შეიძლება, მთელ უბანზე ზრუნვის ორგანიზებაში გადაიზარდოს.

შეძლებენ ამას ადამიანები – შეიცვლება მთელი უბნის სოციალური ატმოსფერო. შესაბამისად, შეიქმნება საფუძველი უბნის ჯანსაღი განვითარებისთვის, რომელიც ხელისუფლებისთვის საყრდენიც გახდება და მაიძულებელი ფაქტორიც თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ზემოთ ნათქვამი არსებითად მის წევრებზეც ვრცელდება, თუმცა ძალაუფლების ფაქტორი მათ სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს. ჩვენს პირობებში ძალაუფლება მათთვის, პირველ რიგში, საცდურია და მხოლოდ ამის მერე არახელისუფალ მოქალაქეთა მიმართ თავიანთი მოვალეობის აღსრულების საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე, ხელისუფალთა და არახელისუფალთა, თავისი სპეციფიკური ამოცანების წინაშე დგას, ქალაქგანვითარების საიმედო საფუძვლის შესაქმნელად პირველი ნაბიჯი არახელისუფალთა მხარემ უნდა გადადგას. ამ ნაბიჯისთვის მათ, პირველ რიგში, თავიანთი გარემოს ფასეულობების განცდა და გაცნობიერება სჭირდებათ. ამ გარემოს მიმართ აღძრულ პასუხისმგებლობას კი თვითორგანიზებასა და



თბილისური ეზო მისანიკოვის ქუჩაზე, თბილისი 2011



თბილისური ეზო მაცაშვილის ქუჩაზე, თბილისი 2011

ფოტოგრაფია: კორნელი ლომიძე

კონკრეტულ საქმიანობაში უნდა მისცენ გამოხატვის საშუალება.

თავის მხრივ, მოქალაქეთა ეს ინიციატივები უნდა დაეხმაროს ხელისუფლებას, გამოფხიზლდეს და გააცნობიეროს თავისი მოვალეობა არახელისუფალ მოქალაქეთა მიმართ. თუ ასე მოხდა, მას შეეძლება, ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქალაქის ძველი უბნების შენარჩუნებაში, მოვლასა და განვითარებაში. ამისთვის მან, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს არახელისუფალთა ინიციატივების გამოვლენას და ამის საფუძველზე მათ თვითორგანიზებას, ხოლო მეორე მხრივ, უნდა შექმნას და განახორციელოს ცალკეული უბნების განვითარების კომპლექსური პროგრამები, რომლებიც, სხვა მრავალ კომპონენტთან ერთად, არახელისუფალთა აქტიურ მონაწილეობასაც გულისხმობს.

ბუნებრივია, არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ყველაფერი ზემოთ აღწერილ ყაიდაზე, სირთულეების გა-

რეშე წარიმართება. რა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული უბნის შემთხვევაში სპეციფიკური პრობლემები იჩენს თავს. გარდა ამისა, ზემოთ აღწერილი სურათის ხორცშესხმას საერთო, მთელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სისუსტეებიც შეუშლის ხელს. პირველ რიგში, ესაა პირადი ინიცია-

იმდენად მოქმედებენ, რამდენადაც ამას მათი მარიონეტული როლი მოითხოვს.

მეორე, ასევე მთელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პრობლემა დაბალი სოციალური ცნობიერებაა, რაც, ძირითადად, ასევე საბჭოური წარსულის შედეგია. ის, რომ ყოველი ქუჩა, მოედანი, პარკი მოქალაქეთა საერთო საკუთრებაა და მათზე თითოეული მათგანი აგებს პასუხს, სრულიად უცნობი და უცხოა როგორც არახელისუფალი, ისე ხელისუფალი მოქალაქეებისთვის.

და მაინც, ერთნიც და მეორენიც ადამიანები არიან – იდეაში, თავისუფალი არსებები. წინსვლის გარანტია თითოეული მათგანის უნარია, სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისი შინაგანი იმპულსის საფუძველზე გადადგას ნაბიჯები თავის საარსებო გარემოსთან ჯანსაღი, პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულების დასამყარებლად.

კერესელიძის ქუჩის მცხოვრებლებს ვთხოვ, ასეთი ნაბიჯები არ გამომაპარონ. ■



თბილისური ეზო მისანიკოვის ქუჩაზე, თბილისი 2011

ტივის, ენთუზიაზმის „დამბლა“, რაც საბჭოეთის უმძიმესი მემკვიდრეობაა. ამის შედეგია, რომ არახელისუფალნი მუდმივად „ზემოდან“, ხელისუფალთაგან მოვლიან პრობლემათა მოგვარებას და რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ

ჩაბომ დავნეჩი ნიბნი სანეხთველოზ



მაისში მოსკოვის ერთ-ერთი უმსხვილესი საგამომცემლო სახლი უშვებს წიგნს სახელწოდებით „რატომ გამოუვიდა საქართველოს“.

ლარისა ბურაკოვა

საქართველოში პირველად 2008 წლის ოქტომბერში ჩამოვედი. მას შემდეგ, მგონი, საქართველოში უფრო მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე მოსკოვში. და ამ ქვეყანაში ათი ვიზიტის შემდეგ მე თამამად ვამტკიცებ, რომ საქართველოს ნამდვილად გამოუვიდა სხვა ქვეყნად გარდაქმნა; ეკონომიკისადმი სახელმწიფო მიდგომის შეცვლა; კლასიკური ლიბერალური თეორიის პრაქტიკაში განხორციელების მაგალითად ჩამოყალიბება.

დღევანდელ რუსეთში მიღებული საქართველოზე ან ცუდის თქმა, ან არაფრის. თუმცა, ამავდროულად, საქართველოს და იქ მიმდინარე ცვლილებების თემა რუსეთში მოდაში შემოდის.

თავად განსაჯეთ – მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუს სუპერპოპულარული გლამურული ჟურნალი GQ ცხრა გვერდს უთმობს; რუსეთიდან იძულებით წასული ბიზნესმენი ევგენი ჩიჩვარკინი საჯაროდ ჰყვება საქართველოს საგადასახადო სისტემაზე, როგორც მსოფლიოში საუკეთესოზე; საავტორო პროგრამის ეთერში რუსი სატირიკოსი მიხეილ ჟვანეცკი“ ცრემლმორეული ითხოვს საქართველოს გახსნას“.

სინამდვილეში რა მოხდა საქართველოში, ამის გაგება ძალიან რთული აღმოჩნდა, რადგან არათუ რუსულ ან ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზეც კი ვერ მოვიძიე ნაშრომი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნები. არადა, ამის გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველომ საკუთარი მაგალითით რეფორმირების ერთგვარი მეთოდური სახელმძღვანელო შექმნა. მე შევეცადაე ეს ყველაფერი ქალაქებზე გადამეტანა.

ჩემს წიგნში უხვადაა სახელმძღვანელოს ფორმატისთვის შედარებით უცხო პირდაპირი თხრობა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მკითხველს მთავარი რეფორმატორებისთვის სწორედ „საკუთარი ყურით ესმინა.“ მინდოდა, მკითხველისთვის პროფესიონალებთან პირის-

პირ ურთიერთობის ეფექტი მიმენიჭებინა, რომელსაც მე ყველა საუბრისას განვიცდიდი. წიგნი მიხეილ სააკაშვილთან გასაუბრებით იწყება. თხრობის კონსტრუქცია დიდწილად განსაზღვრა მრავალსაათიანმა საუბრებმა ეკონომიკური რეფორმების სულისჩამდგმელთან – კახა ბენდუქიძესთან.

თავდაპირველად, რუსეთთან პარალელების გავლება ჩემს გეგმებში არ შედიოდა.

მაგრამ ტექსტზე მუშაობისას ეს შედარება თავისთავად ამოტივტივდა.

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს დასასჯელად ბევრი მექანიზმი გამოიყენა, რა-

იმასი, რომ ლიბერალურ პრინციპებს ალტერნატივა არ აქვს. ნებისმიერი ეკონომიკისათვის რამდენიმე წლის განმავლობაში მსგავსი მოვლენების გადატანა — შესაძლებლობათა ზღვარს მიღმაა. მით უმეტეს, პატარა განვითარებადი ქვეყნისათვის ასეთი რყევები საკონტროლო გასროლის ტოლფასია. თუმცა, ღია ეკონომიკამ არამარტო გაუძლო და ადაპტირდა, არამედ წლიურად, საშუალოდ, 9 პროცენტზე მეტად იზრდებოდა. და ახლა, ომისა და კრიზის შემდეგ, მყარად უბრუნდება სტაბილურ პროგრესს.

ნათლად დავინახე, რომ საქართველოს შიგნით ეს წარმატებები ერთგვაროვნად არ ფასდება. რეფორმებს ძალიან ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. სწორედ ეს არის ყველაზე ნათელი გამოხატულება იმისა, რომ ქვეყანა და მისი მოქალაქეების ღირებულებათა სისტემა ძალიან შეიცვალა.

დღევანდელი საქართველოს მიერ საერთაშორისო რეიტინგებში მაღალი ადგილების დაკავება ჩვეულ ამბად იქცა. მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დგას ამ რეიტინგების მიღმა, ვინ და როგორ იღებდა გადაწყვეტილებას, როგორი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა — ჩრდილში დარჩა. ამ წიგნით, რომელიც ორწლიანი კვლევის და 50-ზე მეტი ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგია, ჩემი მიზანი არამხოლოდ ძირითადი ეკონომიკური რეფორმების შესახებ ინფორმაციის გადმოცემა, არამედ რეფორმების მასშტაბისა და მეთოდების შესახებ დისკუსიის დაწყებაა. ეს დისკუსია 90-იანი წლების რეფორმების შემდეგ რუსეთშიც დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო.

საქართველოს მაგალითი ეროვნულ ჩარჩოებს გაცდა და უკვე ქრესტომათიულ მაგალითებად ქცეულ ესტონეთის, პოლონეთის, სინგაპურისა და ა.შ. გვერდზე დაიკავა ადგილი. ამიერიდან საქართველოს მაგალითის შესწავლის გარეშე, მინიმუმ არცერთ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოში, არცერთი საპასუხისმგებლო რეფორმა აღარ ჩატარდება. **[Q]**



მაც ამ ქვეყნისთვის სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო: ბუნებრივ აირზე ფასების მკვეთრი მომატება, ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყალზე ემბარგოს დაწესება, რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების განდევნა, ანტიქართული პროპაგანდა, სამხედრო და დიპლომატიური ზეწოლა, ომი და ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედის ოკუპაცია.

წიგნზე მუშაობისას სრულიად დავრწმუნდი



ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

**ეკა ჭითანავას ბლოგი
ლოჯა ოსეხსა და
ქართველებს შორის**



ცისფერი ღობის გადაღმა ოსური სოფელი მუგუთია, გამოღმა კი ქართული სოფელი დვანი. „ამ ღობეზე ვერ გადახვალ, დაგიჭერენ“, – ამბობენ დვანელები. დვანი ბოლო ქართული სოფელია სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს საზღვარზე. აქ 360-მდე ოჯახი და 1000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

**დავით ჩიხლაძის ბლოგი
როგორ მივძაბოთ
სტუდენტურ
პროტესტამდე?!**

პოზიციების სხვაობა, დაპირისპირება, კამათი, კონსენსუსი, სოლიდარობა და, რაც მთავარია, თავისუფლება – არასდროს მიგრძენია თავი ისე თავისუფლად, როგორც მაშინ, როცა ვუყურებდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც მზად იყვნენ იდეისთვის ებრძოლათ და ერთი ნამითაც არ შეჰპარვოდათ ეჭვი გამარჯვებაში. ეს იყო პირველი ნაბიჯები, პირველი მუხტი. ჩვენ ერთად ვეჭმნოდით პატარა სამყაროს, რომელიც მანამდე არ მენახა.

**ლეო ნაფთას ბლოგი
კოკტოს
გაზაფხული**

რა შეიძლება მოიფიქრო და რით შეიძლება შეიქციო თავი როცა ფანჯრები დახურულია, როცა იმ კარს მიღმა ხარ, რომელიც ღიაა და მაინც გგონია, რომ სულ ვიღაც გიმტვრევს, ვიღაც გეჭრება, ოთახში გივარდება და შენი ნივთების მითვისება სურს? ოთხ კედელში გამომწყვდეულმა და საკუთარი უმოქმედობით დაღლილმა, მაგრამ ამ ყველაფერს უკვე ისე შეჩვეულმა ადამიანმა, რომელსაც შენი მსგავსი ადამიანების მოძრაობა ერთ ადგილზე დგომა გგონია, მათი შიმშილი – მხოლოდ მარხვაზე ყოფნა, მათი სიყვარული – სიყალბე, მათი ომი – სისაძაგლე, მათი რწმენა – პატრიარქი, მათი ნაწერი – პანიკა და მათი მანქანები – უბრალოდ ჯარით?



**თამარ ალავექის ბლოგი
გთხოვთ, დამიბრუნოთ
ჩემი შუბლი!**

31 წელი გარდამტეხი ასაკი მგონია, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავზე ასე გამოვცადე. ცხოვრების ოცინების დეკადამ ჩაიარა –



უმეტესად —უდარდელად, ცოტა დარდიანად და რაც მთავარია, სამუდამოდ. უკვე მრავლისმნახველი, გამოცდილი გოგოები ვართ. ჰო, გოგოები, მერე რა, რომ ქუჩაში მომართვისას ეს სიტყვა წარმატებით ჩაანაცვლა ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე წარმოთქმულმა, მაგრამ მაინც სასტიკმა „ქალბატონო“-მ.

**მულტიკვადია
სტუდენტების აქცია**

**მსახიობები ფილმზე
„დაზაღაპულაბი
საქართველოში“**

საჯახო მონასაქმები



მარკ მალენი

საქართველოს მთავრობა, რომელიც გადასახადებისგან მიღებულ შემოსავლებზე უარს არასდროს ამბობს, კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელ კომპანიებს გადასახადებისგან ათავისუფლებს, იმ იმედით, რომ განვითარდებიან. შესაძლოა, ეს კომპანიები მართლა განვითარდნენ, მაგრამ ჯერჯერობით, საქართველო რეგიონის სხვა ქვეყნებს აღნიშნული მაჩვენებლით საგრძნობლად ჩამორჩება. სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში და რა თქმა უნდა, რუსეთსა და უკრაინაში უკეთესი პროგრამისტები ჰყავთ, ვიდრე საქართველოში. მთავრობა სწორად იქცევა, რომ ამ სექტორს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არასწორად ესმის ის ფაქტორები, რაც ამ სექტორში ინოვაციების შემქმნელებს მოტივაციას უქმნის.

პროგრამირების სექტორს ავითარებენ ახალგაზრდა პროგრამისტები, რომლებსაც სურთ გაერთონ და არა სერიოზული ხალხი, რომლებიც გადასახადის სხვადასხვა ტარიფზე ფიქრობენ. ახალგაზრდა პროგრამისტებს სჭირდებათ რაღაცით გართობა, საქართველოში კი, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი თავისუფალი ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც ისინი შეძლებენ. მდიდარ ქვეყნებში ამბობენ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საინფორმაციო საზოგადოებაში. ისინი, ვისაც ინფორმაციას სწრაფად მოპოვება და დამუშავება შეუძლია, ხდებიან ძალიან მდიდრები და გავლენიანები. ბოლო ხანებში, Wired-ში, ყველაზე

მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოცემაში, რომელიც ინფორმაციებსა და ტექნოლოგიებს საზოგადოების განვითარებასთან აკავშირებს, გამოჩნდა სტატია იმის შესახებ, თუ როგორ ავითარებს თავისუფალი ინფორმაცია ეკონომიკას. სტატიის ავტორი კლაივ ტომპსონია. სტატია 2011 წლის 29 მარტს დაიბეჭდა სათაურით „როგორ

■ ინფორმაციის ლიად გამოყენება იმას გამოიწვევს, რომ ალტრუსტი ადამიანები გამოიყენებენ მას საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

შექმნის ინფორმაცია სამუშაო ადგილებს“. გთავაზობთ სტატიის სრულ ვერსიას:

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, მთავრობის დამცველები ცდილობენ მოახდინონ საჯარო მონაცემების გათავისუფლება. მათი არგუმენტები ამ საკითხის შესახებ შემდეგია: მთავრობა იღებს უზარმაზარ ინფორმაციას ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, როგორცაა კრი-

მინალი, ჯანმრთელობა, ეკონომიკა, ამინდი. ამ ინფორმაციის მოპოვებაში გადასახადის გადამხდელთა თანხა იხარჯება, ასე რომ, ის საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს. ინფორმაციის ლიად გამოყენება კი იმას გამოიწვევს, რომ ალტრუსტი ადამიანები გამოიყენებენ მას საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

თუმცა ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. ბიუროკრატები კვლავაც არ გამოირჩევიან დიდი სურვილით, გასცენ ინფორმაცია. ეს საკითხი არც კონგრესმენებს აწუხებთ, ლობისტებთან შეხვედრისას მარტინის ნრუპის დროს. „ინფორმაციის გაცემა არც ერთი სააგენტოს მთავარ მისიას არ წარმოადგენს,“ – აღნიშნავს ფონდი „The Sunlight“-ის დირექტორი, ტომ ლი. ეს ფონდი აქტიურად მუშაობს ინფორმაციის გასაჯაროებისთვის.

იბადება კითხვა: რა გზით შეიძლება პოლიტიკური დაჯგუფებების ყურადღება მივიქციოთ? პასუხის გაცემა ერთი სიტყვითაც საკმაოდ მარტივია: სამუშაო. მეტი საჯარო ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის ეკონომიკურ აქტივობებში მილიარდიანი ბრუნვის უზრუნველყოფა შეუძლია. ეს იმიტომ, რომ ამგვარი ინფორმაციის არსებობა გონებაშეზღუდული მწარმოების ხელში წარმოუდგენლად მაღალ ღირებულებას წარმოადგენს.

ამას ნათელყოფს სან-დიეგოში BrightScope-ის პროექტის შემთხვევა, რომელიც 2008 წელს ძმებმა მაიკმა და რაიან ალფრედებმა დააარსეს. ისინი

მარტივად მიხვდნენ, რომ ვიდრე ამერიკელები 4 ტრილიონ დოლარზე მეტს აბანდებდნენ 401(k)-ის გეგმებში, რეალურად არ არსებობდა თავისუფალი სააგენტო, რომელიც მათ მიაწვდიდა საკუთარი და სხვა ფირმების თანამშრომლების გეგმების შესახებ შედარებით ინფორმაციას. კანონის თანახმად, 401(k) პროექტის წარმომადგენლებს უნდა მოეხდინათ მათი გეგმების განხორციელების წლიური ანგარიშის გაგზავნა შრომის დეპარტამენტისათვის. ძმებმა ალფრედებმა შეძლეს დეპარტამენტის წარმომად-

გენლები დაერწმუნებინათ იმაში, რომ საჭირო იყო ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება და დაიწყეს კიდევ მისი დამუშავება. მალე მათ დაიწყეს ისეთი მონაცემების ანალიზი, რაშიც ფინანსური მენეჯერები მზად იყვნენ, ათი ათასობით დოლარი გადაეხადათ. BrightScope-მა ბიზნეს საქმიანობით \$2 მილიონზე მეტი გააკეთა 2010 წელს და დღეს უკვე 30-მდე თანამშრომელი ჰყავს. „არ არსებობს კომპანია, რომელიც საჯარო ინფორმაციის გარეშე იმოქმედებს“, – აცხადებს მაიკ ალფრედი.

მსგავს ხრიკს მიმართეს სხვა მენარმეებმაც. 2009 წელს უოლ სტრიტის ტრიომ შექმნა MyCityWay-ის პროექტი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ამერიკის 20 ქალაქიდან, მათ შორის იყო ანგარიშები რესტორნებიდან, მატარებელთა განრიგი, საცურაო აუზების სამუშაო საათები და სატრანსპორტო საცობების ვიდეო-რგოლებიც კი. აღნიშნული მონაცემები უკვე ჩამოტვირთულია მილიონზე მეტჯერ.

საუკეთესო მაგალითად ამ სფერო-

ში მაინც რჩება ამინდის პროგნოზის მულტიმილიარდიანი ინდუსტრია. მოგებაზე გათვლილი ამინდის სერვისი ინფორმაციას National Oceanic and Atmospheric Administration-სგან იღებს და შემდგომ მას ლირებულს შესაბამისი ანალიზებით ხდიან და არგებენ ადგილობრივ ბაზრებს. როგორც საჯარო ინფორმაციის ექსპერტი ანილ დეში აღნიშნავს, ამას ისინი „მიმზიდველი ადამიანების რუკის წინ დაყენებით და ხვალინდელი პროგნოზის გადმოცემით“ ახდენენ.

აირჩიე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფერო და შენ შეგიძლია წარმოიდგინო ათობით იდეა, რომელიც სწორედ საჯარო ინფორმაციის მიღებით ამოქმედდება. დაგენაძლევებით, რომ მილიონობით მშობელი ისურვებდა მიეღო ინფორმაცია სკოლის რეიტინგების, მასწავლებელთა სიახლეების, გამოცდების შედეგების შესახებ (მათ შორის, მეც.)

თუმცა ამისათვის მთავრობის წევრებმა უნდა შეწყვიტონ ფეხის ათრევა ინფორმაციის მიწოდებაზე. როდესაც BrightScope-მა პირველად მიმართა შრომის დეპარტამენტს, მათ 401(k) პროექტის ანგარიშების თითო ფურცელში 5 ცენტის გადახდა მოუხდათ. შრომის დეპარტამენტმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ინფორმაციის უფასოდ და ელექტრონულად გაცემა, რაც საქმეში ობამას ადმინისტრაცია ჩაერია.

ეს არის ის სფერო, სადაც კაპიტალიზმი კარგად ეწყობა საზოგადოებრივ ცხოვრებას. თუკი ბიზნეს-იდეების ძლიერი მიწოლა აიძულებს მთავრობის წევრებს ინფორმაციის საჯაროდ გათავისუფლებას, აქტივისტებიც მალე დაიწყებენ მათ გამოყენებას. სწორედ ამ გზით მოხდება კონსერვატორების ფისკალურ საქმიანობაში ჩართვა: „ჩვენ შეგვიძლია მთავრობის ეფექტიანობის გათვლა და მილიარდობით დაკარგული დოლარის გამოყენება“, – აღნიშნავს დუკის უნივერსიტეტის პროფესორი ვივეკ ვანდვა. რაც კარგია საფულისთვის, ის კარგია სამთავრობო პოლიტიკისთვისაც. 



სექსი სექსუალურობაში



ქართული კულტურა, ერთი მხრივ, აჯილდოებს მამაკაცებს, რომლებსაც ბევრი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ და მეორე მხრივ, სჯის ქალებს, რომლებიც ქორწინების გარეშე სექსს გაბედავენ. რატომ ინარჩუნებენ მამაკაცები ასეთ აშკარად წინააღმდეგობრივ პრივილეგიას?

გიორგი ცხადია


2010 წლის კავკასიური ბარომეტრის მიხედვით (საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩატარებული ყოველწლიური სოციოლოგიური კვლევები), საქართველოს მოსახლეობის 80 % ფიქრობს, რომ ქალს სექსი ქორწინებამდე საერთოდ არ უნდა ჰქონდეს. 72 %-ის აზრით, ქორწინების გარეშე მამაკაცთან ცხოვრება არც ერთ ასაკში არ არის დაშვებული.

რატომ ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა ასე: არის თუ არა ეს მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრა? რა ობიექტური მიზეზები აქვს სექსის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას? რამდენად ემთხვევა რეალობა და კულტურული წარმოდგენები ერთმანეთს?

იმის მტკიცება, რომ „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ მამაკაცების მიერ ქალბატონების ჩაგვრაა, ცოტა რთულია, რადგან ხშირად თავად ქალბატონებიც ეთანხმებიან ხოლმე რეპრესიულ ტრადიციებს. მაგალითად, გელაპის 2006 წლის გამოკითხვის მიხედვით, რომელიც პაკისტანსა და ახლო აღმოსავლეთის 7 მუსლიმურ ქვეყანაში ჩატარდა, მუსლიმი ქალბატონების უმრავლესობა თავს რეპრესირებულად არ მიიჩნევს. ამ ქალბატონების აზრით, გენდერული დისკრიმინაცია მათი საზოგადოებების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა არ არის.

ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილი და გაეროს მიერ აღიარებული ფაქტია, რომ ამ ქვეყნებში ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ე.წ. „ღირსების აღმდგენი მკვლელობები“ ხდება – ქალბატონებს ოჯახის

თობების საკითხებში გადამწყვეტია. საქართველოს განათლების სამინისტრო, უკვე ნახევარი წელია, რაც პროექტს – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ახორციელებს და ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან საქართველოში მოხალისეები ჩამოჰყავს. მოხალისეები ქართულ სკოლებში ინგლისურ ენას ასწავლიან. სპეციალური პედაგოგიური უნარების განვითარებასთან ერთად, მათ ადგილობრივი კულტურის შესახებაც აწვდიან აუცილებელ ინფორმაციას. ერთ-ერთი მოხალისე თავის პერსონალურ ბლოგზე (peripateticpedagogue.wordpress.com) როგორც წერს, მოხალისეებს აფრთხილებენ, რომ არ ჰქონდეთ სექსი ქართველ ქალთან, თუ მის ცოლად მოყვანას არ გეგმავენ. თუ სექსი ექნებათ, მათ შეიძლება პრობლემები შეექმნათ განრისხებულ „პატრონთან“ – მამასთან ან ძმასთან, რომლებსაც ბიძების და ბიძაშვილების არმეები მოჰყვება და მათ ოჯახის ღირსების შემარცხვნილისთვის ზიანის მიყენება ენდომებათ. იმისთვის, რომ თემა გასცდეს კულტურული დაპირისპირების საზღვრებს და იგი გენდერულ პრობლემად გადაიქცეს, ქალბატონებმა თავიანთ უფლებებზე საუბარი ხმამაღლა უნდა დაიწყონ, ისე, რომ მამაკაცების აგრესიის არ შეეშინდეთ. მუსლიმურ ქვეყ-



წვერები კლავენ იმის გამო, რომ ოჯახის ღირსებას „არცხვენენ“. მართალია, საქართველოში საქმე მკვლელობამდე იშვიათად მიდის, მაგრამ მამაკაცების როლი გენდერული ურთიერ-

პირების საზღვრებს და იგი გენდერულ პრობლემად გადაიქცეს, ქალბატონებმა თავიანთ უფლებებზე საუბარი ხმამაღლა უნდა დაიწყონ, ისე, რომ მამაკაცების აგრესიის არ შეეშინდეთ. მუსლიმურ ქვეყ-

ნებთან შედარებით, საქართველოში (განსაკუთრებით ქალაქებში) ქალების მიმართ სექსუალური თავშეკავებულობის მოთხოვნით განხორციელებული აგრესია ნაკლებად მოსალოდნელია. ამ შემთხვევაში, შესაძლოა გაჩუმების ერთ-ერთი მიზეზი არა მხოლოდ კულტურულ თავისებურებებში, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებშიც უნდა ვეძებოთ.

ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც, ქალბატონები თავიანთი უფლებების დაცვას ვერ უზრუნველყოფენ, მათი ფინანსური დამოკიდებულებაა მშობლების ოჯახზე. თბილისშიც კი რთულია დამოუკიდებლად, ოჯახის დახმარების გარეშე ცხოვრება, თუმცა ახალ თაობაში აქაიქ მაინც ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ოჯახისგან დამოუკიდებლად მარტო ან შეყვარებულებთან ერთად ცხოვრობენ. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ასეთი ადამიანების რიცხვი გაიზრდება.

რთული საკითხია, თუ რამდენად უკავშირდება სექსუალური თავისუფლების შეზღუდვა კულტურას და რამდენად – სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ამაზე დავა უსასრულოდ შეიძლება, რადგან ზოგ შემთხვევაში შეიძლება ვინმეს მეტი თავისუფლება უნდოდეს და ეკონომიკური პირობები არ აძლევდეს თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, ზოგ შემთხვევაში კი ემინოდეს ან მთლიანად იზიარებდეს დადგენილ კულტურულ ნორმებს. ორივე შემთხვევაში, შედეგი ერთი და იგივეა – ნაკლები სექსუალური თავისუფლება და ემანსიპაცია. გარჩევა პირველი შემთხვევისა მეორისგან ძალიან ძნელია.

საინტერესოა მედლის მეორე მხარის – მამაკაცების პოზიციის განხილვაც. თუ ქალბატონების შემთხვევაში, მთავარი პრობლემა მამაკაცების მიერ განხორციელებული აგრესიის შიში შეიძლება იყოს, რა აიძულებთ თავად მამაკაცებს, უარი თქვან მეტ სექსუალურ თავისუფლებაზე? აქ ხომ აშკარა წინააღმდეგობა წარმოიშობა – ერთი მხრივ, კულტურა აჯილდოებს მამაკაცებს, რომლებსაც ბევრი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ და მეორე მხრივ, სჯის ქალებს, რომლებიც ქორწინების გარეშე სექსს გაბედავენ. რატომ

ინარჩუნებენ მამაკაცები ასეთ აშკარად წინააღმდეგობრივ ტრადიციას? სექსი ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, რომლის დაკმაყოფილების ინსტინქტიც, წესით, კულტურულ შეზღუდვებზე უფრო მაღლა უნდა იდგეს.

საქმე ის არის, რომ მამაკაცებს ამგვარი წინააღმდეგობა მოხსნილი აქვთ იმით, რომ ისინი ქალებს არაფორმალური სექსის „უფლებას“ აძლევენ. სექსუალური თავისუფლება შეზღუდულია საჯარო სივრცეში და არა პრივატულში. ქართული კულტურისთვის მიუღებელია საჯაროდ საკუთარი სექსუალური ცხოვრების წარმოდგენა, მაგრამ პირად სივრცეში ქართველი ქალებიც და კაცებიც თავს უფლებას აძლევენ დატკბნენ სექსუალური ურთიერთობებით. ასე იყო ყველა თაობაში და ასეა ყველა ტიპის დასახლებაში: სოფელშიც და ქალაქშიც. უბრალოდ,

■ თუ ქალბატონების შემთხვევაში, მთავარი პრობლემა მამაკაცების მიერ განხორციელებული აგრესიის შიში შეიძლება იყოს, რა აიძულებთ თავად მამაკაცებს, უარი თქვან მეტ სექსუალურ თავისუფლებაზე?

ხანდახან ასეთი ურთიერთობები იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ შესაძლოა გულბრყვილო ადამიანს შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს საზოგადოებაში სექსი არ არსებობს. ის, რომ სექსი მხოლოდ ტაბუა და პრივატულ სივრცეში შეზღუდული არ არის, იქიდანაც ჩანს, თუ რა პოპულარულია საქართველოში „ქალიშვილობის აღდგენის“ ოპერაციები და აბორტები.

თუ საზოგადოებაში სექსი დაფარულად, მაგრამ მაინც არსებობს, მაშინ რაშია პრობლემა – რატომ ითვლება, რომ სექსუალური თავისუფლება შეზღუდუ-

ლია? როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრობლემა არა სექსის არარსებობა, არამედ საჯარო დისკურსში მისი შეზღუდვაა. ეს კი პირდაპირ დაკავშირებულია ქალების ჩაგვრასთან, რადგან თუ პრივატულ სივრცეში მამაკაცები ქალებთან სექსს საკუთარი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მიმართავენ, საჯარო სივრცეში იმავე ქალებს „ბოზებს“ უწოდებენ და ამორალურ ადამიანებად თვლიან. სინამდვილეში, ისეთ კონსერვატორულ ქვეყანაშიც კი როგორც ირანია, სექსი პირად ცხოვრებაში შეზღუდული არ არის. ირანში არსებობენ ჰომოსექსუალებიც, მაგრამ ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი მათ არსებობას დღემდე ჯიუტად უარყოფს.

საჯარო სივრცეში სექსის თემის წარმოჩენაზე ბოლო დროს ქართული ტელევიზიები აქტიურად მუშაობენ, განსაკუთრებით, ტელეკომპანია „იმედი“ და კომპანია „ფორმულა კრეატივი“. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ თემის განხილვა მისი სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტებისგან მონყვეტილად ხდება, რაც მოსახლეობაში არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს. სოციოლოგიურ ასპექტში უმთავრესად გენდერულ პრობლემატიკას ვგულისხმობ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი. ფსიქოლოგიურ ასპექტის განხილვა კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თავისუფალი სექსუალური ურთიერთობები საჯარო სივრცეში მხოლოდ ბიოლოგიურის ინსტინქტის დაკმაყოფილებად არ წარმოჩინდეს და კონსერვატორულად განწყობილ მოსახლეობას ისეთი შთაბეჭდილება არ შეექმნას, რომ თავისუფალი სექსუალური ურთიერთობები მხოლოდ ცხოველური ინსტინქტია და მისი საჯარო სივრცეში ლეგიტიმაცია არ შეიძლება.

სექსუალური თავისუფლების საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და დიდი რისკი არსებობს, რომ მისი არასწორად აღქმისა და წარმოჩენის გამო, პრობლემა კიდევ უფრო მეტად გამწვავდეს. ამიტომ, აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე მეტი სერიოზული საჯარო დისკუსიის გამართვა და „სექსის“ არა როგორც ბიოლოგიური აქტის, არამედ როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენის წარმოჩენა. **■**

შენახვა, მოხმარება, ბასალა



ლაშა ზულაძე, მწერალი

უკვე წლებია, რაც ჩვენი სახელმწიფო ერთ მეტად სამარცხვინო პრაქტიკას ერთგულობს: ავადმყოფებს უშვებს ციხეში.

ხელისუფლება ჯერაც ვერ მიმხვდარა (ან შეგნება არ უნდა), რომ ნარკომანი ავადმყოფია და არა დამნაშავე (ამ სიტყვის სამართლებრივი კონოტაციით).

რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტის რეზიდენციაში პატიმართა შეწყალების კომისია შეიკრიბა (ეს კომისია რეკომენდაციებს გადასცემს პრეზიდენტს). სამასი საქმიდან ნახევარზე მეტი ნარკოტიკის მომხმარებლებზე მოდიოდა. შესაბამისად, სხდომის უმეტესი ნაწილი იმის გარკვევას დაეთმო, ესა თუ ის პატიმარი მხოლოდ მომხმარებელი იყო, თუ გამსაღებელიც (ზოგ საქმეში ასეა მითითებული: „შენახვა, მოხმარება“). თუკი პატიმარს „გასაღებაც“ ენერა, კომისიის წევრები დამშვიდებული სინდისით გასცემდნენ უარებს, ხოლო თუკი ცოტა უფრო დამაბნეველად იყო საქმე, ტელეპატიური გზით ცდილობდნენ გამოცნობას, ეს კაცი მართლაც ოდენ ნარკომანი იყო თუ წამლის გასაღებაზეც სპეციალიზდებოდა. თუმცა დიდად ვერც სიტყვა „გამსაღებელი“ მოქმედებდა დამამშვიდებლად, რადგან რაკი ამ ქვეყნის შვილი ხარ, კარგად უწყი, რა ადვილიცაა ნარკოტიკის მომხმარებლის ნარკოტიკის გამსაღებლად ქცევა. მოგეხსენებათ, საქართველო... ყველამ მშვენივრად იცის, როგორ „უდებენ“ სამართალდამცავები „ოდნავ ზედმეტ“ დოზებს დასაჭერად განწირულებს.

ასე რომ, ამ ყველაფერს მუდმივად თან ერთვის მეტად უსიამოვნო გაუგებრობები. წლებია, ლაპარაკობენ კანონის შეცვლაზე, მაგრამ ჯერაც არაფერი

შეცვლილა; უფულო ნარკოავადმყოფები კვლავაც ციხეში რჩებიან, ხოლო ისინი, ვისაც ფულით შეუძლიათ თავისუფლების ყიდვა, გარეთ გამოდიან. ამ მხრივ, ვფიქრობ, სრულიად ამორალურ და მიუღებელ პრაქტიკასთან გვაქვს საქმე (ვის არ სმენია ასეთი ამბები): ნარკომანმა N-მა 80 000 ლარი გადაიხადა და ციხის გარეთ აღმოჩნდა, ნარკომან X-მა კი ეს თანხა ვერ მოიძია და გისოსებს მიღმა ჩარჩა. ღმერთმანი, მეტად უცნაური ინდულგენციაა!

ისინი, ვინც ნარკომანების ციხეში გამოწყვედევას უჭერენ მხარს, პოზიციებს შემდეგი არგუმენტებით იმყარებენ: 1. სტატისტიკა გვამცნობს, რომ ნარკოტიკების გაყიდვა შემცირდა. 2. დაჭერილ ნარკომანებს გამსაღებელთა კვალზე გაჰყავთ გამომძიებლები (ჩანართის სახით: და „ვისაც ვერ ან არ გაჰყავს, 10, 13 და 14 წელს უსჯიან). 3. ბიუჯეტში ამ გზითაც შედის ფული. 4. ნარკომანები ციხეში „წარმატებით აგდებენ წამალს“.

დავინწყით ბოლოდან. ნარკომანიის პრობლემას რომ მორფინისტთა ციხეში გამოწყვედევით ვერ გადაჭრი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნარკომანობისთვის ერთხელ უკვე სასჯელმთხედო ხალხი ძალიან მალე ხელახლა ხვდება სატუსალოში, ანუ – ხალხურ ენაზე რომ ვთქვათ – თუკი ციხეში ყოფნის დროს არ იჩხერდა, როგორც კი გამოვიდა, მაშინვე ცხოვრების „ძველ წესს“ დაუბრუნდა. როცა სტატისტიკაზე საუბრობენ, კარგი იქნება, თუკი, უპირველეს ყოვლისა, ასეთ ტიპურ პრეცედენტებს შეისწავლიან. ავადმყოფი ავადმყოფადვე რჩება; როგორც მანიაკალური დეპრესიით დაავადებულ, ან შიზოფრენიის ნიშნების მქონე ადამიანს ვერ გამოაჯანმრთელებ

ბს ციხე (თუმცა სწორედ ასე ეგონათ მეცხრამეტე საუკუნემდე), ასევე ვერ უშველის საპყრობილე ნარკომანს. უნდა არსებობდეს ძლიერი და ეფექტიანი სარეაბილიტაციო ცენტრი და ის ფული, რომელიც თუნდაც ციხეში მყოფი ნარკომან-ავადმყოფების შენახვაზე იხარჯება, სწორედ მათ მკურნალობაში (და



არა დასჯაში) უნდა ჩაიდოს.

მაგრამ აქ ისმის შეკითხვა: რა ვუყოთ ბიუჯეტს? რა ვუყოთ ისეთ ნარკომანს, რომელსაც 80 000-ის გადახდა ძალუძს, ან (ერთი ცნობილი ტუსალის ამბავს თუ გავიხსენებთ) მანქანების შესყიდვა-ჩუქება რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებისათვის? განა იმიტომაც არ იკვიატებენ გამომძიებლები ისეთ ნარკომანებს, რომელთაც ერთხელ უკვე მოიხადეს სასჯელი, მაგრამ გამოსვლიდან ცოტა ხანში მაინც „ნაუცდათ ხელი“... ხომ იცით, როგორც ფიქრობენ ასეთ დროს? ცნობილი ნარკომანია, რა იცი, იქნებ მეტის გადახდა შეძლოს ამჯერად, თუ არა და, წლობით იჯდება, მორიგი მიტინგებისა და, შესაბამისად, დამფრთხალი ხელისუფლების კომპრომისების მოლოდინში.

სტატისტიკაზე საუბარი კი, რაც დრო გადის, ვრწმუნდები – დემაგოგებს უყვართ (თანაც, რა ვქნა, ერთი უცნაურობა მჭირს; როცა ეს სიტყვა მესმის, მაშინვე სტალინის ბრძულ-ამორალური ფრაზა მახსენდება: ერთი ადამიანის სიკვდილი – უბედურებაა, რამდენიმესი – ტრაგედია, ხოლო მილიონების – სტატისტიკა). ნამდვილი ადამიანების სტატისტიკა კი ასეთია, ჩემო სახელმწიფო: ციხეები სავსეა ნარკოტიკების მომხმარებელი ავადმყოფებით და, რაც მთავარია, მუდმივად „განახლებაში“ – სტაჟიანი ნარკომანები ხელახლა შედიან, ხოლო ახლებს, როგორც ჩანს, არანაირი შანსი არა აქვთ, რომ იქაურობას ერთხელ და სამუდამოდ დააღწიონ თავი: იქ კიდევ ბევრჯერ მოხვდებიან. რადგან – ვიმეორებ! – ნარკომანის პრობლემას

სხვაგვარი მიდგომა სჭირდება და არა ასეთი ზედაპირული და გამომძაღველური. ასევე, უნდა შევიგნოთ, რომ ამით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვაგდებთ ნარკომანის მიერ ისედაც საკმაოდ დაბეჩავებულ და გაუბედურებულ ოჯახებს (განა ეს ოჯახები არაა საქართველოს ბოლო ოცნლეულის ისტორია?) და თუნდაც ამ პრობლემისადმი უსამართლო მიდგომის გამო კიდევ უფრო ვზრდით ხალხში აგრესიას. ნარკომანის დეკრიმინალიზაციის შემდეგ ციხეებში მჯდომი ადამიანების რიცხვი განახევრდება, ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ჰოდა, ჩვენ ვეკითხებით ხელისუფლებას: გინდათ თუ არა, რომ ციხეები ხალხისგან დაიცალოს?

ეს მრავალი რამის განმსაზღვრელი შეკითხვაა. 



მიჯაბიჯება სამოთხის წინააღმდეგ



ქართულ-ამერიკული ინტერაქტიული „ეიფორია“ რუსთაველის თეატრის სარეპეტიციო დარბაზში.

დავით ბუზრიკიძე



ფოტოგრაფი ვაზა ბოგაზოვიძე

სცენა ინტერაქტიული სპექტაკლიდან „ეიფორია, რაღაც უკეთესი მოხდება“

ვიდრე რუსთაველის თეატრის მეოთხე სარეპეტიციო დარბაზში დერეფნების გავლით ჩააღწევთ, თავისუფლად შეიძლება საქმიანი „მეგზური“ გოგონა სუსანინის აჩრდილად მოგეჩვენოთ. არადა, შემაშფოთებელი არაფერია. რამდენიმე წუთში დიდ და ნახევრად განათებულ დარბაზში აღმოჩნდებით, რომელიც ერთდროულად ლტოლვილთა ბანაკსა

და საველე ჰოსპიტალს ჰგავს. იქ დაბანაკებული 16 მსახიობი გეპატიჟებათ ქართულ-ამერიკულ ინტერაქტიულ წარმოდგენაზე სახელწოდებით „ეიფორია, რაღაც უკეთესი მოხდება“. პროექტის მხარდამჭერია ამერიკის საელჩო საქართველოში, რომელმაც რუსთაველის თეატრის ტრადიციებსა და თანამედროვე ამერიკულ დრამას რაღაც

საერთო ნერტილი მოუძებნა. თეატრალური პროექტი ამერიკული განვითარების ფარგლებში განხორციელდება. მართალია, ჩვენი პუბლიკისთვის ეს ჟანრი (როცა მასწავლებელი უშუალოდ ერთვება წარმოდგენაში) ჯერ კიდევ უცხო ხილივითაა, მაგრამ, დაახლოებით, ერთსაათიანმა ექსპერიმენტმა დამარწმუნა, რომ მსგავსი სურვილე-

ბით „განანამებ“ ჩვენს რეჟისორებს დიდი ტანჯვა არ დასჭირდებათ თეატრალური ყამირის გასატყობად. ამაში მათ ამერიკელი კოლეგის, კოლინ ჰოვდეს მაგალითიც დაეხმარება, რომელმაც დარბაზში შეკრებილ და თითქმის უკომპლექსოდ მოსიერნე პუბლიკას საკუთარი რეჟისორული ნამუშევარი წარუდგინა.

ინტერაქტიულ სპექტაკლს საფუძვლად დაედო ამერიკელი მწერლისა და დრამატურგის ლი აუგუსტ პრელის ტექსტი, რომელიც დავით გაბუნიაშუსტად და თეატრალური კონტექსტის გათვალისწინებით თარგმნა. ასე რომ, რუსთაველის თეატრის დასი ცნობილ სარეპეტიციო დარბაზში, გაშლილი სანოლების, მბჟუტავი ფანრების, ოდნავ დაბნეული მსახიობებისა და რადიოთი გადმოცემული „ლიდერის“ ხმის ფონზე, ერთი საათით, სულ სხვა თეატრს გავიარებთ. სხვათა შორის, თავის დროზე, სწორედ ამ დარბაზში წარმოადგინა რობერტ სტურუამ „სტიქის“ პირველი ვარიანტი, ხოლო გასულ წელს დრამატურგმა დავით გაბუნიაშმ პოსტმოდერნისტული ირონიით მოკირწყლული „საპნის ოპუსი“.

რუსთაველის თეატრის აკადემიური ტვირთით დამძიმებულმა მსახიობებმა შესაძლოა, კარგად არც იციან, რას თამაშობენ, მაგრამ ცდილობენ ჟანრის ჩარჩოები დაიცვან და იმედგაცრუება მონდომებული არტისტიზმით თუ დასწავლილი ირონიით შენიღბონ. ეს ყველაზე უკეთ ნანუკა ხუსკივაძეს გამოსდის, რომლის პერსონაჟი ერთგვარად გაუცხოებულია, ასე ვთქვათ, თამაშის მიღმა იმყოფება და დროულ-სარკასტული რეპლიკებით პუბლიკასაც აფხიზლებს და მსახიობებსაც.

უჩინარი ლიდერი წარმოდგენაში არ მონაწილეობს. მისი ხმა მხოლოდ ძველი, დაწვლული რადიოდან ისმის: „ჩემი ნამუშევარი ყველგანაა, მაგრამ მას ხელით ვერ შეეხებით. ვერ შეაჩერებთ, ვერც ნაწილებად დაშლით... ის, უბრალოდ, უნდა იგრძნოთ“. არადა, „მგრძნობიარე“ ადამიანები სწორედ ერთმანეთთან ურთიერთობას გაუბიან, თავისთვის საუბრობენ და სანოლებს

შორის მოსიარულე პუბლიკას „შინ“, ანუ სანოლთან ეპატიჟებიან. ეს მათი პატარა, ლირიკული და თითქმის საცოდავი ავტონომიური სივრცეა; ერთგვარი სამოთხის ნიწკარი, საიდანაც უკვდავებაში გადასასვლელად ძალიან ცოტა დრო რჩება. იგი სავსეა გამოჭრილი ფერადი ქაღალდებით, გაცრეცილი წიგნებით, გალაკტიონის ლექსებითა და ბორხესის ნოველებით...

ქალაქის სამშენებლო გეგმას ნინო თარხან-მოურავი საქმიანი მზერით გა-

ძემ განაცხადა, „ახალგაზრდა კომპოზიტორი ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოვიდა ამერიკიდან“. მიუხედავად იმისა, რომ კოლინ ჰოვდემ საკმაოდ ახალგაზრდა რეჟისორია, გამოუცდელი მასზე ნამდვილად არ ითქმის. რამდენიმე წლის წინ, ვაშინგტონში საკუთარი თეატრი ჩამოაყალიბა, სადაც, ძირითადად, თანამედროვე დრამატურგების პიესებს დგამს. სწორედ იქ გაიცნო ქართველი მხატვარი ნინო მალლაკელიძე, რომელთანაც



სცენა ინტერაქტიული სპექტაკლიდან „ეიფორია, რალაც უკეთესი მოხდება“

გაცნობთ. დარეჯან ხარშილაძე ლექსებს პათეტიკურად წაგიკითხავთ, ხოლო ნინო არსენიშვილი მავედრებელი მზერით მიგიპატიჟებთ პიანინოსთან: „ნამოდით, რა... დაკვრა არავის გინდათ?“ უკიდურეს შემთხვევაში კი, თუ მოგმივდებათ, ბლინების გამოსაცხობი ტოსტერი ნანა ლორთქიფანიძეს მზად აქვს. ლევან ხურციას პროვოკაციულ ფრაზას – „სექსი ჩემთან არავის გინდათ?“ – რატომღაც მხოლოდ ირონიულად და ისიც მამაკაცები ეხმაურებიან.

უღიმილამო განათებას დროდადრო ფორტეპიანოს ხმები არღვევს, რომელსაც მორცხვად ენაცვლება გიორგი ქლიბაძის ელექტრონული მუსიკა. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, მხატვარმა და არტ-მენეჯერმა ნინო მალლაკელი-

ერთად ვაშინგტონში სპექტაკლი-აქცია „ეიფორია“ განახორციელა.

შესაძლოა, რუსთაველის თეატრის სარეპეტიციოში წარმოდგენილი „ეიფორია“ რეჟისორისთვის მხოლოდ ამერიკული ექსპერიმენტის გაგრძელებაა, ან იქნებ ტესტია გამძლეობაზე ქართველი მყურებლისათვის, რომელიც თითქმის არ ცნობდა მსახიობებთან თანაზიარ, საერთო სცენურ სივრცეს? და ამიტომაც სიბნელე და ფინალური სიცარიელე ერთგვარ ესთეტიკურ უფსკრულად აღიქმება, რომელშიც ამერიკელი დრამატურგის პრეტენზიული განცხადება – „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უკეთეს ცხოვრებაში, მომავალში“ – სწორედ სამოთხის ნიწკარში უსასრულო ლოდინს ჰგავს. ■

უპირატესო საშუალო კორნილს YouTube-ზე

პრინც უილიამისა და ქეთი მიდლტონის საქორწინო ცერემონიალს პირდაპირ ეთერში YouTube-ზე, სამეფო ოჯახის ოფიციალურ არხზეც გადასცემენ. ინტერნეტ-მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, თვალი ადევნონ ჯვრისწერას, საზეიმო პროცესიას ბუკინგემის სასახლემდე და ახლად დაქორწინებულებს პირველ კოცნას რეზიდენციის აივანზე.

საქორწინო ცერემონიალის მსვლელობისას უილიამის პრეს-მდივნები მოვლენებს სპეციალურ ბლოგზე აღწერენ. ამავე ბლოგზე ოპერატიულად განთავსდება



ფოტოებიც, რომლებიც მოგვიანებით Flickr-ზე, სამეფო ოჯახის ფოტობლოგზეც აიტვირთება.

ბრიტანეთის სამეფო კარის ინფორმაციით, ონლაინ-ტრანსლაციის გადწყვეტილება თავად უილიამმა და ქეთიმ მიიღეს. სამეფო ქორწილი ინტერნეტ-სივრცეში ფართოდ შუქდება. ცოტა ხნის წინ საიტი www.official-royalwedding2011.org გაიხსნა, რომელიც მთლიანად 29 აპრილს დაგეგმილ ქორწილს ეძღვნება. რესურსს უკვე 8 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავს.

კორნოლომანი .XXX ამოქმედდა

პორნოზონა .XXX-ში პირველი რესურსები გაჩნდა. უკვე დარეგისტრირდა დომენები sex.xxx, xxx.xxx და porn.xxx. ამას გარდა, კომპანია ICM Registry-მ, რომელიც .XXX ზონაში დომენების რეგისტრატორია, მისამართები icm.xxx და icmregistry.xxx თავად აიღო. კომპანიაში აცხადებენ, რომ დომენის მიღების



მსურველთა რაოდენობა უკვე 600 ათასს აღწევს, ამიტომ მათი დარეგისტრირება სამ ეტაპად მოხდება და 60-70 დოლარი ეღირება. თითო დომენიდან დაახლოებით 2 დოლარს კორპორაცია ICANN მიიღებს.

პორნოზონას ბოიკოტი უკვე გამოუცხადა ინდოეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა. ქვეყნების მთავრობები აცხადებენ, რომ მათთან .XXX დაიბლოკება.

BlackBerry PlayBook-ის ბაჰიჯვები დაიწყო

აშშ-სა და კანადაში Research in Motion-ის პლანშეტის BlackBerry PlayBook-ის გაყიდვები დაიწყო. BlackBerry PlayBook-ის სამივე მოდელს Wi-Fi-ს მხარდაჭერა აქვს და 499, 599 და 699 დოლარად იყიდება. პლანშეტის ფასი ინტეგრირებული მეხსიერების მოცულობაზე დამოკიდებულია: ყველაზე იაფფასიანი ვერსიის მეხსიერების მოცულობა 16 გიგაბაიტია, ყველაზე ძვირადღირებული კი – 64 გიგაბაიტი. სამომავლოდ კომპანია PlayBook-ის იმ ვერსიის გამოშვებასაც გეგმავს, რომელშიც ფიჭური კავშირის მოდული ექნება ინტეგრირებული, თუმცა მისი გამოსვლის თარიღი არ



კონკრეტდება.

BlackBerry-ის პლანშეტს 7 დიუმიანი სენსორული ეკრანი აქვს. მონწყობილობა მობილურ ოპერაციულ სისტემა BlackBerry Tablet OS-ის ბაზაზე მუშაობს. BlackBerry-ის სმარტფონის მფლობელებისთვის პლანშეტი ერთგვარი დამატებაა, თუმცა მას არ აქვს BlackBerry-ს კალენდრისა და ელექტრონული ფოსტის კლიენტის მხარდაჭერა. ეს ორი ფუნქცია კი კანადური კომპანიის პროდუქციის მთავარი უპირატესობებია.

Apple Samsung-ის წინააღმდეგ

Apple-მა ამერიკის სასამართლოში Samsung-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. სტივ ჯობსის კომპანიაში თვლიან, რომ სურია Galaxy-ს დიზაინი და ინტერფეისი iPhone-ს და iPad-ის ასლია. Apple-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტინ ჰუგეტმა აღნიშნა, რომ ასეთი მსგავსება აბსოლუტურად გაუმართლებელია და კომპანიისგან შესაბამისი რეაგირება აუცილებლად მოჰყვება: „Samsung-ი საკუთარი ტექნოლოგიებისა და საფირმო სტილის განვითარების ნაცვლად Apple-ის



დიზაინს, ინტერფეისსა და ტექნოლოგიებს იყენებს“, – დასძინა მან. ამერიკელების ძირითად უკმაყოფილებას მონწყობილობები Samsung Galaxy C-4G, Epic 4G, Nexus-მ და Galaxy Tab იწვევს.

ექსპერტებისთვის Samsung-ის მიმართ Apple-ის ამგვარი მკვეთრი განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, კომპანიები არამარტო კონკურენტები, არამედ პარტნიორებიც არიან: სამხრეთკორეული მწარმოებელი Apple-ისთვის სხვადასხვა მონწყობილობების

ნაწილების ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია. Samsung-ში აცხადებენ, რომ საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად ყველა აუცილებელ იურიდიულ ზომას მიმართავენ. Samsung-ში Apple-ის წინააღმდეგ შემხვედრი სარჩელის შეტანაც იგეგმება.

iPhone 5 სექტემბერში გამოვა

Apple სმარტფონ iPhone-ის ახალი, მეხუთე ვერსიის გამოშვებას სექტემბერში გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, ტელეფონის წარმოება ივლისში ან აგვისტოში დაიწყება. მონოპოლიზაცია კი გაცილებით სწრაფი პროცესორით, დიდი სენსორული ეკრანით, ოპერაციული სისტემა iOS-ის ახალი ვერსიითა და Apple-ის სხვა საფირმო ნიშნებით აღიჭურვება.

კომპანიაში ჯერჯერობით iPhone 5-ის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ, სამაგიეროდ, ადასტურებენ, რომ თეთრი



ფერის iPhone 4 გაყიდვაში ზაფხულამდე გამოვა. თეთრი სმარტფონის გაშვება გაურკვეველი მიზეზების გამო რამდენჯერმე გადაიდო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ Apple-მა მონოპოლიზაციაში დეფექტი აღმოაჩინა და მის აღმოფხვრაზე მუშაობდა.

Twitter-ს TweetDeck-ის შექმნა სურს

Twitter-ი პოპულარული მობილური დამატების TweetDeck-ის შექმნას აპირებს. გარიგების სავარაუდო თანხად 50 მილიონი დოლარი სახელდება. ჯერჯერობით უცნობია, როგორ გეგმავს კომ-



პანია TweetDeck-ის გამოყენებას, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ იგი ნავიგაციის სისტემას გაამარტივებს, მომხმარებლებს კი საინტერესო კონტენტის მოძიებაში დაეხმარება.

კომპანია Awe.sm-ის ხელმძღვანელი ჯონათან სტროსი, რომელიც Twitter-ისა და Facebook-ის მარკეტინგული კამპანიების ეფექტიანობის კვლევაზე მუშაობს, აცხადებს, რომ თუ Twitter-ს კომპანიის ღირებულების რამდენიმე მილიონამდე გაზრდა სურს, მან პირველ რიგში, სულ უფრო მეტი ჩვეულებრივი ინტერნეტ-მომხმარებელი უნდა მიიზიდოს. „ადამიანების უმეტესობამ იცის Twitter-ის არსებობის შესახებ, თუმცა არ ესმით, რა არის იგი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება“, – აღნიშნავს სტროსი.

Safari „სარეკლამო თვალთვალისგან“ დაზიანდა

ბრაუზერ Safari-ს ახალ ვერსიაში ტრეკინგისგან დაცვის ფუნქცია იქნება ინტეგრირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა რესურსები მომხმარებლის ვებ-აქტივობის შესახებ ინფორმაციას ვერ მიიღებენ. ინფორმაცია, თუ რას ეძებენ მომხმარებლები ინტერნეტში და რომელ საიტებს სტუმრობენ ისინი, აქტიურად გამოიყენება რეკლამის დამკვეთების მიერ, რაც დიდი ხანია



უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და თავად ინტერნეტ-მომხმარებლების პროტესტს იწვევს.

ტრეკინგისგან დაცვის საშუალებები Apple-ისთან ერთად საკუთარ ბრაუზერებში Mozilla-მ, Opera-მ და Microsoft-მაც დანერგეს. ერთადერთი ბრაუზერი, რომელიც მომხმარებლებს ამ ფუნქციას არ სთავაზობს, Google Chrome-ია.

ფასიანი პაემანი



ინტერნეტში გაცნობის ახალი საიტი WhatsYourPrice.com გაჩნდა, რომლის მომხმარებლებსაც პირველი პაემნისთვის ფასის დაწესება შეუძლიათ. რესურსის შემქმნელი ამერიკელი ბრენდონ უეიდი, რომელიც საიტის მუშაობის პრინციპს ქველმოქმედებას ადარებს.

WhatsYourPrice.com-ზე დასარეგისტრირებლად მომხმარებელმა ანკეტა უნდა შეავსოს და მიუთითოს ვიზიტორების რომელი კატეგორიაა სურს. სულ ვებ-გვერდზე 2 კატეგორიაა – ხელგაშლილების და ლამაზების. ამის შემდეგ მომხმარებელს საშუალება აქვს, პაემნის სანაცვლოდ ფული სხვას შესთავაზოს, ან შეხვედრისთვის საფასური თავად დაანუსოს.

WhatsYourPrice.com-ის შემქმნელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, თუმცა თავად ბრენდონ უეიდი აბობს, რომ მომხმარებლები ფულს არა სექსისთვის, არამედ იმ ადამიანთან შეხვედრისთვის იხდიან, რომელიც მოსწონთ. ნებისმიერი ეროტიკული შინაარსის შეთავაზება საიტის ადმინისტრაციის მიერ მომენტალურად იშლება.

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

ბოდიში! მიჯაბიბია!



კახა თოლორდავა

ნინია კაკაბაძის ღია წერილმა საქართველოს პატრიარქისადმი, სადაც ის თხოვნით მიმართავს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს, აიძულოს დეკანოზი დავით ისაკაძე, ბოდიში მოუხადოს გოგი გვახარიას შეურაცხყოფისათვის, კიდევ ერთხელ შემახსენა, რომ არასდროს მომისმენია საჯაროდ შეურაცხყოფისთვის საჯაროდვე მოხდილი ბოდიში. ვგულისხმობ ჩვენთან, საქართველოში, თუნდაც თბილისში. ქართველები სიამოვნებით და მზადყოფნით აყენებენ ერთმანეთს შეურაცხყოფას საჯარო შეკრების ადგილებში, სატელევიზიო თუ რადიო ეთერიდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან და ანონიმური ინტერნეტ-ბლოგებიდან. არცერთ ასეთ შემთხვევაში, თუ მესხიერება არ მლაღატობს, შეურაცხყოფელს საჯარო ბოდიში არ მოუხდია შეურაცხყოფილისათვის. არც საკუთარი ინიციატივით და არც კანონის ძალით. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვფიქრობდი, როდესაც ამ ორიოდ წლის წინ ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ უმიზნებდნენ ხის ჯვრებს საფეთქელში კინოთეატრ „ამირანის“ შესასვლელში მდგარი პროტესტანტები კინოფესტივალზე შესვლის მსურველებს. ერთ-ერთი მსხვერპლი, ჩემი უცხოელი ნაცნობი, საკუთარი ხელით გამოვგლიჯე შეშლილსახეებიან მამაკაცებს და ქალბატონებს. „I have a right! I have a right! (უფლება მაქვს! უფლება მაქვს!), ღრიალით მიმართავდა ის საცოდავი უცხოელი მათ, ვისაც მისი გაგება ნამდვილად არ შეეძლო და რაც მთავარია, არ უნდოდათ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ იქ შეკრებილი პოლიციელები ყურშეუბერტყავად ადევნებდნენ თვალყურს ამ ყველაფერს და მხოლოდ კინოთეატრში შესასვლელი კორიდორის გაკეთებაზე ზრუნავდნენ. იმ დღეს კანონმა აშკარა მარცხი განიცადა.

თუ ვინმეს მიაჩნია, რომ სიტყვა „პედოფილის“ (არასწორად) ხმარებისათვის დეკანოზ დავით ისაკაძეს ბოდიში მოსახდელი არა აქვს, ეს მისი პრობლემაა, თანაც სერიოზული პრობლემა. მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, ევალება თუ არა კ ა ნ ს ასეთ შემთხვევებში ამოქმედება და თუ ევალება, რა ძალა აქვს მას. ძალა კი, წესით და რიგით, ძალიან დიდი უნდა ჰქონდეს, ანუ, დეკანოზ დავითს (ინჟინერ მიშას, პარლამენტარ გრიშას, ბანკირ მურზაყანს და ა.შ) ბოდიში პატრიარქმა (ბოსმა, ცვლის უფროსმა და ა.შ) კი არ უნდა მოახდევინოს, არამედ კანონმა.

ყველამ ვიცით, თუ რა ძნელია ქართველისათვის ბოდიშის მოხდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დამნაშავეა. მეორე მხრივ, ყველას მოგვიხდია ბოდიში და, ალბათ, ყველას შეგვიგრძენია, თუ რა ეფექტს ახდენს ის ჩვენსავე ზრდაზე (არაფერს ვამბობ შეურაცხყოფილ ადამიანზე). რამდენადაც გოგი გვახარიას ვიცნობ, ვფიქრობ, რომ მან ა კ ა ტ ი ა დეკანოზ დავით ისაკაძეს დაუმსახურებლად მიყენებული სერიოზული შეურაცხყოფა; ისიც უკვე ცხადია, რომ დეკანოზი კანონმაც დაინდო, მაგრამ ყველაზე საინტერესო მინც ისაა, ეყოფა თუ არა ძალა თვითონ სასულიერო პირს იმის გასაკეთებლად, რაც მან აუცილებლად უნდა გააკეთოს. თუ ეს ასე მოხდა, ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ერთმანეთთან შესახვედრად.

ბოლო რამდენიმე წინადადებაში კი მინდა „ლიბერალის“ ბლოგზე ჩემი ტექსტების ანონიმურ კომენტატორებს მივმართო. ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა იმდენჯერ მთხოვა ამ კომენტარების გაცნობა, რომ ხათრი ველარ გავუტეხე და რამდენჯერმე თვალი გადავაველე ჯერ ჩემი ტექსტების, მერე კი ჩემი კოლეგების ტექსტების კომენტატორების შენიშვნებს. უნდა გითხრათ, რომ ეს ჩემი პირველი „შერბენა“ იყო იქ და ამ „გასეირნებამ“ სრულიად დათრგუნული დამტოვა სწორედ იმის გამო, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი – ჩვენი ტექსტების ანონიმური კომენტატორები საოცარი მზადყოფნით გვაყენებენ სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფას იმის გამო, რომ რალაცებში ან არ გვეთანხმებიან ან რალაცა ეჩვენებათ. სასწრაფოდ დავამატებ იმასაც, რომ ყველასათვის მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ი თ ვ ე მიპატივია, თუმცა იმასაც ვთხოვ, რომ თუ ლანძღვაა, ლანძღვა იყოს და ნუ აკეთებენ ამას ისედაც ანონიმურები, „სმაილიკებს“ ამოფარებულები. მაგრამ ამაზე საუბარი მხოლოდ ამისთვის არ წამომინცია; იმისათვის, რომ შემდგომშიც გამიჩნდეს „ლიბერალის“ ბლოგზე ჩემი კომენტატორების შენიშვნების ნაკითხვის სურვილი, მსურველებს ვთავაზობ აი, ასეთ რამეს, – ვინაიდან ჩემი თემა თბილისია, „შემოადგეთ“ ბლოგზე თქვენი 450 სიტყვიანი ტექსტი ქალაქზე და თუ ის საინტერესო იქნება, ჟურნალი დაბეჭდავს მას, მე კი ჩემი რუბრიკის ჰონორარს მთლიანად გადავცემ ტექსტის ავტორს. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობა ასე უფრო საინტერესო გახდება.

დეკანოზმა დავით ისაკაძემ კი აუცილებლად უნდა მოიხადოს ბოდიში!



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშუსრი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუბდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
